უნივერსიტეტი

29 დეკემბერი, ხუთშაბათი, 2011 წ. №16

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი გამოდის 1927 წლიდან

მათთვის უნივერსიტეტი დაოჯახების კერაც ყოფილა

გვ. 7

თამადობის ინსტიტუტის 6 კონკურსანტი ფაკულტეტებიდან

გვ. 8-9

უნივერსიტეტში დასაქმების შანსი სტუდენტებისთვის 2012 წლიდან

გვ. 2

„ჩემი საქართველო“ პოლიტიკური ფანტაზიებით

გვ. 12

გილოცავთ შობა-ახალ წელს!

ვისურვებდი, 2012 წელი სიმშვიდის წელი ყოფილიყოს. მინდა იყოს სიწყნარე — არა „დაჭაობებული“ სიწყნარე, არამედ მშვიდობა დაგვდგომოდეს. ქვეყნისთვის წინსვლის და წარმატების წელი ყოფილიყოს!

საქართველოს მომავალი არის განათლება — უფრო მეტი განათლებული ადამიანი, უფრო მეტი პრაქტიკული ცოდნის მქონე პიროვნება, ამიტომ დიდი სურვილი მაქვს, სწორი მიმართულებით სვლა განვაგრძოთ.

მსურს, მომავალი წელი ბედნიერებისა და ჯანმრთელობის მომტანი იყოს. როდესაც ჩემს თავს 2000 წლის შემდეგ წარმოვიდგენდი, მეგონა, ძალიან მოხუცებული ვიქნებოდი და ცხოვრების ინტერესი დაკარგული მექნებოდა, თუმცა, ეს წლები არაფერი ყოფილა... ჯერ კიდევ ყველაფერი წინ გვაქვს!

2012 წელს მინდა, წარმატებები ვუსურვო ჩვენს აბიტურიენტებს და კურსდამთავრებულებს. ამ თაობაზე ძალიან ბევრია დამოკიდებული – ქვეყნის მომავალი მათი შესაქმნელია...

ყველას ვულოცავ დამდეგ ახალ წელს!

ალექსანდრე კვიტაშვილი, თსუ-ის რექტორი

უნივერსიტეტის წიაღში ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, 2012 წლისთვის ყველაზე სასურველ მეკვლედ დასახელდა, როგორც წარმატებული და პიროვნული ღირებულებებით უმეტესობისთვის მისაღები ადამიანი...

დადებით ემოციას და ენერგიას უნივერსიტეტის პირველ კორპუსში შესვლა-გამოსვლით იღებს... პირველი კორპუსი სულ მალე გაიხსნება, ასე რომ, 2012 წელს მისი ეს მოლოდინი უეჭველად შესრულდება...

მიაჩნია, რომ უნივერსიტეტისთვის ახალი სტატუსის მინიჭება უდავოდ წაადგება უნივერსიტეტს და ფაკულტეტებს, განსაკუთრებით, ფინანსური ავტონომიის მოპოვების კუთხით. ახალ სტატუსს კი უნივერსიტეტი იანვრიდან იძენს და, ასე რომ, მისთვის 2012 წელი „ამპლუა შეცვლილი უნივერსიტეტის” რექტორობის დასაწყისიცაა...

თვლის, რომ კარგი პროფესორი და ლექტორი სტუდენტს განათლების გადაცემასთან ერთად თავისუფალ აზროვნებას და დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღებასაც უნდა ასწავლიდეს. ასე რომ, 2012 წლის საუკეთესო ლექტორის სახელის მოსაპოვებლად მესიჯი ყველას გაუგზავნა...

დიდი სურვილი აქვს — 2012 წლიდან მხოლოდ ჯანსაღი ღირებულებები მართავდნენ ადამიანებს და მის წარმოდგენაში ინტრიგების მოყვარულთ ნიშანი „არადამაკმაყოფილებელი” უკვე დაუწერა.

საქმის კარგად მცოდნისთვის ქებას არ იშურებს, მადლობის გადახდაც სჩვევია... ახლა 2011 წელს მადლიერებით აცილებს, რადგან უნივერსიტეტში მიმდინარე წელს გაწეული მუშაობით კმაყოფილია...

უნივერსიტეტის რექტორი, ბატონი სანდრო კვიტაშვილი 2011-2012 წლების გასაყარზე გულწრფელად საუბრობს და წარსულის არ ეშინია, მომავალს კი იმედით უყურებს... თუ რა აძლევს ამის საფუძველს? — ამას გაზეთის იანვრის ნომერში დაბეჭდილი ინტერვიუდან ამოიკითხავთ.

სტუდენტთა საახალწლო ტრიუმფი

უნივერსიტეტში მოღვაწეობას დიდ პატივად მივიჩნევ

გვ. 3

მესიჯი ადმინისტრაციას

2012 წელზე ორიენტირებული იმედები

გვ. 4-6

საუკუნის მეგობრები

გვ. 10

სიახლე 2012 წლისთვის

2012 წლიდან ხელფასების მომატებას გვპირდებიან

რა გაუხარდებათ ახალ წელს ყველაზე მეტად უნივერსიტეტის თანამშრომლებს და სტუდენტებს? პასუხი მარტივია — მაღალი ხელფასები და სტუდენტური ცხოვრების უხვად დაფინანსება.

ჰოდა, სწორედ ამ სიხარულს მივანიჭებთ მკითხველს, თუკი ვეტყვით, რომ ახალი წლიდან განსაზღვრულია აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის ხელფასების მომატება და სტუდენტური ღონისძიებების გაზრდილი დაფინანსება.

უნივერსიტეტის საფინანსო დეპარტამენტის უფროსმა ირაკლი საღარეიშვილმა ახალ წელს მეკვლედ უნივერსიტეტის რექტორი, ბატონი ალექსანდრე კვიტაშვილი კი დაასახელა, მაგრამ ბევრი ჩვენგანი თავად ბატონ ირაკლისაც სიამოვნებით გაუღებდა კარს, თუკი მის საახალწლო ხურჯინში, საჩუქრებთან ერთად, ჩვენი მომატებული ხელფასების ნიშნულიც იქნებოდა ჩადებული.

ეს ახალი ამბავი მხოლოდ საახალწლო სურვილად რომ არ მოგვჩვენებოდა, თავად ბატონ ირაკლის ვკითხეთ — მაინც რა პრიორიტეტებია განსაზღვრული მომავალი წლის ბიუჯეტში?

ირაკლი საღარეიშვილი:

— მომავალი წლის ბიუჯეტის განხილვა სულ მალე, უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი და აკადემიური საბჭოების სხდომაზე მოხდება და იანვრის პირველ ნახევარში დასამტკიცებლად რეგენტთა საბჭოს წარედგინება. მას შემდეგ, რაც ბიუჯეტი დამტკიცდება, უკვე თამამად შეგვეძლება ვისაუბროთ მის პრიორიტეტებსა და ხარჯვით ნაწილზე.

ამ ეტაპზე მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლია, რომ ჩვენი მწირი რესურსების პირობებში შესაძლებლობა მოგვეცა 10-20 პროცენტის ფარგლებში გაგვეზარდა აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის ხელფასები.

ბიუჯეტში ტრადიციულად პრიორიტეტულია, ასევე, სტუდენტური ღონისძიებების დაფინანსება. მხედველობაში მაქვს, როგორც სასწავლო პროცესი, ასევე, სპორტული და კულტურული ღონისძიებები.

თითქმის ორჯერ გაიზარდა გაცვლით პროგრამებში მონაწილე სტუდენტთა დაფინანსების ხარჯები, ასევე, იმიტირებული პროცესების და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის დაფინანსება.

მინდა უნივერსიტეტს მივულოცო ახალი წელი და ვუსურვო – არ მოაკლდეს წარჩინებული სტუდენტი და მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალი. არ მოაკლდეს ის ღირსება და დიდება, რაც უნივერსიტეტს გააჩნდა და ახლაც აქვს. ჩვენ ყველანი ამ უნივერსიტეტის გაზრდილები ვართ და ძალიან მინდა, 2012 და ყველა მომავალი წელი მისთვის წარმატებული იყოს!

უნივერსიტეტში დასაქმების შანსი სტუდენტებისთვის 2012 წლიდან

განვითარებად სახელმწიფოებში ერთერთი ყველაზე აქტუალური პრობლემა დასაქმებაა. ამ შემთხვევაში გამონაკლისი არც საქართველოა. სამუშაო ბაზარზე არანაკლებ აქტუალურია პროფესიონალი კადრების მოძიებაც. უმაღლეს სასწავლებელში მიღებული თეორიული ცოდნა არ აკმაყოფილებს დამსაქმებელი ორგანიზაციებისა თუ სტრუქტურების მოთხოვნებს. ახალი თანამშრომლების შერჩევისას მათი ერთერთი მთავარი კრიტერიუმი პრაქტიკული უნარ-ჩვევების ფლობაა, რის გამომუშავებასაც სტუდენტები უმაღლესი განათლების მიღებისას, ხშირ შემთხვევაში, ვერ ახერხებენ. ამ პრობლემის მოსაგვარებლად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ახალი პროექტი ხორციელდება. თსუ-ის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით, 2012 წლის საგაზაფხულო სემესტრიდან სტუდენტებს საინტერესო სიახლე ელით.

ნატო ოგოლაძე

„თსუ-ის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით, ის სტუდენტები, რომლებიც წარჩინებულად სწავლობენ, უნივერსიტეტის სხვადასხვა სტრუქტურებსა თუ ფაკულტეტების ადმინისტრაციებში გაივლიან 3 თვიან სტაჟირებას. ჩვენთან კვალიფიცირებული კადრები მუშაობენ, შესაბამისად, სტუდენტები მათთან მუშაობისას ძალიან დიდ პრაქტიკულ გამოცდილებას მიიღებენ. ეს პროექტი 2012 წლის გაზაფხულის სემესტრში დაიწყება, რეგისტრაცია კი სემესტრის ბოლოს, საგამოცდო პერიოდის დასრულებისთანავე მორჩება. დეპარტამენტები სტაჟიორებს გასაუბრების საფუძველზე შეარჩევენ, ასევე, გათვალისწინებული იქნება მათი აკადემიური მოსწრებაც. რაოდენობას წინასწარ ვერ განვსაზღვრავთ, მაგრამ ამ პროექტში ბევრი სტუდენტის ჩართვა ვერ მოხერხდება, უპირატესობა მიენიჭებათ დამამთავრებელი კურსებისა და მაგისტრატურის სტუდენტებს.

გიორგი გაფრინდაშვილი

ჩვენ გვინდა, რომ საუკეთესო სტუდენტები უნივერსიტეტის წიაღშივე დავასაქმოთ. იმ სტაჟიორებს კი, ვისი სამუშაოდ დატოვება აქ ვერ მოხერხდება, უკვე ექნებათ იმ დონის გამოცდილება, რომ ნებისმიერ სხვა სტრუქტურაში დასაქმდნენ“, — განაცხადა თსუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანაშემწემ გიორგი გაფრინდაშვილმა.

დასაქმების პრობლემის დასაძლევად რომ პროფესიონალი კადრების ჩამოყალიბებაა საჭირო, ხოლო პროფესიონალად ჩამოყალიბებისთვის რომ თეორიულ ცოდნასთან ერთად პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებაც აუცილებელია, კარგად ესმით ახალგაზრდებსაც. 2011 წლის 13 ივნისს თსუ-ის კურსდამთავრებულებმა: გივი ჭლიქაძემ, გეგა მიქაძემ და ლაშა მონიავამ არასამთავრობო ორგანიზაცია — „საქართველოს სტუდენტთა დასაქმების ცენტრი“ დააფუძნეს. ორგანიზაციის მიზანი სტუდენტებისთვის სტაჟირების ადგილების მოძიება და, პრაქტიკული სამუშაოს წარმატებით დაძლევის შემთხვევაში, მათი დასაქმება გახლავთ.

„ორგანიზაციის ჩამოყალიბების დროს მისი დამფუძნებლები თსუ-ის სტუდენტები ვიყავით და მინდა აღვნიშნო, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ძალიან დაგვეხმარა. ვცდილობთ, რომ III და IV კურსის სტუდენტებს მივცეთ საშუალება, გამოიმუშავონ პრაქტიკული უნარ-ჩვევები და დამსაქმებლის კითხვაზე — გაქვთ თუ არა სამუშაო გამოცდილება? უპასუხონ – კი. ამ ეტაპზე ყველა უნივერსიტეტს ვაერთიანებთ, მაგრამ ჩვენი ბაზისი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტია და თითოეული მისი კურსდამთავრებული ჩვენთვის ძალიან ძვირფასია. ვთანამშრომლობთ კერძო და საჯარო სექტორთან და ამ დროისთვის სამი პროექტი უკვე განვახორციელეთ. ესენია: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ერთად „იპოვე შენი ადგილი“, ანაზღაურებადი პროგრამა „პრივატ ბანკთან“ ერთად და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად „ასწავლე მოსწავლეს“. სტაჟიორების რაოდენობა დამოკიდებულია იმ მოთხოვნებზე, რასაც დამსაქმებელი ჩვენ გვიყენებს. პროექტი — „ასწავლე მოსწავლეს“ სახელმწიფო მნიშვნელობისაა და აქტიური მუშაობის ფაზაში მარტში შევა. ამ ეტაპზე მიმდინარეობს მოლაპარაკებები და შეთანხმებები სკოლებთან იმ საგნებზე, რომლებსაც სტუდენტები წაიკითხავენ. მათ ანაზღაურება არ ექნებათ, მაგრამ დიდ გამოცდილებას მიიღებენ. პარალელურად ეს ლექციები მოსწავლეებისთვისაც მნიშვნელოვანია.

საქართველო ევროპაში მობილობის კუთხით ერთერთ პირველ ადგილზეა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ აბიტურიენტების უმრავლესობას გაცნობიერებული არ აქვს, რომელი სპეციალობის დაუფლება უნდა. პროექტის — „ასწავლე მოსწავლეს“ საშუალებით ჩვენ მათ ყველა პროფესიის შესახებ მივაწვდით ინფორმაციას. შესაბამისად, ისინი გააზრებულ გადაწყვეტილებას მიიღებენ და მომავალში მობილობის პროცესში მონაწილე სტუდენტების რაოდენობაც შემცირდება“, — გვითხრა „საქართველოს სტუდენტთა დასაქმების ცენტრის“ ხელმძღვანელმა ლაშა მონიავამ.

„საქართველოს სტუდენტთა დასაქმების ცენტრის“ სტაჟირების პროგრამებში მონაწილეობის მისაღებად სტუდენტებს სპეციალური სააპლიკაციო ფორმის შევსება და სამოტივაციო წერილის დაწერა ევალებათ, რის შემდეგაც 10 დღიანი ტრენინგის გავლა მოუწევთ ფსიქოლოგიასა და საზოგადოებასთან ურთიერთობაში. ტრენინგში მონაწილეობა ყველა კურსის სტუდენტს შეუძლია, თუმცა სტაჟირებისთვის შერჩევისას უპირატესობა დამამთავრებელი კურსის აპლიკანტებს მიენიჭებათ. „საქართველოს სტუდენტთა დასაქმების ცენტრი“ თსუ-ის II კორპუსშია განთავსებული.

თსუ-ის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების სტაჟირებაზე ზრუნავს „საერთაშორისო მიგრაციისა და განვითარების ცენტრიც“, რომლის ძირითადი მოვალეობაა გერმანიაში კურსდამთავრებულების საქართველოში დასაქმება. ცენტრს თსუ-სთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი აქვს გაფორმებული, რომლის მიხედვითაც მას დასაქმების მიზნით კონსულტაციის გაწევა თსუ-ის სტუდენტებისთვისაც ევალება. „საერთაშორისო მიგრაციისა და განვითარების ცენტრი“ გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პარტნიორია.

„თსუ-ის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს ინტენსიურად ვრთავთ ღონისძიებებში. ჩვენი ორგანიზებით გაიმართა არაერთი დასაქმების ფორუმი, სადაც 100-მდე სტუდენტი იღებდა მონაწილეობას და ბევრი მათგანი დასაქმდა კიდეც. 2012 წლიდან ჩვენი მუშაობის პროფილი იცვლება და დავიწყებთ პროფესიონალი კადრების გერმანიაში დასაქმებას. ეს პროექტი ჯერ კიდევ დამუშავების პროცესშია, მაგრამ მისი განხორციელებისას, ვფიქრობ, ჩვენი აპლიკანტების წრე უფრო გაიზრდება. მინდა აღვნიშნო, რომ ახლა „პროკრედიტ ბანკი“ ახორციელებს პროგრამას — „ახალგაზრდა ბანკირი“. ბანკის ადმინისტრაციამ თხოვნით მოგვმართა, რომ დავხმარებოდით წარჩინებული სტუდენტების მოძიებაში. ჩვენ დავუკავშირდით „საქართველოს სტუდენტთა დასაქმების ცენტრს“ და ფაკულტეტებზეც გავავრცელეთ ინფორმაცია“, — განაცხადა გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების კონსულტანტმა ირმა წერეთელმა.

ამ დროისთვის ოფიციალური და ზუსტი სტატისტიკა თსუ-ის კურსდამთავრებულებისა და სტუდენტების დასაქმების შესახებ არ არსებობს, რადგან უმაღლესის დამთავრების შემდეგ უმრავლესობასთან კავშირი, ფაქტობრივად, წყდება, თუმცა თსუ-ის ადმინისტრაციის თანაშემწის გიორგი გაფრინდაშვილის ინფორმაციით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდების დაახლოებით 50% მუშაობას იწყებს ან სტუდენტობის პერიოდიდანვე არის დასაქმებული. ამ მხრივ განსაკუთრებით იურიდიული, ეკონომიკისა და ბიზნესის და ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტები გამოირჩევა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციაში ვარაუდობენ, რომ ახლად წამოწყებული სტაჟირების პროგრამების ამოქმედებასთან ერთად დასაქმებული სტუდენტებისა თუ კურსდამთავრებულების რიცხვიც თანდათან გაიზრდება.

ირმა წერეთელი

ლაშა მონიავა

ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲨᲘ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔᲝᲑᲐᲡ ᲓᲘᲓ ᲞᲐᲢᲘᲕᲐᲓ ᲛᲘᲕᲘᲩᲜᲔᲕ

მასთან პირისპირ შეხვედრის შემდეგ აუცილებლად გამოგყვებათ სასიამოვნო გრძნობა, რადგანაც მისი სისადავე და თავმდაბლობა გაგრძნობინებთ — თქვენ მხოლოდ პრეზიდენტის დედას კი არა, მეცნიერს, ორგანიზატორსა და, უბრალოდ, ქალს ესაუბრებით.

მასთან ინტერვიუ, გარდა ხასიათის რამდენიმე შტრიხის წარმოჩენისა, იმითაცაა საინტერესო, რომ გატაცებით გვიყვება უცხოეთში მცხოვრებ ქართველებზე და იმ წლებზე, როცა უნივერსიტეტის დიდ ოჯახში დამკვიდრდა, როგორც სტუდენტი და პედაგოგი.

მას მოსწავლეები აფასებენ, მეგობრებს უყვართ, ხოლო კოლეგები პატივს სცემენ, როგორც ადამიანური კეთილშობილებით გამორჩეულ პიროვნებას.

ჩვენი დღევანდელი ნომრის სტუმარია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი გიული ალასანია.

მაია ტორაძე

— ქალბატონო გიული, საზოგადოება კარგად იცნობს თქვენი შვილის ოჯახს და გარკვეული წარმოდგენა აქვს — რა ღირებულებებით იზრდებოდა იგი, მაგრამ, ამჯერად, საინტერესოა ის გარემო, რომელშიც თქვენ გაიზარდეთ. რა გახსოვთ ბავშვობიდან, ყველაზე მეტად რა გრძნობა გეუფლებათ, როცა იმ წლებს იხსენებთ?

— ჩვეულებრივ ოჯახში გავიზარდე. მამა ინჟინერი იყო, დედა – ექიმი. თუმცა ეს ოჯახი დედის და მამის მხრიდანაც რეპრესირებული გახლდათ და ეს ტკივილი ჩვენს წინა თაობას მთელი ცხოვრება გაჰყვა. ოჯახში მე და ჩემი ძმა ვიზრდებოდით. მთავარი ღირებულება, რაც გამეფებული იყო ირგვლივ, მაინც პატრიოტიზმი იყო. შეიძლება ყოველ დილით ამაზე არ გველაპარაკებოდნენ, მაგრამ გარემო, რომელშიც ვიზრდებოდით, მთლიანად ამით იყო სავსე და ეს გრძნობა ბუნებრივად იდგამდა ფესვს.

გავიზარდეთ ჩვეულებრივად, როგორც მაშინ ბევრი ოჯახის შვილები იზრდებოდნენ. დავდიოდით მუსიკაზე, სპორტზე, უცხო ენაზე... ეს რაღაც წესი იყო მაშინ...

— ყველა ბავშვს განსაკუთრებულად ახსოვს პედაგოგები, რომლებისგანაც ბევრი რამ უსწავლია. თქვენ ვის გამოარჩევდით?

— სკოლაში ძალიან კარგი პედაგოგები მყავდნენ. გამოყოფით არ გამოვყოფ, რადგანაც ჩემზე ბევრმა მათგანმა მოახდინა დიდი გავლენა.

მარტო სკოლაში კი არა, საბავშვო ბაღშიც გამორჩეული აღმზრდელები მყავდნენ. საერთოდაც, მიმაჩნია, რომ პედაგოგი ადამიანის ცხოვრების ყველა ეტაპზე მნიშვნელოვან როლს თამაშობს.

— უნივერსიტეტამდე როგორ მოხვედით? როდის აირჩიეთ სპეციალობა?

— მე სკოლასთან ერთად დავამთავრე მუსიკალური ტექნიკუმიც. ამის შემდეგ შევედი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე, რომელიც ერთი პატარა ოჯახი იყო და აღმოსავლეთმცოდნეობის კარგი სკოლა ჰქონდა (ეს სკოლა დღესაც არის). მე ამ ფაკულტეტის ყველა ლექტორი, ცხადია, არ მასწავლიდა, მაგრამ იმდენად პატარა ფაკულტეტი იყო, მაინც კარგად ვიცნობდით თითოეულ პროფესორს, რადგანაც მათ მოხსენებებს ვუსმენდით და ლექციებსაც ვესწრებოდით. ასე რომ, ყველა მათგანს ჩემს მასწავლებლად მივიჩნევ.

განსაკუთრებით მინდა გამოვყო ბატონი ვალერიან გაბაშვილი, რომლის ხსოვნისადმი მიძღვნილი კონფერენცია ამ დღეებში იმართება და მასში თითქმის ყველა მისი მოწაფე მონაწილეობს. ამ ადამიანმა დიდი ამაგი დასდო საქართველოში აღმოსავლეთმცოდნეობის, როგორც მეცნიერების, განვითარებას. საერთოდ, ხშირად ხდებოდა ისე, რომ, როცა დიდი მეცნიერი ცოცხალი იყო, ბევრს საუბრობდნენ მის სკოლაზე, მაგრამ როგორც კი ეს ადამიანი ამქვეყნიდან წავიდოდა, სკოლაც ქრებოდა, რადგანაც ყველა მეცნიერი არ იყო ამავე დროს კარგი ორგანიზატორი და პედაგოგი. ვალერიან გაბაშვილის შემთხვევაში კი ეს სკოლა დარჩა და გაძლიერდა კიდეც.

განსაკუთრებით გავიხსენებ ასევე ბატონ სერგი ჯიქიას, გამორჩეულად კარგ ლექტორსა და მოღვაწეს. მიმაჩნია, რომ, საერთოდ, ამ სახელებზე უნივერსიტეტი დღესაც დგას, რადგანაც ისინი ახალგაზრდებს პირადი მაგალითით ზრდიდნენ. მოგეხსენებათ, რამდენიც არ უნდა უჩიჩინო ბავშვს, თუ პირადი მაგალითი არ უდევს წინ, არაფერი გამოვა.

— ძალიან ბევრ ადამიანს მეგობრები სწორედ სტუდენტობის დროიდან მოსდევს. გამონაკლისი არც თქვენ იქნებით. მაინც ვინ შემოგყვათ იმ წლებიდან, გაქვთ თუ არა ურთიერთობა სტუდენტობის მეგობრებთან?

— დიახ, არ ვარ გამონაკლისი, რადგანაც ძალიან ბევრი ჩემი მეგობარი სწორედ სტუდენტობის წლებიდან შევიძინე. მათ შორის, ყველა ის მეცნიერი, რომელიც დღეს ვალერიან გაბაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ კონფერენციაში მონაწილეობს, ჩემი ჯგუფელი და მეგობარია.

— როგორ დაინტერესდით მეცნიერებით? რა იყო ის მუხტი, რომელმაც თქვენში სამეცნიერო კვლევებისადმი ინტერესი განაპირობა?

— ჩვენ ძალიან საინტერესო და დატვირთული სტუდენტობა გვქონდა. მაშინ ყოველი წლის ბოლოს საკურსოებს ვწერდით, წლის განმავლობაში კი იმართებოდა რამდენიმე სამეცნიერო კონფერენცია, რომელზეც სტუდენტები მოხსენებით უნდა გამოვსულიყავით (ძალიან კარგად მუშაობდა სტუდენტური სამეცნიერო წრე). ერთგვარი შეჯიბრის მომენტიც გვქონდა — ყველას გვინდოდა, რაღაც კარგი და ახალი გაგვეკეთებინა და ვაკეთებდით. სხვათა შორის, მაშინ დავრწმუნდი, რომ ასეთი მუშაობით სტუდენტი გაცილებთ მეტს სწავლობს, რადგანაც თავის ნაშრომში დამოუკიდებელია და ლექციებზე და სემინარებზე მიცემული დავალებისგან განსხვავებით, მეტი ხალისით ეკიდება საქმეს.

სწორედ სტუდენტობისას გაჩნდა მიზანი, რომ გამეგრძელებინა სამეცნიერო მოღვაწეობა. 1973 წელს საკანდიდატო დისერტაცია დავიცავი, ხოლო 1987 წელს — სადოქტორო.

— თქვენ ბრძანდებით ფესტივალ „ჩვენებურების“ ერთერთი ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი. როგორ გაჩნდა ამ ფესტივალის ჩატარების იდეა?

— ადრე ჩვენ უცხოეთში მცხოვრებ ქართველთა პრობლემა არ გვქონია. ქართველები ძირითადად საფრანგეთსა და თურქეთში ცხოვრობდნენ. მათ შორის, საფრანგეთში — ძალზე ცოტანი, ხოლო თურქეთში — ძალიან ბევრნი. ამას ჰქონდა თავისი მიზეზები — ამ ადამიანების ნაწილი იმ ტერიტორიაზე ცხოვრობს, რომელიც ოსმალეთმა მიითვისა, ნაწილი კი მოჰაჯირობის შედეგად მოხვდა უცხო ქვეყანაში. ამას დაემატა 1921 წლის ცნობილი მოვლენების შემდეგ თურქეთში გადახვეწილი ქართველები და მივიღეთ საკმაოდ მრავალრიცხოვანი დიასპორა.

ძირითადად დიასპორის პრობლემა დადგა 90-იანი წლებიდან, როცა საქართველოში არსებული მძიმე ეკონომიკური პირობების გამო ბევრმა ადამიანმა დაიწყო საზღვარგარეთ გასვლა.

2004 წელს ჩვენ გაგვიჩნდა სურვილი, რომ რაღაცნაირად მიგვეხედა ამ ხალხისთვის, რადგანაც მათი შთამომავლობა უკვე კარგავდა ქართულ ენას და კულტურას. ვფიქრობდით, იქნებ რაღაც გადაგვერჩინა. თავიდან გავაკეთეთ ორგანიზაცია (ჯერ კიდევ არ ერქვა ფესტივალი) „ქართული კულტურა საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ“. ამით გვსურდა ამ ადამიანებს საკუთარ სამშობლოსთან კულტურული კავშირები არ გაეწყვიტათ. მერე დავიწყეთ უკვე სხვა ღონისძიებების გატარებაც: ვაკეთებდით თარგმანებს, ვზრუნავდით საკვირაო სკოლებზე იმ ხალხისთვის, რომლებიც სამშობლოს მოწყვეტილნი იყვნენ. მასშტაბებიც გაიზარდა, რადგანაც დღეს თითქმის აღარ არის ქვეყანა, სადაც ქართველები არ ცხოვრობენ. სხვათა შორის, გარდა საქართველოს საელჩოების მართლაც თავდადებული მუშაობისა, ამ კუთხით ძალიან ბევრი რამ გააკეთა ქართულმა სამღვდელოებამაც.

განსაკუთრებით უნდა აღვნიშნო საკვირაო სკოლების შესახებ. ამ სკოლებში, რომლებიც საზღვარგარეთ ფუნქციონირებენ, არის ქართული სიმღერის და ცეკვის ანსამბლები, ქართული ენის შემსწავლელი წრეები და ისე მოხდა, რომ თანდათან დაიძრა ყინული და უცხოეთში მცხოვრებმა ქართველებმა და მათმა შვილებმა, ვინც ქართული არ იცოდა, ქართულად წერა, კითხვა და ლაპარაკი დაიწყეს. იქ ბევრია ისეთი ბავშვი, რომლებსაც დავიწყებული კი არ აქვთ ქართული, არამედ არც არასოდეს უსწავლია ის. მათი მშობლები ხშირ შემთხვევაში დალხინებულნი არ არიან, მუშაობენ და ბავშვებს ტოვებენ ძიძების ამარა, რომლებმაც, ბუნებრივია, ქართული არ იციან. დღეისათვის მდგომარეობა უკვე საგანგაშო აღარ არის, რადგანაც დიასპორებში ქართულ კულტურასთან გაუცხოების პრობლემა მოიხსნა.

ჩვენმა ამ ძალისხმევამ შედეგი გამოიღო. უკვე დაგროვდა ქართული ანსამბლები და

მათ თავად მოისურვეს, ჩამოსულიყვნენ და ამ მოძრაობაში რაღაც ფორმით მიეღოთ მონაწილეობა.

პირველად კონცერტი 2004 წელს საქართველოს კონსერვატორიაში მცირე ძალებით გაიმართა. ამან ისეთი რეზონანსი მიიღო და იმდენად მოეწონათ სხვებსაც, რომ ფესტივალის ჩატარების ინიციატორები უკვე თავად უცხოეთში მცხოვრები ქართველები არიან. ისინი გვიკავშირდებიან, გვეკითხებიან, როდის გაიმართება ფესტივალი და გვთხოვენ, რომ მათაც მივაღებინოთ მონაწილეობა.

დღეისათვის ფესტივალი სხვა ფორმატში გადაიზარდა — ასეთ კონცერტებს უკვე უცხოეთში ვმართავთ. თურქეთში ქართული კულტურის ფესტივალის ტრადიცია ისედაც არსებობდა (მამია დუმბაძე გახლავთ ამ ღონისძიების ორგანიზატორი). ახლა მას თანდათან უერთდებიან ამერიკიდან და ევროპიდან ჩასული ქართული ანსამბლები. ევროპის სხვა ქვეყნებში კი ეს ტრადიცია ახლა იკიდებს ფეხს. მაგალითად, თებერვალში ფლორენციაში ჩატარდება ქართული კულტურის ფესტივალი. რაც მთავარია, ამ საქმეში ჩართულია ბატონი ანზორ ერქომაიშვილი და ამიტომაც ძალიან მშვიდად ვართ. მან კარგად იცის, რა უნდა გააკეთოს ქართული კულტურის პოპულარიზაციისთვის.

— ქალბატონო გიული, თქვენ მანამდეც აქტიური ცხოვრებით ცხოვრობდით, სანამ საქართველოს პრეზიდენტის დედა გახდებოდით. შეიცვალა რამე თქვენს ცხოვრებაში მას შემდეგ, რაც თქვენი შვილი პრეზიდენტია?

— დიახ, ძალიან შეიცვალა. ბუნებით არა ვარ საზოგადოებრივად აქტიური ადამიანი, მაგრამ ახლა ჩემი ნების საწინააღმდეგოდ მიწევს ასეთი საქმიანობა — უამრავ ადამიანს აქვს რაღაც პრობლემა და მომმართავენ. მართალია, მთავრობის წევრი არა ვარ, მაგრამ ადამიანურად, თუ რამე შემიძლია, ვეხმარები. რაც შეეხება ცხოვრების წესს და რაიმე სახის შეზღუდვას, ასეთი რამ არ მიგრძვნია, ჩვეულებრივ ვაგრძელებ პედაგოგიურ საქმიანობას.

— აქვს თუ არა მიხეილ სააკაშვილის დიდ ოჯახს საახალწლო ტრადიცია, როგორ ხვდებით ახალ წელს?

— საახალწლო ტრადიცია, რა თქმა უნდა, ყველა ოჯახს აქვს, მათ შორის, ჩვენც, მაგრამ ჩემი შვილი ოჯახის ამგვარი ტრადიციების დაცვის ვალდებულებებისგან გათავისუფლებულია, რადგანაც იგი თავის თავს აღარ ეკუთვნის. პირიქით, ჩვენ ვცდილობთ, რომ ხელი შევუწყოთ და ზედმეტი დატვირთვებისგან გავათავისუფლოთ.

ეს ეხება არა მხოლოდ ჩემს შვილს, არამედ რძალსაც. სანდარაც ძალიან დაკავებული ადამიანია. ის ბევრს შრომობს, ღამის სამ საათამდე არ იძინებს, ზის და ყველაფერს საკუთარი ხელით აკეთებს, თავად ნახულობს ყველა დოკუმენტს, თავად ახარისხებს ყველა წერილს, ყველა მიმართვას და ადამიანებზე ძალიან ბევრს ფიქრობს. იცით რა, მიშიკოს პრეზიდენტობა ჯერ კიდევ შორს იყო, როცა სანდრამ თავად ჩამოაყალიბა საქველმოქმედო ორგანიზაცია და დაიწყო ამ კუთხით მოღვაწეობა.

როცა საქართველოში ჩამოვიდნენ, ახალგაზრდები იყვნენ და თავადაც ბევრი არაფერი ჰქონდათ, მაგრამ თუ ბავშვს რამდენიმე ჩასაცმელი ან სათამაშო ჰქონდა, ერთს დაუტოვებდა და დანარჩენს აუცილებლად გადადებდა ქველმოქმედებისთვის. მუდმივად იმეორებდა — „ყოველთვის უნდა გახსოვდეს, რომ სხვას შეიძლება მეტად უჭირს, ვიდრე ჩვენო“. ეს მისთვის ღვიძლი საქმეა და ამას პიარისთვის არ აკეთებს... ის ასეთი ადამიანია.

ძალიან შეიყვარა სანდრამ ჩვენი ქვეყანა და ვფიქრობ, რომ ხალხიც გრძნობს ამას.

— დედისთვის სცალია ჩვენს პრეზიდენტს?

— იდეალური შვილია. რაც უნდა დაკავებული იყოს, მაინც მომიკითხავს. აინტერესებს, სად ვარ და რას ვსაქმიანობ.

— რაც უნდა ბევრ ხალხს უყვარდეს პრეზიდენტი, მაინც გამოჩნდებიან ისეთები, ვინც მის პოლიტიკას აკრიტიკებს. დედისთვის ეს ძნელი მოსასმენი არაა? როგორ აღიქვამთ თქვენი შვილის მიმართ გამოთქმულ კრიტიკას?

— ძალიან ნორმალურად აღვიქვამ. ადამიანებს აქვთ თავიანთი მოსაზრებები და მადლობა ღმერთს, ამისთვის დღეს აღარავინ ისჯება.

— როგორ ფიქრობთ, თქვენი შვილი არის ისეთი პრეზიდენტი, როგორსაც თქვენ ისურვებდით საქართველოსთვის?

— ეს ხალხის შესაფასებელია, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ არის.

— მისი ენერგიულობა მართლაც გასაოცარია... ეს ალბათ გენეტიკურად მოსდევს...

— ასე მარტივადაც არაა საქმე. შესაძლოა, ენერგიულიც იყო, აქტიურიც და სხვაც ბევრი რამ გესმოდეს, მაგრამ ამ საქმეს კიდევ რაღაც სხვა ნიჭი სჭირდება. როგორც ჩანს, მიშიკოს ეს ნიჭი აქვს.

— როგორი ბებიაა იქნება შვილიშვილებისთვის ახალ წელს გიული ალასანია?

— ბავშვებისთვის ჩვეულებრივი ბებია ვარ... საჩუქრებსაც ვჩუქნი და რაც ბებიას ევალება, ვაკეთებ. ძალიან კარგი ბავშვები არიან. სხვადასხვანაირები, მაგრამ ორივე ძალიან კარგი.

უფროსი უფრო დინჯი, თავშეკავებული, ორგანიზებული და ძალიან ჭკვიანია, მეორე უფრო სპონტანური და ემოციური. ემოცია ედუჩისაც სძლევს ხოლმე, მაგრამ არ გამოხატავს. ნიკოლოზი კი საკუთარი გრძნობების დამალვას არასოდეს ცდილობს..

— თქვენ ბრძანდებით საქართველოს უნივერსიტეტის და საქართველოს საზოგადოებრივ მეცნიერებათა უნივერსიტეტის დამფუძნებელი, მაგრამ მაინც კითხულობთ ლექციებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. შეიძლება გკითხოთ, რატომ?

— უნივერსიტეტი ძალიან მეძვირფასება. ის ჩემთვის მშობლიური სასწავლებელია და აქ მოღვაწეობას დიდი პატივად მივიჩნევ.

გიული ალასანია — ისტორიკოსი, წყაროთმცოდნე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

1969 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის თურქეთის ისტორიის განყოფილება;

1969-2006 წლებში მუშაობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის საქართველოს ძველი და შუა საუკუნეების ისტორიის წყაროთმცოდნეობის განყოფილებაში უმცროს მეცნიერ-თანამშრომლად, უფროს მეცნიერ-თანამშრომლად და ამავე განყოფილების გამგედ;

1973 წელს დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1987 წელს — სადოქტორო დისერტაციები;

არის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ისტორიის წყაროების შემსწავლელი კომისიის წევრი;

1990-2005 წლებში იყო თსუ-ის ახლო აღმოსავლეთის ისტორიის კათედრის პროფესორი;

იყო თბილისის შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის პრორექტორი;

2006 წლიდან არის საქართველოს უნივერსიტეტის სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე;

2005 წლიდან არის საერთაშორისო ასოციაციის — „ქართული კულტურა საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ“ პრეზიდენტი;

გამოქვეყნებული აქვს 100-ზე მეტი სამეცნიერო შრომა, მათ შორის 10-მდე მონოგრაფია საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის საკითხებზე.

2012 წელზე ორიენტირებული იმედები

ახალი ინიციატივებისა და გეგმების განხორციელებაზე უნივერსიტეტის ადმინისტრაციული პერსონალი, როგორც წესი, ახალი სასწავლო წლიდან ზრუნავს, მაგრამ ახალი წლის დამდეგისთვის მაინც ყველა კონკრეტდება – თუ რა დარჩა მომავალი წლიდან გასაკეთებელი. თანაც, ვინაიდან ახალი წლის მოახლოება მათ საკუთარი სურვილებისა და ფანტაზიების გამოხატვის მეტ სტიმულს აძლევს, ამიტომ ძველი წლის გაცილებისას და ახლის შეხვედრის მოლოდინში ყველა ახდენს კონცენტრაციას სამომავლო გეგმებზე. ჩვენი მიზანიც სწორედ უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ სტრუქტურათა ხელმძღვანელებისგან ამ სამომავლო გეგმებისა და ინიციატივების მოსმენა გახლავთ – ვინ იცის, იქნებ უნივერსიტეტის პირველმა პირებმა ყურად იღონ მათი ჩანაფიქრი და თითოეულს აუსრულონ კიდეც სურვილები...

სასწავლო ლიტერატურის თარგმნის პროცესი გაგრძელდება

ნოდარ ბელქანია,
თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი:

— ზოგადად, სიახლეებზე სასწავლო წლის დასაწყისში ვსაუბრობთ, მაგრამ 2012 წლისთვის მაინც შეიძლება გამოიკვეთოს რამდენიმე საკითხი, რაც, ვფიქრობ, სასწავლო პროცესს უფრო მოქნილს და სტუდენტისთვის სასიკეთოს გახდის.

კერძოდ, ჩვენმა ფაკულტეტმა ინგლისური ენის სწავლება სპეციალიზებული გახადა, რაც შესაძლებლობას მისცემს ყველა მიმართულების სტუდენტს — ინგლისურ ენაზე სპეციალობის შესატყვის ლექსიკას დაეუფლოს. ეს გადაწყვეტილება იმდენად მისაღები აღმოჩნდა, რომ ენის კარგად მცოდნე მაღალი სემესტრის სტუდენტებიც კი მოდიან და ითხოვენ, ცოდნის გაღრმავების მიზნით, მათთვისაც გაიხსნას ანალოგიური ჯგუფები.

პარალელურად, სტუდენტებს შეუძლიათ სურვილისამებრ დამატებით შეისწავლონ გერმანული, ფრანგული და რუსული ენები.

ასევე სიახლეა ის, რომ ჩვენ დავიწყეთ სტუდენტთათვის სასწავლო ლიტერატურის თარგმნის პროცესი. აკადემიური პერსონალი უკვე გვაწვდის მასალებს, რაც უახლოეს მომავალში უნივერსიტეტის დაფინანსებით გამოიცემა.

დიდი იმედი გვაქვს, რომ მომავალ წელს დადებითად გადაწყდება კიდევ ერთი პრობლემა, რომლის შესახებაც ადმინისტრაცია უკვე საქმის კურსშია. კერძოდ, ჩვენ დავსვით საკითხი ფაკულტეტისთვის საკონფერენციო დარბაზის მოწყობის თაობაზე. საქმე ისაა, რომ ჩვენ ძალიან აქტიური კონტაქტები გვაქვს საზღვარგარეთის სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებებთან და უცხოელი კოლეგების სტუმრობისა თუ საერთაშორისო კონფერენციების გამართვის დროს ძალიან გვჭირდება თანამედროვე აპარატურით აღჭურვილი დარბაზი, სადაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ღირსეულად წარმოჩნდება. ამის თაობაზე უკვე მიღებული გვაქვს თანხმობა და ვფიქრობთ, ადმინისტრაცია მომავალი წლიდან ამ საკითხზე ზრუნვას დაიწყებს.

ასევე, დავსვით საკითხი ფსიქოლოგიის მიმართულებისთვის უნივერსალური აუდიტორიის გახსნის შესახებ, სადაც ლექციებიც ჩატარდება და ტრენინგებიც. ვფიქრობთ აუდიტორიების კეთილმოწყობას, რაც, იმედი გვაქვს, უნივერსიტეტის ახალი სტატუსის პირობებში შესაძლებელი გახდება.

ასე რომ, წინ დიდი ძვრებისა და სიახლეების წელი გველოდება.

მინდა, მივულოცო დამდეგი ახალი წელი უნივერსიტეტის ყველა სტუდენტს და თანამშრომელს! ყველა მათგანს ვუსურვებ მეტ აქტიურობასა და წარმატებებს როგორც სასწავლო პროცესში, ასევე პირად ცხოვრებაში.

მომავალი წელი საქართველოსთვის ყოფილიყოს ევროპული ოჯახისკენ კიდევ ერთი სერიოზული ნაბიჯის გადადგმის წელი, რადგანაც ჩვენ ერთი დიდი ოჯახის წევრები ვართ... ყველა ჩვენგანის კეთილდღეობა ხომ ჩვენი სამშობლოს კეთილდღეობაზეა დამოკიდებული!

ორმაგი დიპლომების გაცემის პერსპექტივა

ელენე ხარაბაძე,
თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი:

— მიუხედავად იმისა, რომ თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე რეფორმები, ძირითადად, დამთავრებულია, ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ ცვლილებები და ინიციატივები არ გვაქვს. სასწავლო პროცესი მუდმივ დახვეწასა და განახლებას საჭიროებს. ჩვენი მიზანია, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტმა კონკურენტულ გარემოში წარმატებას მიაღწიოს და ლიდერი გახდეს. აქედან გამომდინარე, მუდმივად ვფიქრობთ სიახლეებზე, რაც ჩვენს ფაკულტეტს ყველაზე პრესტიჟულს გახდის.

2012 წელს მაღლივი კორპუსის სამი სართულის გარემონტება გვაქვს დაგეგმილი, ასევე, გვინდა უზრუნველვყოთ სასწავლო აუდიტორიების აღჭურვა თანამედროვე ტექნიკური საშუალებით.

რაც შეეხება სასწავლო პროგრამებს, ამ მხრივ, საკმაოდ კარგი მდგომარეობა გვაქვს და ვფიქრობ, შემდგომი ნაბიჯებიც წარმატებული იქნება. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროგრამების უმეტესობამ გაიარა აკრედიტაცია. 2011 წლის შემოდგომის სემესტრიდან ფაკულტეტზე ამოქმედდა ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა „საერთაშორისო საწარმოთა მართვა“, რომლის დამთავრების შემდეგ, კურსდამთავრებული მიიღებს ორმაგ ხარისხს: ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხს თსუ-დან და მეცნიერების მაგისტრის ხარისხს იენას შილერის სახელობის უნივერსიტეტიდან. აღნიშნული პროგრამის მასშტაბი მომავალ წელს კიდევ უფრო გაფართოვდება. ასევე, ვთანამშრომლობთ აშშ-სა და ევროპის უნივერსიტეტთან. ასევე, დაიწყო თანამშრომლობა ბერლინის ტექნიკურ უნივერსიტეტთან.

ჩვენს ფაკულტეტზე გაცვლითი პროგრამები, ჯერჯერობით, მხოლოდ ცალმხრივად მუშაობს, მხოლოდ ჩვენ ვაგზავნით საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში ქართველ სტუდენტებს. მზად ვართ, გაზაფხულის სემესტრიდან სტუდენტები უცხოეთიდანაც მივიღოთ. მომზადებულია საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი 14 საგნის სილაბუსი უცხო ენაზე. თებერვალში ეს პროგრამები უკვე ვებ-გვერდზე განთავსდება და იმედი გვაქვს, რომ იგი მრავალ მსურველს დაინტერესებს. ასევე, 2012 წლიდან, ამოქმედდება საბაკალავრო პროგრამის მოდული „კულტურის მენეჯმენტი“ ციტაო-გორლიტცის (გერმანია) უნივერსიტეტთან.

ახალ წელს ახალი იმედებით ვხვდებით... მინდა, დამდეგი წელი ფეხბედნიერი იყოს ჩვენი ქვეყნისა და ხალხისთვის. იმედი მაქვს, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მომავალ წელს კიდევ ბევრ საინტერესო და მნიშვნელოვან სიახლეს შესთავაზებს სამეცნიერო საზოგადოებასა და ახალგაზრდებს. წარმატებებს გისურვებთ!

ახალი პროგრამები სტუდენტებისთვის

დარეჯან თვალთვაძე,
თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი:

— თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 2012 წელს ახალი სტატუსით ხვდება, როგორც არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რაც მეტ თავისუფლებასა და პასუხისმგებლობას მოითხოვს. იმედი მაქვს, ეს ცვლილება საუნივერსიტეტო ცხოვრებაზე სასიკეთოდ აისახება. ახალი წლის დადგომა კიდევ იმის გამოც გვიხარია, რომ ჩვენი ფაკულტეტი განახლებულ და გარემონტებულ პირველ კორპუსს უბრუნდება, სადაც განთავსდება ჩვენი ფაკულტეტის ბიბლიოთეკაც, რომელსაც მდიდარი წიგნადი ფონდი აქვს.

ჩვენ, წელს, საბაკალავრო პროგრამების აკრედიტაცია გავიარეთ. ეს არის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი პროგრამები, რომლებიც მომავალი სასწავლო წლიდან ამოქმედდება. უკვე იანვარში აკრედიტაციას გაივლიან სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებიც. იმედი გვაქვს, რომ სტუდენტებს თვისობრივად განახლებულ მიდგომებს შევთავაზებთ.

მინდა, ახალი წელი მივულოცო უნივერსიტეტის ყველა თანამშრომელს, სტუდენტს, ყველა უნივერსიტეტელს, ვისაც აქ უსწავლია... ყველას ვუსურვებ ბედნიერ ახალ წელს და ისეთ უნივერსიტეტს, რომლითაც ყოველთვის იამაყებენ.

შეთავაზებული კონფერენციების ციკლი

სანდრო ცისკარიძე,
თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის დეკანი:

— მედიცინის ფაკულტეტისთვის 2012 წელი ღირსშესანიშნავი იქნება საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების თვალსაზრისით. დღის წესრიგშია რამდენიმე საერთაშორისო მასშტაბის სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის გამართვა, რომელიც კლინიკური მედიცინის აქტუალურ საკითხებს მიეძღვნება. ასე მაგალითად, გაზაფხულზე ნევროლოგიის მსოფლიო ფედერაციის ეგიდით გაიმართება საერთაშორისო კონფერენცია მოძრაობით აშლილობებზე, ხოლო შემოდგომაზე, ინსულტის მსოფლიო და ევროპული ორგანიზაციების ეგიდით, მოეწყობა ტრადიციული, უკვე მე-5 საერთაშორისო კონფერენცია — ინსულტის დიაგნოსტიკის, პრევენციის და მკურნალობის საკითხებზე, რომელსაც მოყვება მსოფლიოს მე-4 კონგრესი ტელემედიცინა/ტელედერმატოლოგიაში. ასევე მნიშვნელოვანი მოვლენა იქნება ქართულ-გერმანული ვორკშოპი ქირურგიაში, რომელიც მიუნჰენის ლუდვიგ-მაქსიმილიანსის უნივერსიტეტის ქირურგიის დეპარტამენტის მონაწილეობით განხორციელდება.

მომავალ წელს, ასევე, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მხარდაჭერილი პროექტის ფარგლებში, მედიცინის ფაკულტეტზე მოწვეული იქნებიან საერთაშორისო აღიარების მქონე უცხოელი პროფესორები, რომლებიც ქართველი სტუდენტებისთვის სხვადასხვა სალექციო კურსს წაიყვანენ.

დამდეგი შობა-ახალი წელი, მინდა, მივულოცო ყველა უნივერსიტეტელს... როგორც მედიკოსი, პირველ რიგში, ყველას ვუსურვებ ჯანმრთელობას... დაე, 2012 წელი ყოფილიყოს მშვიდობის, სიხარულისა და სურვილების ასრულების წელი თითოეული ჩვენგანისთვის!

ლექციები უცხოელი პროფესორებისგან

ირაკლი გურდული,
თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი:

— ახალი წლიდან თსუ-ის იურიდიულ ფაკულტეტზე რამდენიმე სიახლე ინერგება. მნიშვნელოვანია, რომ უცხოეთის წამყვანი უნივერსიტეტებიდან ველოდებით პროფესორებს, რომლებიც სტუდენტებს სხვადასხვა აქტუალურ საკითხზე საინტერესო ლექციებს წაუკითხავენ (ინგლისურ, გერმანულ და ფრანგულ ენებზე). სულ ცოტა ხნის წინ კილის (გერმანია) უნივერსიტეტთან ხელი მოვაწერეთ განზრახულობათა შეთანხმებას, რის შედეგადაც, გაცვლითი პროგრამის ფარგლებში, რამდენიმე გერმანელი სტუდენტი სწავლების ერთ სემესტრს თსუ-ის იურიდიულ ფაკულტეტზე გაივლის. ერთობლივ სადოქტორო პროგრამაზე ვმუშაობთ ლეიდენის უნივერსიტეტთან. ახალი წლიდან თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის სამეცნიერო ჟურნალი — „სამართლის ჟურნალი“ ორენოვანი გახდება და მისი გაცნობა უცხოელ კოლეგებსაც შეეძლებათ.

2012 წელს ჩემს ქვეყანას, უპირველესად, მშვიდობას და წინსვლას ვუსურვებ, უნივერსიტეტს – ახალ წარმატებებს, კვლევისა და სწავლებისთვის კომფორტული გარემოს შექმნას. ყველას ვულოცავ დამდეგ ახალ წელს და წარმატებებს ვუსურვებ!

ახალი კონკურსები ინოვაციების გამოსავლენად

რამაზ ბოჭორიშვილი,
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი:

— ფაკულტეტისთვის სასიკეთო მრავალი ტენდენცია კიდევ უკეთ გამოჩნდება 2012 წელს, რისთვისაც კონკრეტული მატერიალური და მორალური წახალისების მექანიზმები ამუშავდება. მაგალითად, ჩვენი ფაკულტეტის სტუდენტებისთვის დაგეგმილია ორი ახალი კონკურსის ჩატარება საუკეთესო

სტუდენტური ნაშრომებისა და სტუდენტური ინოვაციების გამოვლენის მიზნით, რაც სიახლეა ქართული უნივერსიტეტებისთვის. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი ტიპის ღონისძიების გამართვა მხოლოდ მდიდარ ფაკულტეტს შეუძლია, ვგულისხმობ, საკმარისი რაოდენობის კრეატიული სტუდენტებით და პერსონალით მდიდარ ფაკულტეტს. ვფიქრობ, რომ 2012 წელს ფაკულტეტზე კრეატიული პიროვნებების ხელშეწყობა მკაფიოდ იქნება წახალისებული.

მე-5 გვერდზე

2012 წელზე ორიენტირებული იმედები

მეოთხე გვერდიდან

მინდა, უნივერსიტეტის ყველა სტუდენტს და თანამშრომელს, მათ ოჯახებს მივულოცო დამდეგი 2012 წელი, ვუსურვო მათ სიხარული, წარმატება, სიკეთე და ნატვრის ახდენა!

I კორპუსში უნივერსიტეტის დამფუძნებლების სახელობის აუდიტორიები გაიხსნება

ნუგზარ ალექსიძე,
თსუ-ის რექტორის მრჩეველთა საბჭოს ხელმძღვანელი:

— 2012 წელს უნივერსიტეტის თანამშრომლები და სტუდენტები მრავალი სიახლის მომსწრენი გახდებიან. უპირველეს ყოვლისა, გაიხსნება განახლებული ქართული უნივერსიტეტის თეთრი ტაძარი თავისი შესანიშნავი აუდიტორიებით, რასაც დაამშვენებს გამოჩენილი ქართველი მეცნიერების, უნივერსიტეტის დამფუძნებლების სახელები, რამეთუ მათი სახელობის აუდიტორიები დაარსდება. გაიხსნება საუნივერსიტეტო მუზეუმი აქ მოღვაწე თვალსაჩინო მეცნიერების შემოქმედების ამსახველი სტენდებით. მოველით, რომ უნივერსიტეტი საბოლოოდ მოიპოვებს სრულ დამოუკიდებლობას, რაც საშუალებას მოგვცემს, რომ აკადემიურმა საბჭომ ღიად და გამჭვირვალედ, დამოუკიდებლად გადაწყვიტოს ყველა საჭირბოროტო საუნივერსიტეტო საკითხი. განახლდება უნივერსიტეტის მიმდებარე ტერიტორია დამფუძნებელთა ბიუსტებით; კიდევ უფრო გაუმჯობესდება საუნივერსიტეტო სწავლება მეცნიერული აღზრდის პრინციპებზე დაფუძნებით და თანამედროვე ტექნიკური საშუალებების გამოყენებით; გაიზრდება კომპიუტერული კლასები; გაიზრდება სიხშირე ინოვაციური, პოპულარული ლექციებისა თანამედროვე მეცნიერებათა მიღწევების შესახებ; მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება სტუდენტთა ლაბორატორიული სწავლება, რაც სასიკეთოდ წაადგება სამეცნიერო ბაზარზე მათ კონკურენტუნარიანობას... ვფიქრობ, უნივერსიტეტი კვლავ დაიბრუნებს სამეცნიერო ცენტრის სტატუსს და დაფინანსდება სამეცნიერო კვლევები; კვლავ აღდგება გამოჩენილი ქართველი მეცნიერების სახელობის საუნივერსიტეტო კონკურსები სახელმძღვანელოებსა და მონოგრაფიებზე. ეჭვი არ მეპარება, რომ 2012 წელი უნივერსიტეტისთვის წარმატებული წელი იქნება.

მინდა, უნივერსიტეტის ყველა თანამშრომელს ვუსურვო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, ეკონომიკის გაძლიერება, წარმატებები მეცნიერებასა და პირად ცხოვრებაში, სიმშვიდე, მრავალი ბედნიერი და სასიხარულო დღე... გილოცავთ ახალ, 2012 წელს!

ხმა შორეულ სოფლებსაც უნდა მივაწვდინოთ

მარინე ლომოური,
თსუ-ის რექტორის მრჩეველი:

— პირველი და უმთავრესი, რაც ჩვენს ახალგაზრდობას დღეს სჭირდება, ეს არის ცხოვრების პერსპექტივაში განათლების როლისა და პროფესიული მომზადების მნიშვნელობის სწორი გააზრება. როცა ქვეყანაში მძიმე ეკონომიკური და სოციალური ფონია, განათლება, თითქოს, მეორე პლანზე გადადის, მაგრამ ამ დროს პირიქით უნდა მოხდეს — ეს გაჭირვება განათლებით უნდა დავძლიოთ, რათა ახალგაზრდობამ ღირსეული მომავალი შეიქმნას. ამ მიზნის მიღწევას კიდევ გამბედაობა და საკუთარი თავის რწმენაც სჭირდება. ამიტომ, სასწავლო დაწესებულების როლი, ამ მხრივ, საკმაოდ მნიშვნელოვანია. სწორედ ამ ფუნქციას ემსახურება თსუ-ის „საბავშვო უნივერსიტეტი", რომელიც ერთადერთია საქართველოში და მთელ საქართველოს მოიცავს. თსუ-ის „საბავშვო უნივერსიტეტში" მოსწავლეები გორიდან, რუსთავიდან, საგარეჯოდან, ბათუმიდან, ქუთაისიდან და სხვა ქალაქებიდან თუ სოფლებიდან ჩამოდიან, მაგრამ ჩვენ გვინდა, ხმა შორეულ სოფლებსაც კი მივაწვდინოთ და მოსწავლეებს დავანახოთ, რომ ისინი, მომზადების დონით, ნამდვილად არაფრით ჩამოუვარდებიან დედაქალაქის სკოლის მოსწავლეებს.

სკოლის საგანმანათლებლო დონე არ უნდა იყოს გამიჯნული უმაღლესი განათლების დონისგან. გაცილებით სასარგებლო იქნება სკოლისა და უნივერსიტეტის მჭიდრო კავშირი. ამიტომ გვინდა, რომ თსუ-ის კონტაქტი სკოლებთან უფრო გაფართოვდეს და გაღრმავდეს.

თსუ-ის „საბავშვო უნივერსიტეტი" რამდენიმე ფუნქციას ემსახურება — მან, პირველ რიგში, უნდა გააფართოოს მოსწავლის ინტერესი მეცნიერებების მიმართ. გარდა ამისა, როდესაც მოსწავლე „საბავშვო უნივერსიტეტის" მსმენელი ხდება, მას საკუთარი აზრის, შეხედულების ჩამოყალიბებაც უწევს და მისი ხმამაღლა გაცხადებაც. ეს კი მას საკუთარი თავის რწმენასა და გაბედულებას მატებს. ადამიანმა უნდა იცოდეს, რომ მას აქვს უნარი — საინტერესო იყოს სხვა ადამიანებისთვის; რომ მის ნააზრევს მნიშვნელობა აქვს საერთო ჭეშმარიტების ძიებაში... თსუ-ის სადისკუსიო კლუბები, კონფერენციები, შეხვედრები სწორედ ამას ემსახურება და გვინდა, რომ ამ ღონისძიებებში სულ უფრო მეტი და მეტი მოსწავლე ჩაებას. ჩვენ „საბავშვო უნივერსიტეტების საერთაშორისო გაერთიანების" წევრები გავხდით. სულ ცოტა ხნის წინ ანკარაში (თურქეთი) ამ გაერთიანების კონფერენცია გაიმართა, სადაც მიწვეულნი ვიყავით. იქ ყოფნისას დავრწმუნდი, რომ ჩვენ სწორი მიმართულებით ვმუშაობთ.

მიუხედავად სოციალური გაჭირვებისა, არ უნდა დავკარგოთ არც ერთი ძლიერი ინტელექტის მქონე მოსწავლე. ქვეყანას ამის ფუფუნების უფლება არ აქვს — ქვეყნისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანია, თუ რამდენი უმაღლესი განათლების მქონე ადამიანი ეყოლება. ამ კუთხით მჭიდრო თანამშრომლობას ვგეგმავთ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრთანაც. ცენტრის დირექტორთან გია მამულაშვილთან საუბრისას გამოიკვეთა პოზიცია, რომ, ფაქტობრივად, „საბავშვო უნივერსიტეტის" საქმიანობა კლასგარეშე დატვირთვის როლს ასრულებს და ეს მუშაობა კარგად ვერ წარიმართება, თუ ბავშვებს სათანადო განწყობა არ ექნებათ. სწორედ ამ მხრივ სჭირდებათ მათ ხელშეწყობა.

ყველას მინდა, მივულოცო დამდეგი ახალი წელი! ვისურვებ, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ღირსეულად შეინარჩუნოს ის როლი და მისია, რაც მას დაარსების დღიდან აკისრია. დიდი იმედი მაქვს, რომ უნივერსიტეტი ყოველთვის გამორჩეული და საუკეთესო იქნება დანარჩენ უნივერსიტეტებს შორის. მინდა პატივისცემა და მადლიერება გამოვხატო თსუ-ის ადმინისტრაციის მიმართ, რომელიც ყოველთვის გვერდში გვიდგას და ხელს უწყობს „საბავშვო უნივერსიტეტის" გაძლიერებასა და გაფართოებას.

მოამზადა
თამარ დადიანმა

2012 წლის მიზანი — ევროპის სტუდენტური თვითმმართველობების კავშირში გაწევრიანება

თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობისთვის 2011 წელი წარმატებული აღმოჩნდა. თვითმმართველობის წევრებმა 2010 წელთან შედარებით გაცილებით მეტი საგანმანათლებლო-შემეცნებითი პროექტები განახორციელეს, რაც მათი მუშაობის ძირითადი პრიორიტეტი გახლდათ. კულტურის მიმართულებით, საქართველოში პირველად, ყველაზე მასშტაბურ საერთაშორისო ფოლკლორულ ფესტივალს გაუწიეს ორგანიზება. ამუშავდა სტუდენტთა უფლებების დაცვისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტებიც. 2011 წელს განეული მუშაობისა და 2012 წლისთვის დასახული მიზნების შესახებ უფრო დაწვრილებით თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი **დაჩი გუბაძე** *გვესაუბრება.*

ნატო ოგოლაძე

— როგორ შეაფასებთ წლის მანძილზე სტუდენტური თვითმმართველობის მუშაობას?

— 2011 წელი, სტუდენტური აქტივობის თვალსაზრისით, საკმაოდ წარმატებული იყო. ბევრი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა. ყველაზე მთავარი ის არის, რომ სტუდენტურმა თვითმმართველობამ ყველა დასახულ მიზანს მიაღწია. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ ჩვენს ღონისძიებებში 43 000-მა სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა. მართალია, ეს რიცხვი გაცილებით დიდია თსუ-ში ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობაზე, მაგრამ ახალგაზრდების ძირითადი ნაწილი რამდენიმე ამა თუ იმ პროექტში ერთდროულად მონაწილეობდა. ჩვენს პრიორიტეტს წარმოადგენდა საგანმანათლებლო-შემეცნებითი ღონისძიებების გამართვა და, შესაბამისად, ამ მიმართულებით ყველაზე მეტი პროექტი განხორციელდა.

— სტუდენტური თვითმმართველობის მისამართით არაერთხელ გამოუთქვამთ პრეტენზიები, რომ გაცილებით ნაკლებ საგანმანათლებლო-შემეცნებითი ღონისძიებები ეწყობა, ვიდრე კულტურულ-გასართობი. რა არის ამის მიზეზი?

— ეს ბრალდებები უკავშირდება პირველი მოწვევის თსუ-ის სტუდენტურ თვითმმართველობას. მესამე მოწვევის თვითმმართველობამ კი განათლების მიმართულებით ბევრად უფრო მეტი პროექტი განახორციელა, ვიდრე კულტურული, სპორტული ან გასართობი. როგორც გითხარით, ჩვენთვის პრიორიტეტს წარმოადგენს საგანმანათლებლო-შემეცნებითი მიმართულება. მაგალითად, ინტელექტუალურ თამაშში „რა? სად? როდის?" თუ ადრე 300-400 სტუდენტი იღებდა მონაწილეობას, ახლა ეს რიცხვი 700-მდე გაიზარდა. ტარდება არატრადიციული სახის ინტელექტუალური თამაშებიც — „ბრეინ რინგი", „ერუდიტი" და ა.შ. 2011 წლის საგაზაფხულო სემესტრში სტუდენტურ კონფერენციებში გამარჯვებულები სტაჟირებაზე გავუშვით რამდენიმე კომპანიაში, მათ შორის, კომპანია „ჰაიდელბერ ცემენტსა" და საქართველოს ტურიზმის დეპარტამენტში. აქტიურად ვთანამშრომლობთ „საქართველოს სტუდენტთა დასაქმების ცენტრთან", რომელიც ჩვენს პროექტებში მონაწილე ახალგაზრდების სტაჟირებასა და დასაქმებაში გვეხმარება.

— ერთერთი მთავარი მიზანი, რაც თქვენ 2011 წლისთვის დაისახეთ, სტუდენტთა უფლებების დაცვის დეპარტამენტის გააქტიურება გახლდათ. რამდენად ნაყოფიერად იმუშავა ამ დეპარტამენტმა?

— ეს, მართლაც, ჩვენი ერთერთი პრიორიტეტი იყო. ამ ერთი წლის მანძილზე აკადემიური პერსონალის მხრიდან სტუდენტთა უფლებები არაერთხელ დაირღვა. ჩვენ საქმის კურსში ჩავაყენეთ ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, რექტორიც, გამოვიყენეთ ყველა ხელთ არსებული ბერკეტი და სტუდენტებს დავეხმარეთ. მოგვარდა რამდენიმე მასშტაბური პრობლემაც. მაგალითად, დამატებით სემესტრში მყოფი სტუდენტები, ნაცვლად 1500 ლარისა, გაზრდილ სწავლის საფასურს

დაჩი გუბაძე

— 2250 ლარს იხდიდნენ. ჩვენი ორგანიზებით სტუდენტების ხელმოწერები შეგროვდა და, შედეგად, დამატებითი სემესტრის საფასური კვლავ 1500 ლარი გახდა.

— რა სიახლეს შესთავაზებთ მომავალ წელს თსუ-ის სტუდენტებს?

— მომავალი წელი უფრო დატვირთული იქნება. წელს პირველკურსელთა რაოდენობაც გაიზარდა და, შესაბამისად, საჭიროა უფრო ბევრი საინტერესო პროექტის განხორციელება. ჩვენი ძირითადი პრიორიტეტი კვლავ საგანმანათლებლო-შემეცნებითი ღონისძიებების გამართვა იქნება და ამ მიმართულებით უფრო მეტი პროექტი განხორციელდება. თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის განათლებისა და მეცნიერების დეპარტამენტი ახლა უკვე ყველა ფაკულტეტზე ფუნქციონირებს და შესაძლებელი იქნება კონფერენციების მოწყობა კონკრეტული სპეციალობების მიხედვითაც.

2011 წელს, როგორც იცით, თბილისში სტუდენტური თვითმმართველობების საერთაშორისო ფორუმიც ჩატარდა. 2012 წელს კი გაცილებით დიდი მასშტაბის ანალოგიური შინაარსის ფორუმის გამართვას ვგეგმავთ. მასში მსოფლიოს 40 ქვეყნის წამყვანი უნივერსიტეტების სტუდენტური თვითმმართველობების წარმომადგენლები მიიღებენ მონაწილეობას. ეს ღონისძიება სტუდენტური თვითმმართველობის, როგორც ინსტიტუტის, განვითარებისთვის მეტად მნიშვნელოვანი იქნება.

— თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობა გეგმავდა საგარეო ურთიერთობების დეპარტამენტის მუშაობის გააქტიურებასაც. რა სიახლეებს უნდა ველოდოთ ამ მხრივ?

— საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი ახორციელებს მოლაპარაკებებს პარტნიორ უნივერსიტეტებთან. ჩვენი მიზანია ევროპის სტუდენტური თვითმმართველობების კავშირში გაწევრიანება. რამდენიმე კვირის წინ ამ კავშირის წარმომადგენლები დაგვეკონტაქტდნენ, რომლებიც გაზაფხულისთვის თბილისში ჩამოსვლასა და ვითარების ადგილზე შესწავლას გეგმავენ. ვიმედოვნებთ, რომ 2012 წლის შემოდგომისთვის საქართველოს უნივერსიტეტების თვითმმართველობები ევროპის სტუდენტური თვითმმართველობის კავშირის წევრები გახდებიან. კავშირში ოფიციალურად გაწევრიანების შემდეგ უცხოეთში მივლინებებსა და გაცვლითი პროექტების განხორციელების შესახებ საუბარი უფრო რეალური გახდება.

თსუ-ის ყველა სტუდენტსა და თანამშრომელს ვულოცავ ახალ წელს. ვუსურვებ, რომ 2012 წელი მათთვის წარმატებისა და ბედნიერების მომტანი ყოფილიყოს!

უნივერსიტეტი გილოცავთ

2012 წელზე ორიენტირებული იმედები

თსუ-ის ადმინისტრაცია საუნივერსიტეტო ცხოვრების მთავარი არტერიაა, თითოეული დეპარტამენტის ხელმძღვანელს თუ თანამშრომელს გაცნობიერებული აქვს ის პასუხისმგებლობა, რომ საუნივერსიტეტო საზოგადოებას, განურჩევლად ასაკისა, სტატუსისა, განწყობისა თუ პოზიციისა კეთილსინდისიერად მოემსახუროს. რა გეგმები აქვთ და რა იმედით ხვდებიან ახალ წელს? — ამის „ამოთქმას“ ყველა მათგანის პიროვნულ შტრიხებამდე გავყავართ.

დალი კანდელაკი,
სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი:

— სასწავლო პროცესის მართვის კუთხით უნივერსიტეტში ბევრი პრობლემა იყო, რომელიც წინა წლის განმავლობაში ადეკვატურად შეფასდა და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებით მოხდა მათი მოგვარება. მართვის ახალი მენეჯმენტის დანერგვამ და შესრულებული სამუშაოს ხარისხის მუდმივმა მონიტორინგმა მკვეთრად გაუმჯობესა დეპარტამენტის პოზიციები.

ახალ ინიციატივებსა და სამომავლო გეგმებზე დაუსრულებლად შეიძლება საუბარი. სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის კომპეტენტური საქმიანობა ხომ უნივერსიტეტის რეიტინგის განმსაზღვრელია. სასწავლო პროცესის მართვის პროცესის მიმართულებით კიდევ ბევრი რამ არის გასათვალისწინებელი და შესაჯერებელი.

2012 წელს დეპარტამენტი ბინას უნივერსიტეტის პირველ კორპუსში დაიდებს. განთავსებული ვიქნებით სამ აუდიტორიაში. ერთერთ მათგანში — ,,სტუდენტთა მომსახურება" — განთავსდება საინფორმაციო სამსახური, სადაც სტუდენტი ამომწურავ პასუხს მიიღებს სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე. იქვე მოხდება დიპლომების გაცემა და სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში წარმოშობილი ხარვეზის გამოსწორება.

ყველაზე საშური საქმეა სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის დახვეწა, რაც უნივერსიტეტის გამართული მუშაობის აუცილებელი წინაპირობაა. ამ მიმართულებით უკვე მიღებულია ზომები და, სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებთან ერთად, აქტიურად ვართ ჩართულები ამ პრობლემის გადაწყვეტაში.

ჩვენი საქმიანობის მნიშვნელოვანი ელემენტი იქნება ფაკულტეტებიდან წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამების, კურიკულუმებისა და პედაგოგთა დატვირთვების მონიტორინგი დადგენილ ნორმებსა და ფაქტობრივ რეალობასთან მათი თავსებადობის თვალსაზრისით. დეპარტამენტის მიერ შემუშავებულ დასკვნებზე ბევრად იქნება დამოკიდებული 2012 წელს უნივერსიტეტში ჩასატარებელი აკადემიური პერსონალის კონკურსი.

აქტიურად გავაგრძელებთ მუშაობას ,,სტუდენტის გზამკვლევის" და სხვა საცნობარო მასალის შემუშავებისათვის. პროექტის — „შეამოწმე შენი ცოდნა" ფარგლებში ვუმასპინძლებთ აბიტურიენტებს და დავაფუძნებთ უფასო საზაფხულო სკოლას. დაგეგმილი გვაქვს მოსამზადებელი სამთვიანი კურსების ორგანიზება მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის.

დეპარტამენტი ორგანიზებას გაუწევს შემოერთებული უნივერსიტეტების წინა წლების კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი დიპლომების, დიპლომის დანართების, სერტიფიკატების, აკადემიური ცნობების დამზადებისა და გაცემის პროცესს.

ახალ 2012 წელს ჩემს უნივერსიტეტს ვუსურვებ წარმატებებს და მსოფლიო საუნივერსიტეტო საგანმანათლებლო სივრცეში უფრო დიდ აღიარებას, აკადემიურ და სამეცნიერო პერსონალს — სამეცნიერო მიღწევებს, სტუდენტებს – სწავლაში საუკეთესო შედეგებს, რათა ინტელექტუალური შრომის ბაზრის მკაცრ მოთხოვნებს უპასუხონ, ადმინისტრაციას კი – ახალ ინიციატივებსა და სიმშვიდეს.

ნინო დურგლიშვილი,
თსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი:

— მომავალი წლიდან გეგ-მები მართლაც ბევრი გვაქვს, რაც, პირველ რიგში, შრომის ბაზრის კვლევასთან არის დაკავშირებული. ამ თემაზე მთელი ქვეყნის მასშტაბით უკვე ჩატარდა კვლევა, რაც ხელს შეუწყობს მნიშვნელოვანი ფუნდამენტის შექმნასა და უნივერსიტეტის ერთერთი ძირითადი პრობლემის — კურსდამთავრებულთა დასაქმების მოგვარებას. ჩემი აზრით, ეს იქნება ის სასიკეთო საქმე, რომელსაც ჩვენი სამსახური გააკეთებს უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის. მომავალი წლიდან დაგეგმილია ცვლილებები აკადემიურ პერსონალთან მიმართებაშიც. გააქტიურდება მათი ინიციატივების მხარდაჭერა, ასევე, აკადემიური თავისუფლების ხარისხი. სახელმწიფო უნივერსიტეტის მთავარ ღერძს წარმოადგენს სტუდენტისა და ლექტორის ურთიერთობა, ამიტომ ორივე მხარის ინტერესები მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული. იმედი მაქვს, რომ ჩვენი გეგმები მომავალი წლიდან წარმატებით განხორციელდება.

დამდეგ შობა-ახალ წელს ვულოცავ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყველა სტუდენტს, თანამშრომელსა და მთელ საქართველოს!

გიორგი ღვედაშვილი,
სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის უფროსი:

— განვლილი წელი უნივერსიტეტისა და ჩვენი დეპარტამენტისთვის მნიშვნელოვანი იყო იმით, რომ უნივერსიტეტის წიაღში ხორციელდებოდა 200-ზე მეტი სამეცნიერო პროექტი, რომელთაგან 80-ზე მეტი საერთაშორისო პროექტი გახლდათ. ეს მიუთითებს წამყვან საერთაშორისო სამეცნიერო ცენტრებთან, უნივერსიტეტებთან და ინსტიტუტებთან ჩვენი მეცნიერების წარმატებულ კოლაბორაციაზე. მათ მიერ მაღალრეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომები და დაფინანსებული პროექტები კი მოწმობენ, რომ უნივერსიტეტი ტრადიციულად ქართული მეცნიერების ფლაგმანია და, შესაბამისად, მომავალში იმედი უნდა გვქონდეს, რომ გრანტებისა და სამეცნიერო პუბლიკაციების რიცხვი კიდევ უფრო გაიზრდება.

წელს უნივერსიტეტის სახელით რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდში 300-ზე მეტი პროექტია წარდგენილი, მათგან 90 — გამოყენებითი სამეცნიერო კვლევების მიმართულებით.

2012 წლის იანვარში უკვე გვექნება რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდში წარდგენილი პროექტების შედეგები. ბუნებრივია, იმის ილუზია არავის აქვს, რომ ყველა პროექტი დაფინანსდება, მაგრამ ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ, ტრადიციულად, ყველაზე მეტი გრანტი უნივერსიტეტის ანგარიშზე იქნება, როგორც ეს წლების განმავლობაში ხდებოდა.

ვიმედოვნებ, მომავალ წელს კვლევების დაფინანსების მოცულობა კიდევ უფრო გაიზრდება, რადგანაც უნივერსიტეტის შემადგენლობაში ახლად შემოერთებულმა სამეცნიერო ინსტიტუტებმა მნიშვნელოვნად გაზარდა უნივერსიტეტის სამეცნიერო პოტენციალი, რაც წარდგენილ გრანტთა რაოდენობაში აისახა.

მინდა ხაზი გავუსვა კიდევ ერთ გარემოებას:

ახალი წლიდან ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე დაიწყება სტუდენტური სამეცნიერო პროექტების დაფინანსება, რაც საკმაოდ მნიშვნელოვანია და ვისურვებდი, რომ სხვა ფაკულტეტებმაც მიბაძონ მას.

ჩემი აზრით, ახალი წელი უნივერსიტეტის სამეცნიერო საზოგადოებისთვის თავბრუდამხვევი წარმატების წელი იქნება!

მინდა, უნივერსიტეტის თითოეულ თანამშრომელს და მეცნიერს მივულოცო ახალი წელი, ვუსურვო წარმატება, სიხარული და უნივერსიტეტის კიდევ უფრო გაძლიერება.

უნივერსიტეტი ჩვენი სახლია და თითოეულმა უნდა იზრუნოს ამ სახლზე, რათა ყველამ კარგად ვიგრძნოთ თავი!

ქეთი ცინცაძე,
აკადემიური განვითარებისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ხელმძღვანელი:

— აკადემიური განვითარებისა და უწყვეტი განათლების ცენტრი მომავალი წლისთვის საკმაოდ საინტერესო ახალი ინიციატივების განხორციელებას გეგმავს. კერძოდ, ჩვენი სურვილია ახალი, მოკლევადიანი სასერტიფიკაციო კურსები შეიქმნას, რომელთა დაკონკრეტებისგან, ჯერჯერობით, თავს შევიკავებ. გარდა ამისა, გვექნება ტრენინგ-კურსები, რომელიც, იმედია, სტუდენტებს დააინტერესებს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყველა სტუდენტს და თანამშრომელს მივულოცავ შობა-ახალ წელს. ვისურვებდი, რომ მომავალი წელი უფრო მეტად წარმატებული და ამასთან, მშვიდობიანი იყოს.

გიორგი ტალახაძე,
თსუ-ის მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი:

— დეპარტამენტის უპირველეს საზრუნავად რჩება თსუ-ში სარემონტო სამუშაოების გაგრძელება. ასევე დიდი ყურადღება მიექცევა თსუ-ის ინფრასტრუქტურის განვითარებას. მომავალი წლიდან იგეგმება ბიბლიოთეკების, აუდიტორიების, ლაბორატორიების, სამუშაო ოთახებისა და შიდა ეზოების კეთილმოწყობა, ასევე, სასწავლო ინვენტარის განახლება-შეცვლა.

მინდა, ყველა უნივერსიტეტელს მივულოცო შობა-ახალი წლის დადგომა და ვუსურვო, რომ 2012 წელი ყოფილიყოს წარმატების, სიკეთისა და სიხარულის მომტანი!

ნუნუ ოვსიანიკოვა,
თსუ-ის კანცელარიის უფროსი:

— ახალი წლიდან იგეგმება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ელექტრონული საქმის წარმოებაზე გადასვლა, რის შედეგადაც გაუმჯობესდება მომსახურეობის ხარისხი, გაიზრდება ოპერატიულობა და ინფორმაციულობა. უნივერსიტეტს სერიოზული მიზნები აქვს დასახული, რომლის განხორციელებას ახალი წლიდან აპირებს. გაისად მნიშვნელოვანი გარდაქმნების წინაშე ვდგავართ და იმედი მაქვს, რომ ყველაფერს ღირსეულად გავართმევთ თავს.

მინდა, ახალი წელი გამარჯვებების, წარმატებების და საქართველოს გამთლიანების წელი ყოფილიყოს.

არჩილ კუკულავა,
თსუ-ის იურიდიული დეპარტამენტის უფროსი:

— თსუ-ის იურიდიული დეპარტამენტისათვის 2011 წელი ნაყოფიერი იყო — თითქმის ყველა დავა მოვიგეთ სასამართლოში, რაც არა მარტო ჩვენი დამსახურებაა, არამედ იმის მანიშნებელიც, რომ თსუ-ის ადმინისტრაცია კანონთან შესაბამისობაში მუშაობს.

მინდა, ახალი წელი მივულოცო უნივერსიტეტის ყველა თანამშრომელს, ყველა სტუდენტს... ვუსურვო მათ მხნეობა, ჯანმრთელობა, წარმატებები!

თეა გერგედავა,
თსუ-ის საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსი:

— ჩვენ წლების განმავლობაში აქტიურად ვთანამშრომლობთ ჩვენს პარტნიორ უნივერსიტეტებთან, ვახორციელებთ მათთან ერთობლივ სამაგისტრო პროგრამებს, ვმუშაობთ უცხოელი პროფესორების მოწვევაზეც, რაშიც ფინანსურ დახმარებას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო გვიწევს. მომავალ წელს ეს საქმიანობა ჩვეულებრივ გაგრძელდება. ამას დაემატება ის, რომ 2012 წლიდან რამდენიმე ახალი გაცვლითი პროგრამა ამოქმედდება, მათ შორის, ბრემენის უნივერსიტეტთან.

მომავალ წელს თანამშრომლობის 30 წელი სრულდება ზაარლანდის უნივერსიტეტთან და ამ თარიღის აღსანიშნავად ვემზადებით. საზეიმოდ აღინიშნება, აგრეთვე, ქართულ-გერმანული საგანმანათლებლო ურთიერთობის 20 წლისთავიც.

ყველას ვულოცავ დამდეგ ახალ წელს და მშვიდ, მაგრამ დინამიურ სამუშაო გარემოს ვუსურვებ.

ირაკლი ხარჯავანიძე,
კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელი:

— მომავალი წლიდან უნივერსიტეტის კულტურისა და სპორტის დეპარტამენტი გეგმავს გაზარდოს სტუდენტთა ჩართულობა სხვადასხვა სპორტულ და შემოქმედებით სექციებში. ჩვენი მიზანია, სტუდენტები ჩამოვაშოროთ არასწორ ზეგავლენას და დავეხმაროთ მათ თავისუფალი დროის სწორ დაგეგმვაში. 2012 წლიდან გაიზრდება სტუდენტთა რაოდენობა სხვადასხვა სექციებში. ახალი საკონცერტო დარბაზი საშუალებას მოგვცემს უფრო მრავალფეროვნად გავმართოთ შემოქმედებითი საღამოებიც.

ვისურვებდი, მომავალი წელი ყოფილიყოს აღმშენებლობისა და ქვეყნის გაერთიანების წელი! მინდა, მივულოცო ახალი წელი სრულიად საუნივერსიტეტო საზოგადოებას. ყველას ვუსურვებ ჯანმრთელობასა და ღვთის მფარველობას!

თეა იმედაძე,
საგამოცდო ცენტრის ხელმძღვანელი:

— მომავალი წლიდან საგამოცდო ცენტრში მრავალი სიახლე იგეგმება, კერძოდ, 2012 წელს საგამოცდო ცენტრი ბაკალავრიატის და მაგისტრატურის, როგორც შუალედურ, ისე დასკვნით გამოცდებს ჩაიბარებს, რაც აქამდე ჩვენს კომპეტენციაში არ შედიოდა. ამისი მოთხოვნა თავად სტუდენტებისგან მოდიოდა და ჩვენ მაქსიმალურად გავითვალისწინეთ მათი ინტერესები. გარდა ამისა, მომავალი წლიდან გავხსნით სტუდენტთა მომსახურების ცენტრებს და სტუდენტებთან გვექნება აქტიური საინფორმაციო კამპანია, მათგან მიღებულ ინიციატივებს გავითვალისწინებთ და მაქსიმალურად ჩავრთავთ სასწავლო პროცესში.

მინდა, ყველა სტუდენტს და ადმინისტრაციის წარმომადგენელს მივულოცო ახალი წელი და ვუსურვო, რომ 2012 წელი მათთვის წარმატებული, იმედიანი და ხალისიანი ყოფილიყოს!

მაია გურაბანიძე,
მუზეუმის ხელმძღვანელი:

— პირველ რიგში ახალ კორპუსში გადასვლისათვის ვემზადებით, სადაც უნდა გაიხსნას საგამოფენო დარბაზი, რომელიც დამშვენდება მუზეუმის ფონდებში დაცული სახვითი ხელოვნების ნიმუშებით. ასევე, ვმუშაობთ ორ მუდმივმოქმედ ექსპოზიციაზე — პირველი არქეოლოგია (რომელიც განთავსდება გუმბათქვეშა სივრცის მეორე სართულზე) და უნივერსიტეტის დაარსების ისტორია (გუმბათქვეშა სივრცის პირველი სართული).

ყველას ვულოცავ ახალ წელს და ვუსურვებ ჯანმრთელობას და იმედიან მომავალს.

მე-15 გვერდზე

მათთვის უნივერსიტეტი დაოჯახების კერაც ყოფილა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ბევრი ადამიანისთვის მეორე ოჯახია, რომელმაც მათ პროფესიული წინსვლის გარდა, პირადი ბედნიერებაც მოუტანა. ჩვენ მოგიყვებით ნინო ჩიქოვანისა და მალხაზ მაცაბერიძის, რეზო ჯორბენაძისა და ნატა მეფარიშვილის, ნინო და მამუკა აბესაძეების ოჯახების ისტორიას, რომელიც უნივერსიტეტში დაიწყო და დღემდე მის ჭერ-ქვეშ გრძელდება.

საუბრის თემა მუდამ უნივერსიტეტია

ყველაფერი უნივერსიტეტში დაიწყო... ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სრულმა პროფესორმა ნინო ჩიქოვანმა და სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სრულმა პროფესორმა მალხაზ მაცაბერიძემ ერთმანეთი ისტორიის ფაკულტეტის პირველ კურსზე გაიცნეს. აქედან დაიწყო მათი ოჯახისა და მათი უნივერსიტეტთან ურთიერთობის 29 წლიანი ისტორია.

„მთელი ცხოვრება უნივერსიტეტში გავატარეთ. სხვადასხვა დროს გვიმუშავია სხვა ადგილებზეც, მაგრამ პარალელურად. ცხადია, რომ უნივერსიტეტზე ხშირად ვსაუბრობთ ოჯახში, რადგან ყველაფერმა, რაც აქ ამ წლების განმავლობაში ხდებოდა, ჩვენს მხრებზეც გადაიარა. ახლაც, თსუ-ში კარგი რამ ხდება თუ ცუდი, ყოველთვის ერთად განვიხილავთ, უამისოდ არ გამოდის. ძალიან დიდი ხანია, რაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვართ და ბევრი რამ ერთად გავიარეთ. ჩემი მეუღლე რჩევებსაც მაძლევს, მაგრამ გარკვეული საკითხების მიმართ, ბუნებრივია, სხვადასხვა დამოკიდებულება გვაქვს. ხანდახან იმდენად ბევრს ვლაპარაკობთ უნივერსიტეტზე, რომ ერთმანეთს ვაჩერებთ, რომ ცოტა ხნით მაინც ოჯახში სხვა თემაზეც ვისაუბროთ“, — გვითხრა ნინო ჩიქოვანმა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მაცაბერიძეების ოჯახისათვის მეორე ოჯახია, რომელსაც, უმეტესწილად, უფრო მეტი დრო და ენერგია მიაქვს, ვიდრე პირადს.

„განსაკუთრებული საახალწლო ტრადიცია ჩვენს ოჯახს არ აქვს. ამ დღესასწაულს ისე აღვნიშნავთ, როგორც ნებისმიერი სხვა ქართული ოჯახი, მაგრამ ხშირად ყოფილა, რომ უნივერსიტეტში 31 დეკემბერსაც კი გვიმუშავია. დატვირთული სამუშაო გრაფიკის გამო ხშირად გვითქვამს თანამშრომლებს, რომ, იქნებ, როგორმე ახალ წელს მაინც შევხვდეთო სახლში“, — ასე გვიხსნის საკუთარი ოჯახის წევრთა დატვირთვის გრაფიკს ქალბატონი ნინო, რომელიც უნივერსიტეტის თანამშრომელი უფრო ხშირად არის, ვიდრე ოჯახის დიასახლისი.

ამბობენ, რომ მეუღლეებისათვის ერთ უწყებაში მუშაობა ადვილი არ არის, მაგრამ უნივერსიტეტის შემთხვევაში ეს მოსაზრება მცდარია. თსუ იმდენად დიდი დაწესებულებაა, რომ ნინო ჩიქოვანსა და მალხაზ მაცაბერიძეს სამსახურში ურთიერთობა თითქმის არ უწევთ, თუმცა ერთად მიუღიათ მონაწილეობა სამეცნიერო კონფერენციებში. საინტერესოა, რას ამბობენ იმ შემთხვევაში, როდესაც ერთ დაწესებულებაში არა მხოლოდ მეუღლეები, არამედ მათი შვილებიც მუშაობენ. მაცაბერიძეების ოჯახი ამ მხრივაც გამორჩეულია. შვილებმა მშობლების ტრადიცია განაგრძეს. დავით და ბიძინა მაცაბერიძეებიც თსუ-ში მუშაობენ. ორივე ასისტენტ-პროფესორია. დავით მაცაბერიძე სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტია, ბიძინა კი — ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის, პროფესიით კი იგი პროგრამისტი გახლავთ.

„ვფიქრობ, იმ ფაქტმა, რომ მშობლები თსუ-ში მუშაობენ, ჩვენი შვილების გადაწყვეტილებაზე არ უმოქმედია. ლექციებსაც ვუკითხავდი იმ ჯგუფს, რომელშიც ჩემი შვილი სწავლობდა. მიმაჩნია, რომ ეს არ არის კარგი შემთხვევა – დედა-შვილი ლექტორისა და სტუდენტის როლშია. მიუხედავად ამისა, გაგვიმართლა. მეორე შვილთან დაკავშირებით ეს საკითხი უფრო მარტივად გადაწყდა — მან სხვა პროფესია აირჩია. ჩვენი შვილები, თქვენ წარმოიდგინეთ, ხანდახან საყვედურის ტონითაც კი გვეუბნებიან, რომ ჩემი და მალხაზის მუშაობა უნივერსიტეტში მათ ყოველთვის ხელს უშლიდათ და მეც, გარკვეულწილად, ვეთანხმები. ვფიქრობ, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ბევრ რამეს, ალბათ, უფრო თავისუფლად გააკეთებდნენ“, — გვითხრა ნინო ჩიქოვანმა.

სამწუხაროდ, მაცაბერიძეების ოჯახიდან ინტერვიუზე მხოლოდ ქალბატონი ნინო დაგვთანხმდა. ბატონმა მალხაზმა თავი აარიდა პირად ცხოვრებაზე საუბარს და ცივი უარით გამოგვისტუმრა. ეჭვი გვაქვს, რომ დიდხანს ცდილობდა პოლიტოლოგი მალხაზ მაცაბერიძე მეუღლის გადაბირებას, მაგრამ „ჰუმანიტარმა” ნინო ჩიქოვანმა ჰუმანურად დააკმაყოფილა ჩვენი ცნობისმოყვარეობა იმ ოჯახზე, რომელიც უნივერსიტეტშიც ცხოვრობს და ვაკეში, იოველ ქუთათელაძის №5-შიც.

პროფესია ღრმად შეჭრილა მათ ოჯახში

29 წელი არა, მაგრამ წელიწადი და ორი თვეა, რაც თსუ-ის წიაღში კიდევ ერთი ლამაზი ოჯახი შეიქმნა. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ რეზო ჯორბენაძემაც თავისი მეუღლე — ფსიქოლოგი ნატა მეფარიშვილი უნივერსიტეტში გაიცნო. რამდენიმე წლის მეგობრობა სიყვარულში გადაიზარდა. ახლახანს მათ ოჯახს ახალი წევრიც შეემატათ — პატარა ნინო ჯორბენაძე. კიდევ ერთი უნივერსიტეტელი ოჯახის უფრო ახლოს გასაცნობად წყვილს სახლში ვეწვიეთ.

„ნატას სტუდენტობის პერიოდიდან ვიცნობ. მაშინ დამწყები ლექტორი ვიყავი. ძალიან კარგი და მეგობრული ურთიერთობა გვქონდა. შემდეგ ერთ სფეროში ვმუშაობდით. ჩვენს დაახლოებას, ვფიქრობ, იმანაც შეუწყო ხელი, რომ თამადა ვიყავი მისი „დესერტაციის დაცვაზე“. დაოჯახება კი ერთი წლის წინ გადავწყვიტეთ“, — იხსენებს რეზო ჯორბენაძე.

უნივერსიტეტის თემა მათ ოჯახშიც აქტუალურია. ნებისმიერი სიახლე, რაც თსუ-ში ხდება, მათთვისაც ყოველთვის საინტერესოა. „ბუნებრივია, როდესაც დიდი ხანია მუშაობ, სამსახური შენი ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი ხდება. ვერ ვიტყვი, რომ უნივერსიტეტი ჩემთვის მეორე ოჯახია, თუმცა ძალიან მნიშვნელოვანია. ნატა სხვა უნივერსიტეტშიც კითხულობს ლექციებს, მაგრამ, რა თქმა უნდა, თსუ-დან არ წასულა და აქაც აქვს საათები. ბოლო პერიოდში უნივერსიტეტში ძალიან ბევრი რაღაც ხდება, რის შესახებაც ხშირად ვსაუბრობთ. ყურადღებით ვადევნებდით თვალს დიმიტრი უზნაძის 125 წლის იუბილესადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციას. აუცილებელია, ვიცოდეთ, ვინ რაზე და როგორ მუშაობს, რა სიახლეებია ამ მიმართულებით,“ — ამბობს ბატონი რევაზი, რომლის საუბარში ქალბატონი ნატაც ერთვება: „ამ კონფერენციაში მონაწილეობა არ მიმიღია, რადგან, ძირითადად, ის ადამიანები კითხულობდნენ მოხსენებებს, რომლებიც განწყობის თეორიაზე მუშაობენ. ამ ეტაპზე ბავშვის აღზრდით ვარ დაკავებული. ჩემი სამუშაო მხოლოდ პაციენტებთან ურთიერთობით შემოიფარგლება, მაგრამ 2012 წლის საგაზაფხულო სემესტრიდან ისევ წავიკითხავ ლექციებს“.

„შვილთან უშუალო ურთიერთობა ძალიან მნიშვნელოვანია. მაგალითად, აუცილებელია, რომ ბავშვმა დედის იავნანა მშობლიურ ენაზე მოისმინოს. მსგავს ნიუანსებს დიდ ყურადღებას ვაქცევთ იმისათვის, რომ ბავშვმა თავი კარგად იგრძნოს. ასეთ შემთხვევებში ჩვენი ცოდნა დიდ როლს თამაშობს. საერთოდ, არ შეიძლება რამე დააძალო ბავშვს. მაგალითად, მე არ მომწონდა, როდესაც მუსიკაზე მატარებდნენ, კალათბურთი უფრო მაინტერესებდა. ჩემმა მშობლებმა ეს გაითვალისწინეს და არ დაუძალებიათ მუსიკის სწავლა,” — ასეთია მამა — რეზო ჯორბენაძე.

გარდა საერთო პროფესიისა, მეუღლეების ინტერესები სხვა შემთხვევებშიც ემთხვევა ერთმანეთს. მაგალითად: კინო, თეატრი,

მოგზაურობა... თუმცა ბატონმა რეზომ ცოტა წაიწუწუნა: „კინოში ხშირად ვეღარ დავდივართ, ბავშვს დიდი დრო სჭირდება, თუმცა თეატრის ხშირი სტუმრები მაინც ვართ“.

ჯორბენაძეების ოჯახში სტუმრობისას ჩვენ მათ „სამზარეულოშიც” შევიხედეთ და საჯაროზე კულუარული ამბებიც გამოგვაქვს: „საოჯახო საქმეებში ხშირად ვეხმარები, მაგრამ ჩემი გაკეთებული მაინცდამაინც არ მოსწონს. ჩვენს ურთიერთობაში არ ხდება ისე, რომ კაცი სამსახურში უნდა იყოს და ქალმა ოჯახს მიხედოს. ეს, უბრალოდ, საქართველოში შექმნილი გარკვეული იმიჯია და, ჩემი აზრით, არასწორია. ოჯახში აუცილებელია ურთიერთდახმარება,“ — ასეთია დაწუნებული „მზარეულის“ რეზო ჯორბენაძის მოსაზრება, რომლის ფსიქოლოგიასაც მეუღლე მიესალმება. „თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ძალიან გამიმართლა. ბევრი მამაკაცი არსებობს ე.წ. „ქართული მენტალიტეტის“, რომელიც ბავშვის აღზრდის პროცესში უმცირეს მონაწილეობასაც კი არ იღებს. ბევრს მზა საჭმლის გამოტანაც კი არ შეუძლია. ამ მხრივ რეზო მართლაც რომ უნიკალური ადამიანია,“ — აქებს მეუღლეს ქალბატონი ნატა და როგორც გავარკვიეთ, კამათის დროსაც, თურმე, ბატონი რეზო უფრო დამთმობია. „პროფესიით კონფლიქტოლოგიც ვარ და ამიტომ შემიძლია კონფლიქტის გამოწვევაც და მოგვარებაც,“ — დასძენს ბატონი რეზო. ასე რომ, პროფესია ღრმად შეჭრილა ჯორბენაძეების ოჯახში და უნივერსიტეტში მიღებული განათლება და კულტურა ერთ კარგ ქართულ ოჯახსაც კვებავს.

„დაპყრობის“ ნიჭი მამიდან შვილსაც გადაეცა

თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორის ნინო აბესაძისა და საფინანსო დეპარტამენტის საგეგმო-საფინანსო განყოფილების უფროსის მამუკა აბესაძის ურთიერთობის ისტორიაც თსუ-ში დაიწყო... „ნინო მისაღები გამოცდებიდან დამამახსოვრდა, ძალიან მომეწონა და ისე მოვახერხე, რომ პირველ სექტემბერს მერხთან მის გვერდით დავჯექი. მას შემდეგ ერთად ვართ. 2 ნოემბერს უკვე 25 წელი შესრულდა, რაც მეუღლეები ვართ. მარხვა რომ დამთავრდება, ვერცხლის ქორწილის გადახდასაც ვაპირებთ,“ — გვითხრა მამუკა აბესაძემ, რომლის სიყვარულის ამბავიც, თურმე, თითქმის მთელ უნივერსიტეტს სცოდნია და მათ არა მარტო სტუდენტები, პროფესორ-მასწავლებლებიც კი გულშემატკივრობდნენ. ქალბატონი ნინო კი იხსენებს: „პოლიტიკურ ეკონომიას ჯემალ პაჭკორია გვიკითხავდა. ერთხელ, მის საგანში პირველმა მე ჩავაბარე გამოცდა და შემდეგ შევიდა მამუკა. ბატონი ჯემალი მას განსაკუთრებით ამხნევებდა – იცოდე, შენც ხუთიანი უნდა მიიღო, თავი არ მომჭრაო...”

ნინო და მამუკა აბესაძეები დამამთავრებელ კურსზე სწავლობდნენ, როდესაც სიონის ტაძარში ჯვარი დაიწერეს, მაგრამ მათთვის უნივერსიტეტიც ტაძარია, საიდანაც მათი პირადი ბედნიერება და პროფესიული წარმატება ერთდროულად დაიწყო. „ჩათვალეთ, რომ უნივერსიტეტში გავიცანი ადამიანი, რომელიც მთელი ცხოვრება მეყვარება. ფაქტობრივად უნივერსიტეტი ჩემთვის ყველაფერია, რადგან აქ ჩემს მეუღლეს შევხვდი. სკოლა რომ დავამთავრე, ჩემმა მშობლებმა სოხუმში წამიყვანეს, უნდოდათ იქ მესწავლა, მაგრამ თბილისში გამოვიპარე სასწავლებლად. ალბათ, ესეც ბედი იყო — აქ ნინო უნდა მენახა,“ — ასე საუბრობს მეუღლეზე წლების შემდეგაც ბატონი მამუკა, რომელსაც კარგად უგრძვნია და მიუღია უნივერსიტეტის მადლი.

აბესაძეების სახლში რომ შეხვალთ, პირველი, რაც თვალში მოგხვდებათ, წიგნების დიდი კარადაა, სადაც მხოლოდ ეკონომიკური ლიტერატურა აწყვია. წინასწარ რომ არ იცოდეთ, მაინც მიხვდებით — ოჯახში რამდენიმე ეკონომისტი ცხოვრობს და მათი ინტერესების დიდი ნაწილიც საერთოა. თუმცა, არის რამდენიმე საკითხი, რაზეც ნინო და მამუკა აბესაძეები ვერ თანხმდებიან.

„ნინოსთვის შეიძლება ცუდია, მაგრამ ერთი ჩვევა მაქვს — სამსახურის საქმეზე სახლში არ მიყვარს საუბარი, რადგან ეს სამსახურია და ოჯახი — ოჯახია. ნინოს კი უყვარს სამსახურზე სახლში საუბარი. უნივერსიტეტში ლექციებს რომ კითხულობს, მერე ინერციით სახლშიც იგივეს აგრძელებს. თავიდან ბოლომდე მიყვება ყველაფერს. მე ყოველთვის ისეთ ადგილებზე ვმუშაობდი, სადაც ინფორმაცია კონფიდენციალურია და ყველაფერს სახლში ვერ ილაპარაკებ. დღემდე ვერ ურიგდება, რომ ამ შემთხვევაში ძალიან სიტყვაძუნწი ვარ” — გვაძლევს აღიარებით ჩვენებას ბატონი მამუკა. მისი მეუღლე კი უთანხმოების წყაროს ამოშრობას თურმე სასწრაფოდ ცდილობს ხოლმე. აი, მაგალითიც: „ყოფილა შემთხვევა, როდესაც სხვადასხვა გადაცემების ყურება გვდომებია, თუმცა ეს პრობლემა მარტივად გადავჭერით. კიდევ ერთი ტელევიზორი შევიძინეთ. ცხოვრებაში არც ერთი გადაწყვეტილება არ მიმიღია მასთან შეუთანხმებლად. ყოველთვის მსიამოვნებს, როდესაც რაღაცას ვეკითხები და ისიც სიამოვნებით მპასუხობს,“ — ამბობს ქალბატონი ნინო.

ნინო და მამუკა აბესაძეებს ორი ვაჟი და ერთი ქალიშვილი ჰყავთ. უფროსმა ვაჟმა — ოთარ აბესაძემ მშობლების პროფესია აირჩია და ახლა თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მაგისტრანტია, თუმცა მას, მშობლების მსგავსად, სხვა ტრადიციაც გაუგრძელებია. ოთარ აბესაძემაც თავისი მეუღლე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიცნო. ისინიც ერთ ჯგუფში სწავლობდნენ.

„ოთარი და მისი მეუღლე ჩემი სტუდენტები იყვნენ. ყველაზე მკაცრად სწორედ მათ ვთხოვდი სწავლას. ყოველთვის ვეუბნებოდი ოთარს, რომ თუ თვითონ კარგად არ ისწავლიდა და არ დამაფასებდა, სხვაც ასევე მოიქცეოდა. ჩემი რძალიც ითვალისწინებდა ჩემს თხოვნას, რაც ძალიან მომწონდა,“ — აღნიშნავს დედამთილი-ლექტორი. ბატონი მამუკა კი შვილს ახლაც ეჯიბრება და სიამაყით დასძენს: „ჩემმა შვილმაც თავისი ჯგუფელი მოიყვანა ცოლად, მაგრამ მინდა გითხრათ, რომ ჩემსავით მაინც ვერ ივაჟკაცა. მე 1 სექტემბერს, ის კი 15 სექტემბერს მიუჯდა თავის მომავალ მეუღლეს გვერდით.“

ასე რომ, აბესაძეების ოჯახშიც ყველა პირადი საკითხი უნივერსიტეტს უკავშირდება და, შეიძლება ითქვას, რომ მათთვის უნივერსიტეტი გაცნობისა და დაოჯახების კერადაც ქცეულა. თუმცა, ჯერჯერობით, ამ კერაში მამა ჯობნის შვილს და არა პირიქით... მამულს ეს აწყობს თუ არა, გასარკვევი გვაქვს...

მოამზადა **ნატო ოგბოლაძემ**

თამადობის ინსტიტუტის 6 კონკურსანტი ფაკულტეტებიდან

ეს ადამიანები ქეიფს, როგორც ერთ ქართულ სიმღერაშია ნათქვამი, დილიდან ნამდვილად არ იწყებენ, მაგრამ ლექციების კითხვისა და სამეცნიერო მუშაობის შემდეგ არც კარგ მოლხენაზე ამბობენ უარს. თითოეულ მათგანს ქართველებისთვის ერთერთ საამაყო პროფესიაში — თამადობაში საკუთარი ერუდიციაც ეხმარება სუფრის წევრთა გულების დასაპყრობად. უნივერსიტეტს, ამ კუთხით, გაჭირვება არასდროს ჰქონია, პირიქით, „აღიარებული თამადების“ რიცხვი საუნივერსიტეტო წრეებიდან სულ უფრო იზრდება. თსუ-ის ფაკულტეტების აკადემიური პერსონალის გამოკითხვის შედეგად გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქციამ თითოეულ ფაკულტეტზე საუკეთესო თამადები გამოავლინა. მათთან გასაუბრება საშუალებას მოგვცემს თითოეული მათგანი თამადის ამპლუაში გავიცნოთ და მათგან, ამა თუ იმ ნიშნით, საუკეთესო გამოვარჩიოთ — ამის ფუფუნებას ყველა რესპონდენტი უშურველად გვაძლევს...

თამადა ცოტა „ლინგვისტიც“ უნდა იყოს

რამაზ ქურდაძე,
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი

— ბატონო რამაზ, ფაკულტეტმა საუკეთესო თამადად დაგასახელათ. როდის დაიწყო თქვენი „კარიერა?“

— თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრას წლების განმავლობაში ცნობილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, აკადემიკოსი, ბატონი შოთა ძიძიგური ხელმძღვანელობდა, რომელიც უბადლო თამადა გახლდათ. მე მისი ასპირანტი ვიყავი. მისგან ბევრი რამ ვისწავლე, მათ შორის ისიც, რომ ქართული სუფრა „აკადემიაა“ — ეს ბატონ შოთას ხშირად დაუმტკიცებია. მართალია, არც მისნაირი ხელმძღვანელი ვარ და არც მისნაირი თამადა, მაგრამ ამ დიდ, კოლორიტულ პიროვნებასთან სიახლოვემ ჩემში წარუშლელი კვალი დატოვა. კარგად მახსოვს, კონფერენციაზე მომხსენებელი რეგლამენტს რომ გადააცილებდა, ბატონი შოთა უმალ შეახსენებდა, რომ გამოსვლა დროზე დაემთავრებინა. სუფრასთან კი გვეტყოდა: აი, აქ შეგიძლიათ რეგლამენტის გარეშე რამდენიც გინდათ ილაპარაკოთო. 1986 წელს სოხუმში კონფერენცია გაიმართა, რის შემდეგაც დიდი სუფრა გაიშალა. ბატონმა შოთამ, როგორც ყოველთვის, დიდებულად ითამადა და მაშინდელ ასპირანტებს გვითხრა: მარტო უნივერსიტეტში კი არა, აქაც უნდა ისწავლოთო.

— როგორია ტრადიციული ქართული სუფრა?

— საქართველოს ყველა კუთხეს განსხვავებული ტრადიციები აქვს და ყველა პატივისცემის ღირსია, თუმცა განსაკუთრებით მომწონს სვანური სუფრის წესები, რომელთაც უფრო ახლოს იქ ჩემი პედაგოგიური მოღვაწეობის დროს გავეცანი, როდესაც 1983-1984 ნლებში ქართულის მასწავლებლად ვმუშაობ-დი მესტიის რაიონში, სოფელ კალაში. სვანები ყოველ სუფრას დიდი ღმერთის სადღეგრძელოთი იწყებენ — „ხოშა ღერბეთუ გვაშიდ“ — ამბობენ ისინი, ანუ, დიდი ღმერთი გვწყალობდესო. სხვათა შორის, ისინი ამ სადღეგრძელოს კომუნისტურ ყოფაშიც უცვლელად სვამდნენ, რასაც მოჰყვებოდა წმინდა გიორგის სადღეგრძელო — „ჯგრაგ გვაშიდ“, რაც ნიშნავს, წმინდა გიორგი გვწყალობდეს და „მიქელ თარინგზელუ გვაშიდ“ — მიქაელ მთავარანგელოზი გვწყალობდესო. სვანები განსაკუთრებით ხშირად სვამენ მატების სადღეგრძელოსაც, რომელშიც იგულისხმება გამრავლება, მატერიალური დოვლათის მატება და სხვა. კიდევ ერთი სვანური სადღეგრძელო მომწონს ძალიან: ამ ოჯახში ქუდის დამხურავი ხალხი ამრავლოს ღმერთმა, ეს ვაჟიანობის სადღეგრძელოა. ისე მომწონს ეს სადღეგრძელოები, რომ მეც ხშირად ვამბობ, როდესაც თამადა ვარ.

— როგორც ამბობენ, ხშირად გიწევთ თამადობა, როგორ უძღვებით სუფრას? თქვენი პროფესია თუ გეხმარებათ თამადობაში?

— ჩემი აზრით, დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორი საზოგადოებაა შეკრებილი სუფრასთან, რაც მთავარია, თამადას სუფრასთან მსხდომი არავინ უნდა დარჩეს უდღეგრძელებელი. ამასთან, თამადა ცოტა „ლინგვისტიც“ უნდა იყოს, რადგან ლინგვისტიკა კლასიფიკაციას მოითხოვს. თამადამ სუფრაზე შეკრებილი საზოგადოება უნდა დააჯგუფოს და ყველა ამის მიხედვით ადღეგრძელოს.

— განსაკუთრებით რომელი სუფრა დაგამახსოვრდათ, რომელსაც თქვენ, როგორც თამადა, უძღვებოდით?

— წლების წინ ჩვენმა ერთმა კოლეგამ, ავთანდილ არაბულმა დისერტაცია დაიცვა, რომელსაც „დესერტაცია“ მოჰყვა. სუფრა ორ ოთახში იყო გაშლილი, პატარა ოთახში, სადაც თავდაპირველად ახალგაზრდები ვისხედით, თამადობა ჩემმა მეგობრებმა მე მომანდეს და მეც ჩემებურად, იმ სტილში, როგორც ახალგაზრდებს გვჩვეოდა, შევუდექი თამადობას. ცოტა ხანში ამ ოთახში უფროსი თაობის ცნობილი პროფესორები მოიპატიჟეს: გუჩა კვარაცხელია, ქეთევან ლომთათიძე, ბელა ქობალავა, არამ მარტიროსოვი.. სტუმრების შემოსვლამ ისე დამაბნია, თავიდან ხმა ვერ ამოვიღე, ქალბატონი გუჩა მიხვდა ჩემი დაბნეულობის მიზეზს და გამამხნევა... მეც ნელ-ნელა სითამამე მომემატა და, საბოლოოდ, ყველაფერმა კარგად ჩაიარა. ეს, მართლაც, განსაკუთრებული შემთხვევა იყო — ქალბატონმა ქეთევანმა გაიხსენა, როგორ ჩამოყალიბდა ენათმეცნიერების ინსტიტუტი და ბატონი არამის დამსახურებაზე ისაუბრა, რომელიც ძველ კომუნისტურ პერიოდშიც, ანუ მაშინ, როდესაც ბევრი ისეთი საკითხი ირჩეოდა, რაც იმდროინდელ მთავრობას არ მოსწონდა, ახერხებდა ბევრი სასიკეთო საქმის გაკეთებას. ეს ადამიანები ცდილობდნენ, რომ პრობლემები ისე მოეგვარებინათ — პარტიასა და მთავრობას ნაკლებად გაეგოთ. ამგვარად, ამ სუფრასთან ბევრი საინტერესო ამბავი მოვისმინეთ, რაც ჩვენთვის, ახალგაზრდებისთვის, ძალიან საგულისხმო იყო. სუფრის მსვლელობისას ბატონი ავთო დრო და დრო შემოიხედავდა და გვკითხავდა: ხომ არაფერი გაკლიათო. ერთხელაც რომ შემოიხედა, ვუთხარი: ყველაფერი კარგად არის, სუფრა საუცხოოა, საზოგადოება ჩინებულია, ეგ არის, პატარა თამადა არ გვივარგა-მეთქი... ქალბატონი ქეთევანი ხუმრობას ვერ მიმიხვდა და მიამიტად წამოიძახა: „ეს არ არის, ბატონო, საყოველთაო აზრი!“ — ამ კომენტარმა ყველა გაამხიარულა.

კომპრომისების მოყვარული

დავით ბოსტოღანაშვილი,
იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი

— რას ნიშნავს თქვენთვის კარგი თამადობა და რამდენად ხშირად გიწევთ ქეიფი?

— ქართველი კაცი ქართული სუფრის სიყვარულის გარეშე წარმოუდგენელია. მუშაობის შემდეგ კარგი ლხინი ერთგვარი განტვირთვისა და დროის სასიამოვნოდ გატარების საუკეთესო საშუალებაა. მეც, ბუნებრივია, მიყვარს ქეიფი, განსაკუთრებით მეგობრების წრეში. ქართული სუფრის გამორჩეულობა თამადის ინსტიტუტის არსებობითაც მტკიცდება. თამადას ხომ სუფრაზე მნიშვნელოვანი ფუნქცია აქვს და მასზე ბევრი რამ არის დამოკიდებული — მხიარულება, სიმღერა, ცეკვა, იუმორი... ის, რაც სუფრასთან ხდება, ყველაფერი თამადის დამსახურებაა.

არ დაგიმალავთ და თამადობა ხშირად მიწევს — მეგობრების წრეში იქნება ეს თუ ქორწილში, ამიტომ ამ კუთხით გამოცდილებაც მაქვს. რა თქმა უნდა, ყველა სუფრას

თავისი „წესები“ აქვს და, შესაბამისად, ამ წესებს ვერგები. ქორწილში სადღეგრძელოებს სხვა „წყობა“ აქვს, დაბადების დღეს — სხვა და ა.შ. ამიტომ თამადა ყოველთვის მზად უნდა იყოს — სიტუაციის მიხედვით წარმართოს სუფრა.

— ყველაზე მეტად როგორ სუფრაზე მოგწონთ თამადობა?

— მეგობრების წრეში, თუმცა იქ ყველაზე რთულია თამადობა. მათთან ძნელია იყო ორიგინალური და სიახლე შესთავაზო, რადგან კარგად გიცნობენ და შენი ყველა „საიდუმლო“ გაშიფრული აქვთ.

— როგორც იურისტს, „დასჯის“ რა მეთოდები და რა „კანონები“ გაქვთ სუფრასთან?

— დასჯის რაიმე განსაკუთრებული მეთოდები არა მაქვს, მაგრამ მე სამართლის მიმართულებით ვმუშაობ და პროფესია იმ კუთხით მადგება, რომ უფრო ადვილად ვუღებ ალღოს შექმნილ სიტუაციას და შესაბამისად წარვმართავ სუფრას. თუ სუფრასთან არეულობაა, ეს თამადის ნაკლია. მან ისე უნდა წარმოაჩინოს სუფრა და ისე უნდა ითამადოს, რომ ყველამ მოუსმინოს. გამოგიტყდებით, ეს ქორნილში ძალიან ძნელია, თუმცა, მაშინაც შეიძლება გამოიძებნოს კომპრომისი.

— გამორჩეულად რომელ სუფრას გაიხსენებთ?

— ძალიან საინტერესო იყო თამადობა კიევში, როდესაც უნივერსიტეტის წარმომადგენლები ერთერთი დონორი ორგანიზაციის მიერ გამართული ღონისძიების შემდეგ მიგვიწვიეს. არჩევანი ჩემზე სწორედ იმ ნიშნით შეაჩერეს, რომ ქართველი ვიყავი. სუფრის გაძღოლის სირთულე ის იყო, რომ სხვადასხვა რელიგიის და ქვეყნის წარმომადგენლებმა მოიყარეს თავი. ამ შემთხვევაში ტრადიციული ქართული სუფრის წესების დაცვა არ გამოვიდოდა, მით უმეტეს, არც ღვინო არ იყო საკმარისი. ძირითადი აქცენტი იუმორზე გადავიტანე. მგონი, ჩემი თამადობით ყველა კმაყოფილი დარჩა.

„ღვინოთერაპია” ფსიქოთერაპიის ნაცვლად

რეზო ჯორბენაძე,
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი

— ბატონო რეზო, კოლეგებმა ფაკულტეტის საუკეთესო თამადად დაგასახელეს. რით დაიმსახურეთ ეს პატივი?

— სასიამოვნოა, თუ იმ ადამიანებს, ვის წრეშიც მიწევს სუფრასთან მოლხენა, მოსწონთ ჩემი თამადობა, თუმცა, ცოტა მოულოდნელია მათი გადაწყვეტილება. როგორც ქართველების უმეტესობას, მეც მიყვარს თავისუფალ დროს მოლხენა, ხანდახან კი თამადადაც მირჩევენ. ჩემი მთავარი პრინციპია — სუფრის წევრებმა არ მოიწყინონ. ახალგაზრდობიდან ისეთ წრეში მომიწია ყოფნა, სადაც ლხინი და სუფრის წესები კარგად იცოდნენ. ერთხელ გურიაში ოთხასკაციან სუფრასაც კი ვუთამადე. მოგეხსენებათ, იქ ქორწილი შედარებით ცოტა ხანს გრძელდება, მე კი ქეიფი ისე გავაგრძელე, ბოლოს გურულები მეხვეწებოდნენ, თუ ძმა ხარ, დაამთავრეო. სხვათა შორის, ამის შემდეგ გავითქვი, როგორც თამადისა და კარგი მსმელის, სახელი, თუმცა, ვერ გეტყვით, რომ ეს ჩემი მოწოდებაა.

— ცნობილია, რომ საფაკულტეტო შეკრებებსა თუ წვეულებებზეც ხშირად გირჩევენ თამადად...

— მართლაც, ისე მოხდა, რომ დისერტაციების დაცვის შემდეგ ხშირად მომიწია თამადობამ — ეტყობა კარგად დაებედათ. 16 დისერტანტის სუფრას ვუთამადე და, მგონი, კოლეგები და სტუდენტები კმაყოფილები დარჩნენ. ასეთ სუფრებზე უფრო სპეციფიკური სადღეგრძელოები ისმება: რა თქმა უნდა, პირველ რიგში უნივერსიტეტისა და მათი პროფესორების, შემდეგ კი იწყება მხიარულება.

— სასმელს კარგად იტანთ?

— დიდი მსმელი არ ვარ — გააჩნია სიტუაციას, თუმცა არიან ისეთებიც, რომლებიც, ძირითადად, ამ საქმით არიან „დაკავებულნი“. მათ რიგებში ნამდვილად არა ვარ. უნივერსიტეტს ყოველთვის ჰყავდა კარგი თამადები, რომლებთანაც მე ვერ მივალ — მათ სმაც იცოდნენ და კაფიაობაც, მათთვის სუფრა მარტო ღრეობა არ იყო, ქეიფი ხელოვნების დონეზე ჰქონდათ აყვანილი. ერთერთი ასეთ პიროვნება ისტორიკოსი ხასან ნადირაძე იყო.

— სუფრის თქვენეული, განსაკუთრებული წესები თუ გაქვთ?

— როდესაც თამადა ვარ, სუფრას, ძირითადად, ორ ნაწილად ვყოფ. ოფიციალური ნაწილი, რომელსაც სწრაფად ვამთავრებ და გადავდივარ არაოფიციალურ ნაწილზე, როდესაც ნამდვილი მოლხენა იწყება — ცეკვა, სიმღერა და მხიარულება. სუფრის წევრებს თავისუფლებასაც ვაძლევ. დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ იუმორს. მართალია, როდესაც სუფრის წევრები დათვრებიან, სუფრის წარმართვა შედარებით ძნელდება, რადგან ზოგს შექცევაც სწყინს, ზოგი ზედმეტ ყურადღებას ითხოვს და ა.შ. ამიტომ ეს ნიუანსები გასათვალისწინებელია. მთავარი მაინც ის არის, რომ სუფრასთან მხიარულება იყოს და პრობლემას იუმორით შეხედო.

— თქვენი საყვარელი სადღეგრძელო თუ გაქვთ?

— გურული ვარ, მაგრამ სუფრას მშვიდობის სადღეგრძელოთი არ ვიწყებ. ვცდილობ, ორიგინალური ვიყო. სადღეგრძელოების შერჩევისას მაინც გააჩნია სუფრას და საზოგადოებას.

— პროფესია რამდენად გეხმარებათ სუფრის წარმართვის დროს?

— სუფრას ხშირად ფსიქოთერაპიული ეფექტიც აქვს, თუმცა ხშირად „ღვინოთერაპია“ უფრო გამოდის. პროფესია, რა თქმა უნდა, მეხმარება — სუფრის წევრებთან კომუნიკაციაში შესვლა უფრო მიადვილდება. მოგეხსენებათ, რომ ხშირად სუფრაზე მხოლოდ მეგობართა წრე არ არის და სხვადასხვა ინტერესების თუ მენტალიტეტის ხალხიც იყრის თავს, ამიტომ ასეთ დროს დიდი მნიშვნელობა აქვს მათი ინტერესების გათვალისწინებას.

თამადის შემოღებული დღეები

დიმიტრი კორძაია,
მედიცინის ფაკულტეტის პროფესორი

— ბატონო დიმიტრი, თქვენ ქართული ტრადიციების ერთგული გამგრძელებელი ბრძანდებით. თქვენი თამადობაც ამ ნიშნით გამოირჩევა?

მე-9 გვერდზე

თამადობის ინსტიტუტის 6 კონკურსანტი ფაკულტეტებიდან

მერვე გვერდიდან

— ზოგადად, სუფრა, ყველა ტრადიციულ ქართულ ოჯახში კლასიკური რიტუალია და ჩვენი ცხოვრების წესთან ასოცირდება. ხანდახან ოჯახური სადილიც კი, სადაც ოჯახის მრავალრიცხოვანი წევრები თავს იყრიან, პატარა სუფრას ემსგავსება. კახეთში, ორი გლეხი მუშაობის შემდეგ ვენახში მოლზე რომ დაჯდება, ჭიქას ასწევს, ღმერთს მადლობას შესწირავს და დაილოცება — ესეც სუფრაა. ტრადიციებს დიდ პატივს ვცემ, რაც ოჯახიდან მომდევს. მამა წლების მანძილზე უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის დეკანი იყო, მისი მეგობრები მეცნიერები და ხელოვნების წარმომადგენლები იყვნენ, რომლებიც ხშირად გვსტუმრობდნენ და მათთან მოლხენას არაფერი ჯობდა.

მახსოვს, ბავშვობიდან რა დიდი ინტერესით ვუსმენდი მათ. ამან ჩემზე დიდი გავლენა მოახდინა. სწორედ მაშინ გავიგე ძალიან ბევრი რამ. პატარა ვიყავი, როდესაც მათი სადღეგრძელოების მოსმენის შემდეგ ვიცოდი, რომ არსებობდა ერთი დიდი კაცი, სახელად გალაკტიონი, რომელიც საოცარ ლექსებს წერდა... ყოველი ასეთი შეხვედრა ახალ მუხტს მაძლევდა, ამიტომ გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ქართულ სუფრას დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ.

— თქვენზე გვსმენია, რომ ორატორობის განსაკუთრებული ნიჭით გამოირჩევით...

— გადამეტებული შეფასებაა, უბრალოდ, ყოველთვის ვცდილობ, სუფრა აუცილებლად საინტერესო იყოს და მსმენელამდე მთავარი სათქმელი მივიტანო, ან განვაზოგადო წარმოთქმული სადღეგრძელო, რომელსაც უნდა მოჰყვეს საუბარი, სადაც ყველა ჩაერთვება. არ მიყვარს, როდესაც თამადობა „ერთი მსახიობის თეატრს“ ემსგავსება.

— თქვენ ორიგინალური სადღეგრძელოებითაც გამოირჩევით...

— საერთოდ, მეტ უპირატესობას ვანიჭებ ისეთ სუფრას, როდესაც ვიწრო წრეა შეკრებილი, სადაც საერთო ინტერესები ჭარბობს. ჩემ თამადობას თემატურობა ახასიათებს. პოეზია მიყვარს და სუფრასთან ასეთი ექსპერიმენტებიც ჩამიტარებია: სადღეგრძელოებს რომელიმე პოეტის ან მწერლის შემოქმედების მიხედვით ვამბობ, ამგვარ სუფრებს ასე დავარქვი: „ლადო ასათიანის სუფრა“, ან „გიორგი ლეონიძის სუფრა“ და ა.შ. ამ დროს ყველა „ვალდებულია“, გაიხსენოს ამ მწერლის ლექსი თუ გამონათქვამი სადღეგრძელოს შესაბამისად. სუფრის წევრების მიმართ „ლმობიერებასაც“ ვიჩენ და ვისაც ლექსი ან გამონათქვამი ზეპირად არ ახსოვს, უფლებას ვაძლევ, წიგნიდან ამოიკითხოს რომელიმე ნაწყვეტი.

— ალბათ გამორჩეულად საყვარელი „მწერლის დღეც“ გაქვთ...

— ყველაზე მეტად „მიქსი“ მიყვარს — ქართული პოეზიის შედევრების ნაკრები. ძალიან მიყვარს, ასევე, „ვახტანგ ჯავახაძის სუფრა“, „მამაჩემის პოეზიის სუფრა“, ასევე, სუფრა „პროზით“, მაგალითად, „გამსახურდიას დღე“, ან „მამა-შვილი ჩხეიძეების დღე“ და სხვა. მაგრამ უნდა გამოგიტყდეთ, რომ ამ ყველაფერს განსაკუთრებული განწყობა უნდა — აქ მნიშვნელოვანია ღვინის ხარისხიც... ჩვენს, გლეხური ტექნოლოგიით დამზადებულ ქვევრის ღვინოს მაინც ვერაფერი შეედრება.

— თქვენ, უნივერსიტეტის 2011 წლის საახალწლო წვეულებაზეც აგირჩიეს თამადად. როგორ გაიხსენებთ იმ დღეს?

— ეს იყო ერთერთი რთული სუფრა, სადაც მითამადია. სრულიად მოულოდნელად მთხოვეს ამ საპატიო მისიის შესრულება, მაგრამ სიმართლე გითხრათ, ამისთვის მზად არ ვიყავი. ამ სუფრასთან მრავალნაირი საზოგადოება იყო შეკრებილი — სტუდენტები, პროფესორები, სამინისტროს წარმომადგენლები და ა.შ. სხვადასხვა ასაკის, ხასიათის, ამბიციის, განწყობის ადამიანები... და რაც მთავარია, ეს იყო „უნივერსიტეტის“ სუფრა, რაც საქართველოში სულ სხვა განზომილება და ფასეულობაა. ჩემი ბაბუა (დედის მხრიდან) — ალექსანდრე ჭაბუკიანი იყო უნივერსიტეტის პირველი გამოშვების სტუდენტი, რომელიც, როგორც ერთერთი საუკეთესო, პარიზში გაგზავნეს მაგისტრატურაში სწავლის გასაგრძელებლად. შემდეგ მან საკმაოდ რთული ცხოვრება განვლო და როდესაც საქართველოში დაბრუნდა, პირველ რიგში, უნივერსიტეტში მოვიდა, დაიჩოქა და მის კედელს აკოცა.

სხვა სუფრასთან თამადობისას ამდენი არ მიფიქრია...

— თქვენი საყვარელი სადღეგრძელო რომელია?

— ასეთი ბევრია, მაგალითად, „ვინ მოგვიტანა აქამომდე ეს საქართველო?!“, „მამის მეგობრები“, „როდესაც გიყვარს“,.. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ამბავი შესაბამის ვითარებასა და სწორად შერჩეულ დროს მოყვე (ისე, ალბათ, ეს მარტო სადღეგრძელოს არ ეხება). არ დამავიწყდება, ჩვენი დიდი პედაგოგის, თამარ დეკანოსიძის შეგულიანება: „როცა გაქვს საშუალება რამე თქვა, თქვი!“ მამაჩემი კი მახსოვს, როგორ იშველიებდა ერთი ფილოსოფოსის ნათქვამს: „ცხოვრება არის თქმა...“

დაძალების წინააღმდეგი

გია სოხაძე,
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი

— თქვენ ფაკულტეტზე საუკეთესო თამადად დაგასახელეს. სუფრის მართვის რაიმე განსაკუთრებული „საიდუმლო“ ხომ არ იცით?

— ბევრნაირ სუფრაზე ვყოფილვარ თამადა, ჩემი მთავარი „საიდუმლო“ და განსხვავებულობა კი იმაში მდგომარეობს, რომ არ მიყვარს სტანდარტული სადღეგრძელოები, არც, მაინცდამაინც, ტრადიციებს მივყვები და არც ქრონოლოგიას ვიცავ. პირიქით, სუფრის წევრებს შეიძლება სრულიად მოულოდნელი „სიურპრიზი“ შევთავაზო. უფრო მეტად მიყვარს სიტუაციიდან გამომდინარე სადღეგრძელოები. თუ მეგობრებთან ვქეიფობ, უფრო იმ კუთხით მიდის საუბარი, რაც ჩვენ გვაერთიანებს. აი, ქორწილში კი ყველაზე ძნელია ასცდე ტრაფარეტებს, რადგან ჭრელი საზოგადოებაა და ტრადიციისგან გადახვევას ყველა სწორად ვერ გაგიგებს, მაგრამ, ჩემი აზრით, მაინც უნდა მოახერხო და შეაპარო რაღაც ახალი...

— რომელიმე ორიგინალური სადღეგრძელო ხომ არ გახსენდებათ?

— როგორ არა! მაგალითად, ჩემს მეგობრებში მიღებულია ასეთი, ცოტა სენტიმენტალური სადღეგრძელო — ჩვენ შორის ამ ქვეყნიდან ვინც პირველი წავა, იმას გაუმარჯოსო! ამ სადღეგრძელოს, რა თქმა უნდა, იუმორში ვატარებთ და ერთმანეთს ვეუბნებით — უკეთესი არ არის, ცოცხლებმა მოვისმინოთ, როგორ დავილოცებითო?

გარდა ამისა, დამილევია ფოთლის სადღეგრძელო, რაზეც დიდი მწერლის — ო'გენრის მოთხრობისგან მივიღე შთაგონება. ხანდახან მოვლენებს ფილოსოფიურადაც უნდა შევხედოთ. კიდევ ძალიან მიყვარს ქალების სადღეგრძელო. სუფრაზე ნათქვამი ყველა სადღეგრძელო კარგია, თუ ის საინტერესოდ არის წარმოთქმული.

— თქვენი საყვარელი სადღეგრძელო რომელია?

— სტუდენტების დალოცვა. მათთან ერთად სუფრაზე მოხვედრა ხშირად მიწევს, მაგრამ ამ დროს თამადობაზე არ ვთანხმდები, ასპარეზს ახალგაზრდებს ვუთმობ და თამადის მოადგილის ადგილს ვჯერდები. ვცდილობ ვაკონტროლო სიტუაცია და კორექტივები შევიტანო სადღეგრძელოებში. გამორჩეულად საყვარელი კი სამშობლოს სადღეგრძელოა.

— ლექსებს თუ ურთავთ სადღეგრძელოში?

— ლექსის გარეშე სუფრა არ ვარგა, მაგრამ მე ცუდი მეხსიერება მაქვს, მხოლოდ ჩემი ლექსები ვიცი ზეპირად, ამიტომ ვცდილობ, თუ სუფრაზე პოეტიც მოხვდება, მას ვთხოვო ლექსების წაკითხვა. სამწუხაროდ, ვერც ანეგდოტებს ვიმახსოვრებ.

— ქართული სუფრის რომელი წესი არ მოგწონთ?

— ვერ ვიტან დაძალებას — ეს ტრადიცია უფრო დასავლეთ საქართველოშია. მასპინძელს ხუმრობით ვეუბნები ხოლმე — ღვინოს რატომ მაძალებ, საცივი ან გოჭის ხორცი დამაძალე-მეთქი. საერთოდ, დალევა არ მიყვარს, იშვიათად ვთვრები, მთავარია მოილხინო და სხვაც მოალხინო.

სუფრა სამეცნიერო კონფერენციას არ უნდა დაემსგავსოს

გიორგი ღაღანიძე,
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორი

— ბატონო გიორგი, რამდენად ხშირად გირჩევენ თამადად?

— ცოტა არ იყოს, დაბნეული ვარ, არ ვიცი, რატომ დამასახელეს საუკეთესო თამადად, რადგან ფაკულტეტზე ამ „საქმის“ სხვა დიდი სპეციალისტები გვყავს. სუფრასთან ყოფნა და მოლხენა, რა თქმა უნდა, მიწევს... ჩემი აზრით, დიდი მნიშვნელობა არა აქვს, ბევრჯერ აგირჩევენ თუ არა თამადად, მთავარი მაინც ხარისხია და მეც სწორედ ამას ვანიჭებ უპირატესობას. თამადობა ჩვენი ქართული კულტურულ-ეთნოგრაფიული ფასეულობების ერთერთი გამოვლინებაა და, ალბათ, ვერც წარმოგვიდგენია ქართული სუფრა თამადის გარეშე. ამიტომ ამ „პროფესიას“ თავის დატვირთვა აქვს.

— როდესაც თამადობა გიწევთ, როგორ უძღვებით სუფრას?

— გააჩნია რა შემთხვევაში... ამ დროს ყველაფერს მნიშვნელობა აქვს: სუფრის წევრების რაოდენობას, წრეს და სხვა. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ლხინის სუფრას თავისი წესები აქვს, ჭირისას — თავისი. ზოგადად, სტანდარტები არ მიყვარს, თუმცა არსებობს საერთო წესები და ძნელია მას გადაუხვიო. ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანია, როგორ საზოგადოებაში გიწევს მოლხენა და თამადობა, რა არის ამ შეხვედრის მთავარი დანიშნულება, მაგრამ არც იმის მომხრე ვარ, სუფრა სამეცნიერო კონფერენციას დაემსგავსოს — ზომიერება ყველაფერში საჭიროა. ყველაზე მნიშვნელოვანი ჩემთვის ის არის, რომ სუფრასთან საშუალება გეძლევა ახლობლებს შეხვდე და აზრები გაუზიარო.

— უფრო როგორ საზოგადოებაში გიწევთ მოლხენა?

— ძირითადად ერთი და იგივე წრეში და ერთი და იგივე საზოგადოებაში მიხდება ქეიფი. ესენი ჩემი მეგობრები და კოლეგები არიან, მათთან ერთად ძალიან სასიამოვნო დროს ვატარებ.

— კარგი მსმელი ხართ?

— გადამეტებული სმა და დიდი სასმისებით დალევა ჩემთვის მიუღებელია. საქართველოში, ტრადიციულად, საუკუნეების განმავლობაში განსხვავებული (და არა დიდი სასმისით) მხოლოდ რამდენიმე სადღეგრძელოს სვამდნენ, მაგალითად, მეფის, სამღვდელოების, ომში დაღუპულების. საქართველოს ისტორია ომების ისტორიაა და ქართველისთვის ეს სადღეგრძელო ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო. ზოგადად, ქართული სუფრის ზოგიერთმა ტრადიციამ ნელ-ნელა დამახინჯებული ფორმა მიიღო, განსაკუთრებით კომუნისტური რეჟიმის დროს, რაც მხოლოდ უკულტურობის მაჩვენებელია.

ჩვენ უძველესი კულტურის ქვეყანა ვართ, რომლის ერთერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტი ქართული ღვინოა, ამიტომ შეუძლებელია, ერთდროულად გვქონდეს ასეთი კულტურული მემკვიდრეობა და, ამავე დროს, ასე უდიერად ვექცეოდეთ ამ მართლაც ღვთიურ სასმელს. კახელების წესის თანახმად, ნამდვილი ღვინო პატარა ჭიქებით უნდა დაილიოს. ჩემი სტუდენტებისთვისაც ხშირად მითქვამს, რომ ღვინო თავისი შემადგენლობით და ტექნოლოგიით ისეთივე რთული პროდუქტია, როგორც კოსმოსური ხომალდი მანქანათმშენებლობის დარგში. ის ხალხი, რომელმაც ქართული ღვინო შექმნა, შეუძლებელია უდიერად ექცეოდეს ამ უნიკალურ სითხეს. ამიტომ გადამეტებული სმის მომხრე არა ვარ და მიმაჩნია, რომ ეს ფსევდო ტრადიციების ჩანაცვლება კომუნისტების დამსახურებაა. მაგრამ საზოგადოების უმეტესობას გააზრებული აქვს ეს და პატივს სცემს ნამდვილ ტრადიციებს.

მოამზადა **შურთხია ბეროშვილმა**

საუკუნის მეგობრები

„ყველა გზა ძნელად სავალია, როცა მგზავრობას მეგობარი არ გიხალისებს“ და „ის მაშინ მოდის შენთან, როდესაც დანარჩენი სამყარო გტოვებს და გადის“... კიდევ ბევრი ბრძნული გამონათქვამის გახსენება შეიძლება მეგობრობაზე, მაგრამ თუ ვინმეს სურს — ბოლომდე ჩასწვდეს ამ ცნების არსსა და მნიშვნელობას, მათი მეგობრობის ისტორია უნდა მოისმინოს... ეს არის ისტორია, რომელიც უკვე ლამაზ ლეგენდად იქცა... ეს არის ისტორია, რომლის მომსწრენიც ვართ... არ შეიძლება ის მომავალ თაობებს არ გადასცე, როგორც ორი მეგობრის საუკუნო ურთიერთობის მაგალითი. თურმე შესაძლებელი ყოფილა და-ძმასავით უყურონ და მოუარონ ერთმანეთს წლების მანძილზე ქალმა და კაცმა ისე, რომ მათ შორის ხინჯი არ გაჩნდეს... ეს მოახერხეს მათ... მარიამ ლორთქიფანიძე და ოთარ ჯაფარიძე საუკუნის მეგობრების ამპლუაშიც ტოვებენ კვალს ისტორიის ფურცლებზე, რომლის გადაშლაც მხოლოდ სიამოვნებას თუ მოგგვრით...

— როგორი იყო გაცნობის პირველი შთაბეჭდილება?

ოთარ ჯაფარიძე:

— მარიკა 25-ე სკოლაში გავიცანი, როდესაც იგი II კლასიდან გადმოვიდა. ახლაც კარგად მახსოვს ძალიან გამხდარი, თბილად ჩაფუთნული გოგონა, რომელსაც კლასელები თავიდან ცოტა უნდობლად შევხვდით, მაგრამ მან ძალიან სწრაფად მოახერხა — აზრი შეგვეცვალა მასზე და, სულ მალე, კლასის ლიდერი გამხდარიყო. ჩვენ მალევე დავმეგობრდით და დავუახლოვდით ერთმანეთს. საერთოდ, ძალიან კარგი კლასი გვყავდა, მარიკა კი საუკეთესო მოსწავლედ ითვლებოდა. თუ ვინმემ რამე არ იცოდა, მას ეკითხებოდა. ყველას მასთან უნდოდა დაჯდომა, რომ გადაეწერა, მათ შორის, მეც...

მარიამ ლორთქიფანიძე:

— ოთართან II კლასიდან ვმეგობრობ, მას შემდეგ, რაც დედამ საკუთარი ნათესავის — ნინო მიქელაძის კლასში მიმიყვანა. ის ქალი ისე გვიყვარდა, რომ მას დეიდა ნინოს ვეძახდით. გამხდარი ბავშვი ვიყავი. თავიდან კლასელებმა უცხოდ მიმიღეს, მაგრამ მალე დავმეგობრდით. ყველას ჩემთან უნდოდა დაჯდომა და დავალების გადაწერა. ტრაბახში ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ მასწავლებელი შეკითხვას რომ დასვამდა, პირველი მე ვპასუხობდი.

ოთარი ძალიან ზარმაცი და ცელქი, დაუდგრომელი ხასიათის ბავშვი იყო, მაგრამ საოცარი მეგობრობა იცოდა. ყოველთვის გვერდით მედგა და მისი იმედი ყველაფერში მქონდა — ეს თვისება ბოლომდე შეინარჩუნა...

— რამდენად ხშირად სტუმრობდნენ ერთმანეთს ოჯახში?

ოთარ ჯაფარიძე:

— სულ ერთად ვიყავით, განსაკუთრებით მარიკასთან ყოფნა გვიყვარდა. მას არაჩვეულებრივი მშობლები ჰყავდა და ყოველთვის დიდი სიყვარულით გვხვდებოდნენ, გვიმასპინძლდებოდნენ... მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ ვიწროდ ცხოვრობდნენ, მაინც ძალიან უხარიოდათ ჩვენი სტუმრობა. მარიკასთან კარგად ვერთობოდით. პატარები სანამ ვიყავით, ვთამაშობდით, შემდეგ კი ვსაუბრობდით... მახსოვს, პატეფონიც ჰქონდათ, რომელიც მაშინ დიდი „მოვლენა“ იყო, ძირითადად „ტანგოს“ და „ფოქსტროტს“ ვუსმენდით.

მარიამ ლორთქიფანიძე:

— ჩემს მშობლებს, ალბათ, ერჩივნათ, რომ ქუჩა-ქუჩა არ გვეწანწალა და სახლში ერთად ვყოფილიყავით, ამიტომაც მათგან ხელშეწყობა გვქონდა. საერთოდ, დიდი სამეგობრო წრე სკოლაშივე შევიკრიბეთ და ეს ჩვენი მშობლებისა და პედაგოგების დამსახურებაც იყო. იმ დროს, ვერაზე, სადაც მე ვცხოვრობდი, ძირითადად, ორნაირი საზოგადოება იყო თავმოყრილი — ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლები და, ასევე, „ძველი“ მენტალიტეტის ხალხი. ისე მოხდა, რომ კლასში, ძირითადად, ინტელიგენციის წარმომადგენლების შვილები ვსწავლობდით. ახლა, როდესაც ამ გადასახედიდან ვუყურებ მოვლენებს, ვფიქრობ, რომ ეს დეიდა ნინოს დამსახურება იყო, რომელიც ცდილობდა, კარგი ოჯახის შვილებს ერთად მოგვეყარა თავი და გვემეგობრა.

— სკოლის დამთავრების შემდეგ არჩე-ვანიც ერთნაირი გააკეთეს...

ოთარ ჯაფარიძე:

— მაშინ მეგობრების უმეტესობამ არჩევანი თბილისის უნივერსიტეტში ახლად დაარსებულ ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტზე შევაჩერეთ, თუმცა, ჩემს მშობლებს უნდოდათ, რომ ექიმი გამოვსულიყავი.

უნივერსიტეტმა კიდევ უფრო დაგვაახლოვა ერთმანეთთან. ჩვენი სწავლის პერიოდი სამამულო ომს დაემთხვა და ამიტომ 120 კაციდან მხოლოდ ექვსმა დავამთავრეთ ასპირანტურა, რადგან ზოგი ომში წაიყვანეს. მაშინაც ერთად გადავიტანეთ გაჭირვება, ოჯახებში ვიკრიბებოდით და ბევრს ვსაუბრობდით. შიშის სინდრომი იყო, მაგრამ ჩვენ ერთმანეთს ბოლომდე ვენდობოდით და ყოველგვარი შიშისა და დაბრკოლების გარეშე გამოვთქვამდით ჩვენს აზრს. უნივერსიტეტი 1943 წელს დავამთავრეთ და სწავლა ასპირანტურაში გავაგრძელეთ. მარიკას ბედი თავიდანვე გადაწყვეტილი იყო, რადგან იგი სიმონ ჯანაშიას გამორჩეული და საყვარელი სტუდენტი გახლდათ და მან თავისთან წაიყვანა, დანარჩენებიც სპეციალობების მიხედვით ისე გადავნაწილდით, რომ ერთმანეთისთვის ხელი არ შეგვეშალა.

მარიამ ლორთქიფანიძე:

— მახსოვს, სკოლა რომ დავამთავრეთ, ოთარის დედამ გვკითხა: ბავშვებო, სად აპირებთ სწავლის გაგრძელებასო? როდესაც გაიგო, რომ ხელოვნებათმცოდნეობის სპეციალობა გვინდოდა, ცოტა არ იყოს, გაოცებულმა გვკითხა: რად გინდათ ეგ სპეციალობა? ჩააბარეთ სამედიცინოზე, უფრო გამოსადეგი პროფესიაა, ყველგან გამოგადგებათ — ციხეშიც და გადასახლებაშიცო. მაშინ ეს იმდენად ჩვეულებრივი ამბავი იყო, რომ არც კი გაგვკვირვებია მისი ასეთი დამოკიდებულება. მაგრამ ჩვენ არჩევანი არ შევიცვალეთ და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გავაგრძელეთ სწავლა ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტზე, რომელიც ომის დროს გაუქმდა და ისევ ისტორიის ფაკულტეტს შეუერთდა. პირველივე დღეებში ცხრილში დავიწყეთ ძებნა, სად კითხულობდა ლექციებს ივანე ჯავახიშვილი და შემდეგ თავისუფალი მსმენელის სტატუსით ორივე ყოველთვის ვესწრებოდით მის ლექციებს.

— ერთმანეთის რა თვისებებს აფასებენ?

ოთარ ჯაფარიძე:

— რთულ დროში მოგვიწია ცხოვრებამ, არ მოგვწონდა არსებული რეჟიმი და ერთმანეთს ჩვენს აზრებს სულ ვუზიარებდით. ის კი არა, არალეგარული ორგანიზაციის შექმნასაც კი ვაპირებდით, თუმცა ვერ განვახორციელეთ და ეს იდეა ბავშვურ ოცნებად დარჩა. მარიკა, როგორც უკვე ვთქვი, გამორჩეულად ნიჭიერი იყო, გარდა ამისა, მას ლიდერის თვისებებიც ჰქონდა და, მინდა გითხრათ, რომ მას ღომის წილი მიუძღვის იმაში, რომ ჩვენი სამეგობრო წრე ბოლომდე ერთად შეკავშირებული და მეგობრული დარჩა. მას არასოდეს ავიწყდებოდა და დღესაც არ ავიწყდება ჩვენი დაბადების დღეები; ყოველთვის იცის — ვის რა უჭირს. ყველაზე კარგი თვისება, რაც მას აქვს, ეს გვერდში დგომის საოცრად დიდი უნარია... გაჭირვებაში მასავით უკეთესად ვერავინ უთანაგრძნობს მეგობარს. ვფიქრობ, მას ეს თვისებები მშობლებისგან გამოჰყვა.

მარიამ ლორთქიფანიძე:

— ოთარის გვერდით ყოველთვის იმედიანად ვგრძნობდი თავს. ბევრი გაჭირვება ერთად გამოვიარეთ, ვაძლებინებდით ერთმანეთს. როდესაც ძალიან გაუჭირდა ჩემს ოჯახს, ატელიედან ძაფი და აბრეშუმი მომქონდა და ცხვირსახოცებს ვქარგავდი. ერთად ვმეცადინეობდით და დრო რომ არ დამეკარგა, ოთარი მიკითხავდა წიგნს, მე კი ვქარგავდი. ერთხელ „გამიბრაზდა“ კიდეც: — მე ვკითხულობ, თავს ვიკლავ და შენ კი ფულს აკეთებო...

ჩემი ძმა, გიგა 13 წლის იყო, ხიდან რომ ჩამოვარდა და ფეხი მოიტეხა. ძალიან ძმიმედ გადავიტანეთ ის პერიოდი. ამას ისიც დაემატა, რომ გიგა სულ ბირჟაზე იდგა და ყავარჯნებითაც კი ჩხუბობდა. ერთხელ დაიჭირეს კიდეც, მაშინაც ოთარმა გვიშველა და გიგას უყოყმანოდ დაუდგა თავდებად. ცხოვრებაში სხვა უსიამოვნებებიც შემხვედრია და მას არასდროს მივუტოვებივარ. ასეთი მეგობრობა ცოტამ თუ იცის.

— რა იყო ბავშვობაში ჩხუბის, დიდობაში კი კამათის მიზეზი?

ოთარ ჯაფარიძე:

— ერთხელ მახსოვს, ბავშვობაში ძალიან გამაბრაზა — ერთ გოგოზე მეუბნებოდა, გიყვარსო! არადა, ტყუილი იყო. გამწარებული გამოვეკიდე, სახლამდე მივდიე, მაგრამ სახლში შემასწრო, მარიკას დედა გამოვიდა და როდესაც გაიგო ჩვენი ჩხუბის მიზეზი, ბევრი იცინა. ისე, ჩვენ სულ ვკამათობდით, მაგრამ სერიოზული კონფლიქტი არასდროს მოგვსვლია, გაბუტვაზე ხომ საუბარი ზედმეტია. მარიკა მეამბოხე და უშიშარი იყო და არის, მან ეს ძალიან ბევრჯერ დაამტკიცა. მე ყოველთვის ვღელავდი, როდესაც რომელიმე რისკიან ნაბიჯს დგამდა და ხშირად ვაფრთხილებდი...

მარიამ ლორთქიფანიძე:

— ახლაც სულ ვკამათობთ, არ ვერიდებით ერთმანეთს და პირდაპირ ვეუბნებით სათქმელს. როდესაც რამეზე პროტესტს გამოვთქვამდი, სულ მეუბნებოდა: რას მატრაკვეცობო... თვითონ ცოტა პესიმისტი იყო და დიდად არ სჯეროდა, რომ ჩვენ რამის შეცვლა შეგვეძლო. ხშირად ვეკამათებოდი და ვუმტკიცებდი, რომ აზრის დაფიქსირება საჭირო იყო თუნდაც იმისთვის, რომ მომავალში ისტორიას დარჩენოდა, რომ რომელიმე საკითხის ირგვლივ განსხვავებული მოსაზრებაც არსებობდა. ერთმანეთთან კი ძალიან გულახდილები ვიყავით. მახსოვს, კათედრის გამგედ დავინიშნე, დამიბარა დათიკო ჩხიკვიშვილმა და მითხრა: ვინ იყო კათედრაზე კაგებეს წარმომადგენელი. ეს არ შეიძლებოდა, მაგრამ მან მაინც გამაფრთხილა. მერე დაამატა: — შენს კაბინეტში მეგობრები რომ მოდიან და მთავრობას ხმამაღლა ლანძღავენ, ცოტა ფრთხილად იყვნენო.

მართლაც ასე იყო: შემოვიდოდა ოთარი, მას სხვებიც მოჰყვებოდნენ და უშვერი სიტყვებით აგინებდნენ მაშინდელ ხელისუფლებას. მაშინვე ტელეფონს ვთიშავდი, რადგან საშიშროება არსებობდა იმისა, რომ იქ ყველაფერი იწერებოდა, ისინი კი დამცინოდნენ. ერთხელ ძალიან ხმამაღლა აყვირდნენ, გავბრაზდი და დავემუქრე: — ახლა თუ დამიჭირეს, იცოდეთ, არც ერთს არ დაგინდობთ და გზაშივე მოვყვები თქვენს ამბავს მეთქი. თუმცა, ჩვენ ერთად ბევრი რამ გაგვირისკავს.

— საუბრობდნენ თუ არა პირად გრძნობებზე ერთმანეთთან?

ოთარ ჯაფარიძე:

— მარიკა ჩემი მესაიდუმლე იყო. ყველაფერი იცოდა ჩემი გრძნობების შესახებ, ასევე ვიცოდი მეც მის შესახებ. ჩემი მომავალი მეუღლე მარიკასთან ბავშვობიდან მეგობრობდა და ძალიან უყვარდათ ერთმანეთი...

მარიამ ლორთქიფანიძე:

— მესაუბრებოდა რომელია! მარტო მე კი არა, მთელი სამეგობრო „ხელში შეგვიკლა“! ოთარს ადრეული ასაკიდან უყვარდა თავისი მომავალი მეუღლე. ცაცო ძალიან ლამაზი გოგონა იყო და მშობლები ადვილად არსად უშვებდნენ. რადგან მისი დედა და დედაჩემი ერთმანეთს კარგად იცნობდნენ, ამიტომ, ოთარი, როგორც „ნდობით აღჭურვილ პირს“, მე მაგზავნიდა, რომ ცაცო ჩვენთან ერთად გამოეშვათ. სკოლის დამთავრებისთანავე დაქორწინდნენ. ცაცოც ჩვენი სამეგობროს წევრი იყო. ოთარმა ჩემი ამბავიც კარგად იცოდა და ყოველთვის მითანაგრძნობდა. ოჯახების შექმნას ჩვენი მეგობრობისთვის არასდროს შეუშლია ხელი.

— აღნიშნავდნენ თუ არა ერთად დღესასწაულებს?

ოთარ ჯაფარიძე:

— ყველა მნიშვნელოვან ზეიმზე ერთად ვიყავით, თეატრსა და ოპერაშიც ერთად დავდიოდით — ეს ჩვენთვის დიდი სიხარული იყო. განსაკუთრებით ახალ წელს აღვნიშნავდით ერთად, ყოველთვის ღამეს ვათენებდით და ძალიან ვმხიარულობდით. ერთმანეთთან საერთო ინტერესებმა განსაკუთრებით დაგვაახლოვა.

მარიამ ლორთქიფანიძე:

— სკოლის პერიოდიდან გვქონდა ტრადიცია: ჯერ რუსთაველზე გავდიოდით „ბოლთაზე“, ვსეირნობდით, შემდეგ კი შევარჩევდით — სად გადიოდა კარგი სპექტაკლი და იქ მივდიოდით. ყველა დღესასწაულზე ერთად ვიკრიბებოდით, ყველაფერს ვზეიმობდით — 1 მაისს, 7 ნოემბერს და სხვა... ახალი წელი ყველას განსაკუთრებით გვიყვარდა და აუცილებლად ერთად ვხვდებოდით... მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენ ძალიან დიდი და კარგი სამეგობრო წრე გვქონდა, სამწუხაროდ, ბევრი გამოგვაკლდა და ამას ყველა ძალიან განვიცდით...

— დღემდე აქვთ თუ არა ყოველდღიური ურთიერთობა?

ოთარ ჯაფარიძე:

— ყოველდღე ვეხმიანებით ერთმანეთს, ახლა თვალი მტკივა და ძალიან წუხს...

მარიამ ლორთქიფანიძე:

— ასაკის გამო ხშირად ვეღარ ვახერხებთ შეხვედრას, მაგრამ ტელეფონით ყოველ დღე ვსაუბრობთ. ახლა თვალი სტკივა და ძალიან ვნერვიულობ...

90 წლის ოთარ ჯაფარიძე და 89 წლის მარიამ ლორთქიფანიძე დღეს უნივერსიტეტის რექტორის მრჩეველთა საბჭოს წევრები არიან. ორივეს შემართება, ინტელექტი, სამართლიანობისთვის ბრძოლა და სასიკეთო რჩევები უნივერსიტეტს დღესაც ისევე სჭირდება, როგორც წლების წინ, მაგრამ ყველაზე მეტად გულს ის უხარია, რომ მეგობრები ერთად აღებენ დღესაც უნივერსიტეტის კარს და მათ ზურგს უკან ორივეზე მხოლოდ კარგს თუ ამბობენ და იტყვიან...

მოამზადა
შურთხია გეროშვილმა

წლის სამეცნიერო პროექტად დასახელებული

მეცნიერების კომერციალიზაციის პროცესი, რომლის ხელშეწყობასაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი უკვე წლებია ახორციელებს, თანდათან იხვეწება და შედეგებიც თვალსაჩინო ხდება. ქართველი მეცნიერები უკვე მუშაობენ საზოგადოებრივად საჭირო პროექტების განხორციელებისთვის, რადგანაც თანამედროვე მსოფლიოს განვითარება და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი ამის გარეშე წარმოუდგენელია.



მიმდინარე წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა თანხმობა განაცხადა — გახდეს კომერციალიზაციისთვის განკუთვნილი სამეცნიერო პროექტების თანადამფინანსებელი, რაც იმის დასტურია, რომ ყველა აღმოჩენა და იდეა, რომელსაც გამოყენებითი დანიშნულება აქვს, საბოლოოდ საზოგადოებისთვის სასარგებლო საქმეში იქნება დანერგილი.

გარდა ამგვარი პროექტებისა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სრულდება მსოფლიო მასშტაბის პროექტები, რომლებიც მოიცავენ გლობალური პრობლემებისა და საკითხების გადაწყვეტისთვის საჭირო სიახლეებს. ამ მიმართულებით, 2005 წლის შემდეგ, უნივერსიტეტის წიაღში 9 საერთაშორისო პროექტი მომზადდა. მათ შორისაა ევროგაერთიანების მიერ მე-6 და მე-7 ჩარჩო პროგრამების ფარგლებში გარანტირებული პროექტი „სიდათანეტი 1 და 2“ რომელიც ეძღვნება ოკეანოგრაფიულ მონაცემთა მართვის (მენეჯმენტის) პანევროპული ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბებას (პროექტის ბიუჯეტი შეადგენს 95 000 ევროს თანადაფინანსების გარეშე).

პროექტის მონაწილენი არიან კახაბერ ბილაშვილი (ჯგუფის ხელმძღვანელი, თსუ-ის ასოცირებული პროფესორი), ვაჟა ტრაპაიძე (თსუ-ის ასოცირებული პროფესორი), თორნიკე რაზმაძე (ილიას უნივერსიტეტის მაგისტრანტი), მეცნიერებათა დოქტორები: ზურაბ სავანელი (თსუ), ოთარ მარგველაშვილი (თსუ), ნუგზარ ბუაჩიძე (ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი), ავთანდილ კორძაძე (თსუ-ის გეოფიზიკის ინსტიტუტის პროფესორი), დემურ დემეტრაშვილი (თსუ-ის გოფიზიკის ინსტიტუტი), მარიკა ელიზბარაშვილი (თსუ) და სხვები.

რას გულისხმობს პროექტი „სიდათანეტი 1 და 2“?

ბოლო წლებში მსოფლიოში მიმდინარე გლობალური დათბობის პროცესს მოწმობს ჰაერისა და ოკეანის საშუალო ტემპერატურის მატება, ყინულის და თოვლის საფარის დნობის ინტენსიფიცირება და ზღვის საშუალო დონის აწევა.

ამ მოვლენების საპასუხოდ ევროგაერთიანებამ გამოიმუშავა საზღვაო პოლიტიკის კონცეფცია, რომელიც გულისხმობს ოკეანეებისა და ზღვების მიმართ ერთიანი, ინტეგრირებული ხედვის ჩამოყალიბებას.

საქართველო, როგორც საზღვაო ქვეყანა, აქტიურად მონაწილეობს ევროგაერთიანების მე-6 და მე-7 ჩარჩო პროგრამების და ნატოს პროგრამის „მეცნიერება მშვიდობისათვის”ფარგლებში დაფინასებულ ოკეანოლოგიის სამეცნიერო პროექტებში.

ოკეანოლოგიურ მონაცემთა მართვის და განკარგვის (მენეჯმენტის) სტრუქტურა მსოფლიო ოკეანის დაკვირვების სისტემის პარალელურად ჩამოყალიბდა. სწორედ ოკეანის დაკვირვების სისტემამ განსაზღვრა მონაცემთა მართვის სისტემის აუცილებლობა, რასაც მოიცავს პროექტი — „სიდათანეტი 1 და 2“.

პროექტის მიზანია უზრუნველყოს ყველა სახის, დროის და წარმომავლობის ოკეანოგრაფიული მონაცემების და ინფორმაციის მოძიება, გადარჩენა, ფორმატიზება და კატალოგირება იმის გათვალისწინებით, რომ ზღვის ცვალებადი და დისკრეტული გარემო განუმეორებელია. შეკრებილ მონაცემთა დაკარგვის შემთხვევაში, მათი აღდგენა, ფაქტობრივად, აღარ ხდება.

როგორც ჩვენთან საუბარში პროექტის ხელმძღვანელმა კახაბერ ბილაშვილმა განაცხადა, ამ პროექტით უზრუნველყოფილი იქნება მონაცემთა გავრცელება მენეჯმენტის, ხარისხის უზრუნველყოფის და აღწერის მსოფლიოში არსებული გამოცდილების გათვალისწინებით.

ზემოთ აღნიშნული საქმიანობის და სტანდარტების ათვისების ხელშესაწყობად პროექტის დასრულების შემდეგ მომხმარებლისათვის შეიქმნება შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის თანამედროვე პროდუქტები. კერძოდ, მონაცემთა მოძიების, მოთხოვნის, ვიზუალიზაციის და გადმოტვირთვის მიზნით უზრუნველყოფილი იქნება ონლაინ მომსახურეობა.

პროექტის სამეცნიერო მნიშვნელობას განაპირობებს ის, რომ შავი ზღვის, როგორც ხმელთაშუა ზღვის აუზის ნაწილის, გეოპოლიტიკური მნიშვნელობა დღითიდღე იზრდება. საზღვაო გადაზიდვების, ტურიზმის, თევზჭერისა და ნავთობგამტარების გარშემო არსებული კომერციული ინტერესები მას მსოფლიო ოკეანის ყველაზე მოწყვლად აუზად აქცევს, რამაც სერიოზული ზიანი მიაყენა მის ეკოსისტემას. ამიტომ საზღვაო მონაცემთა მოპოვებას, დამუშავებას და ფორმატიზებას დიდი როლი ენიჭება.

როგორც პროფესორმა კახაბერ ბილაშვილმა განაცხადა, პროექტის ფარგლებში შემუშავდა ახალი პროგრამული პროდუქტები, რამაც უზრუნველყო ოკეანოლოგიური მონაცემების მიწოდება მომხმარებლისათვის.

დღეისათვის მიმდინარეობს ევროპული ზღვების სამეცნიერო კვლევის მონაცემთა მენეჯმენტის ერთიანი პოლიტიკის დამუშავება. შეიქმნა საქართველოში არსებული ოკეანოგრაფიული ინფორმაციის მეთამონაცემების (მეთადატის) პირველი ქართული ელექტრონული კატალოგი. ჩატარდა ყველა სახეობის ოკეანოგრაფიული მონაცემების ერთიანი ინდექსაცია, რის შედეგადაც საქართველოში არსებული ოკეანოგრაფიული მონაცემების მნიშვნელოვანი რაოდენობა ევროპულ ბაზებში XML, CDI, ODV ფორმატში ჩაიტვირთა; ჩამოყალიბდა მონაცემთა ვირტუალური ინფრასტრუქტურა, რომელიც მოიცავს შავი ზღვის ქვეყნების სამომხმარებლო პორტალებს და უზრუნველყოფს თანამედროვე და მაღალი ხარისხის ხელმისაწვდომობას საზღვაო და საოკეანო მეთამონაცემებთან. ასევე, შეიქმნა ახალი პროგრამული უზრუნველყოფის პროდუქტი „MIKADO“, რომლის მეშვეობითაც მონაცემთა ბაზების მფლობელებს შეუძლიათ ავტომატურ რეჟიმში მიაწოდონ მონაცემები ან მეთამონაცემები პანევროპულ ბაზებს.

პროექტის ფარგლებში ჩატარდა 2 საერთაშორისო კონფერენცია, რომელზეც მოხსენებები წარმოადგინა 8 ქართველმა მონაწილემ, ამავე პროექტის ფარგლებში ბელგიის სასწავლო ცენტრში ექვსმა ახალგაზრდა მეცნიერმა გაიარა ტრენინგი მონაცემთა მენეჯმენტში.

ამრიგად, „სიდათანეტი“ წარმოადგენს პროექტს, რომელიც დიდ წვლილს შეიტანს შავი ზღვის ეკოსისტემის მდგრადი განვითარების, რეაბილიტაციის, პოლიტიკის განსაზღვრისა და ადმინისტრირების პროცესში.

მოამზადა
მაია ტორაძემ

„ჩემი საქართველო“ პოლიტიკური ფანტაზიებით

წლის მიწურულს ყველა ჩვენგანი ცდილობს — ცუდი წარსულს გაატანოს და ახალ წელს ახალი ოცნებებითა და სურვილებით შეხვდეს. ამ ოცნებებში ხშირად ვფიქრობთ, რომ მომავალი წელი წარმატებების წელი იქნება, რომ სწორედ მომავალ წელს აგვისრულდება ყველა ის სურვილი, რაც აქამდე არ აგვსრულებია, თოვლის ბაბუა კი ჩვენთვის უხვად გამოიმეტებს დიდი ხნის ნანატრ ხვავსა და ბარაქას.

ამ ფანტაზიებში თავისი ადგილი აქვს კეთილ სურვილებს ახლობლების, მეგობრების, კეთილისმყოფლების და, ბოლოს, ჩვენი შვილების მომავლისთვის. სადღაც გულის კუნჭულში ყველა ადამიანი ოცნებობს — ერთ მშვენიერ დილას ისეთ საქართველოში გაიღვიძოს, როგორზეც ყველაზე ლამაზ ფანტაზიებში დაუხატავს.

როგორი მოჩანს პოლიტიკური გამოცდილების მქონე უნივერსიტეტის პროფესორთა პოლიტიკურ ფანტაზიებში საქართველო და მისი მომავალი? ამ კითხვით მივმართეთ რამდენიმე მათგანს და აღმოჩნდა, რომ მათთვის ყველაზე სასურველი ჩვენი ქვეყნის სტაბილურობა, საზოგადოების აქტიურობის გაზრდა და ევროპული ღირებულებებისკენ სწრაფვაა.

გია ჟორჟოლიანი,
თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი:

— ჩემს პოლიტიკურ ფანტაზიებში საქართველო წარმომიდგენია, როგორც რეალურად დემოკრატიული ქვეყანა, სადაც ადამიანებს აქვთ შესაძლებლობა და სურვილი, რომ მოახდინონ საკუთარი თავის რეალიზება, აქვთ სამსახური, აქვთ ცოდნის მიღების საშუალება და შეუძლიათ მიღებული ცოდნის ისეთ საქმიანობაში გამოყენება, რომელიც ქვეყნის თანამედროვე მოთხოვნებს პასუხობს.

„ჩემს საქართველოში“ ეკონომიკა მოდერნულია; უმუშევრობა, ფაქტობრივად, არ არსებობს; ხალხი აქტიურად მონაწილეობს გადაწყვეტილებების მიღებაში, როგორც თავის სამუშაო ადგილებზე, ასევე, სოფლებსა და ქალაქებში. „იქ“ ადამიანები ერთმანეთთან სოლიდარულები არიან და ყველა ერთად პასუხისმგებლობით აშენებს განვითარებულ, დემოკრატიულ ქვეყანას.

ჩემი ოცნებაში ამ მიმართულებით ნაბიჯების გადადგმა საქართველოში 2012 წელს შესაძლებელია, მაგრამ ამისათვის უნდა მოხდეს ფუნდამენტური ცვლილებები, რომელიც გულისხმობს საზოგადოების განწყობის ცვლილებას. ადამიანებს უნდა გაუჩნდეთ იმედი, რომ ისეთი საქართველო, როგორიც მე აღვწერე, შესაძლებელია აშენდეს.

ვები, ადამიანები მიხვდებიან, რომ მათზე ბევრი რამაა დამოკიდებული. ისინი მუდმივად უნდა იყვნენ ერთმანეთის მიმართ სოლიდარულები, საზოგადოებრივ საქმეში აქტიურები და ენერგიულები. სწორედ ეს შექმნის პატრიოტიზმს და იმ განწყობას, რომელიც მხოლოდ სიმბოლოებისადმი პატივისცემას კი არ უნდა ეყრდნობოდეს, არამედ თანამემამულეების მიმართ სოლიდარობას და მათი ინტერესების გათვალისწინებას.

ადამიანებმა უნდა დაიჯერონ, რომ მათ აქტიურობას აზრი აქვს. თუ მათ მოქმედება დაიწყეს, მჯერა, რომ მიზანსაც მიაღწევენ, რადგანაც ჩვენი ქვეყნის მთავარი სიმდიდრე მისი მოქალაქეების ნიჭიერება და ენერგიულობაა. ვფიქრობ, ამ საქმის ავანგარდში ჩვენი ახალგაზრდობა იქნება, რადგანაც აქტიური ქმედებების დასაწყებად დღეს იგი ყველაზე უფრო მზადმყოფი ჯგუფია. ეს თაობა, განსხვავებით ჩვენი თაობისგან, არავისგან არაფერს ელის და იცის, რომ ყველაფერი საკუთარი ხელით უნდა შექმნას. რაც მთავარია, ისინი შორს იხედებიან...

მინდა ამ პოლიტიკური ფანტაზიის ასრულება ვუსურვო ჩემს თავს!

ახალ წელს ვულოცავ მთელ საქართველოს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს და ყველა მის სტუდენტს. იყვნენ იმედიანად და იცოდნენ, რომ ჩვენი გამარჯვება ჩვენს ხელშია!

კორნელი კაკაჩია,
თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი:

— მომავალი წელი ერთერთი მნიშვნელოვანი იქნება საქართველოს პოლიტიკური ცხოვრებისთვის, რადგანაც დაგეგმილია საპარლამენტო არჩევნები. ამ წელს ემთხვევა 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის მზადების პერიოდიც. ამიტომ შეიძლება ვთქვათ, რომ ეს იქნება შემდგომ ათწლეულში გარდატეხის წელი. ვისურვებდი, რომ ყველა პოლიტიკური ცვლილება საქართველოში სტაბილურ გარემოში მოხდეს.

მინდა, პირველად საქართველოს ისტორიაში, ხელისუფლება შეიცვალოს კანონის და არჩევნების შედეგების შესაბამისად. ეს აუცილებელი პირობაა საქართველოს განვითარებისთვის და ხელს შეუწყობს ქვეყნის დემოკრატიული იმიჯის განმტკიცებას.

მინდა, ახალი წელი მივულოცო საქართველოს და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს. მინდა ვისურვო, რომ დაწყებული რე-

ფორმები წარმატებით გაგრძელდეს და, შედეგად, საქართველოს გაძლიერება მოიტანოს!

გუგული მაღრაძე,
თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სრული პროფესორი:

— ჩემს პოლიტიკურ ფანტაზიებს ჯერ კიდევ ეკუთვნის აფხაზეთი და სამაჩაბლო, როგორც ერთიანი საქართველოს ნაწილი. ნამდვილად ვერ დავიმშვიდებთ და მოვიტყუებთ თავს და ვერ ვიტყვით, რომ მათი დაბრუნება ჩვენთვის საოცნებო კიდევ რამდენიმე წელი არ იქნება, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ მათ დაკარგვას შევეგუებით. მინდა, ყველა ჩვენგანმა თავისი წვლილი შეიტანოს იმაში, რომ ეს საკითხი პოლიტიკური ფანტაზია აღარ იყოს.

ჩემს პოლიტიკურ ფანტაზიებში საქართველოში აღარ უნდა იყვნენ გაჭირვებული ადამიანები, რომლებსაც შიათ ან წამლის ფული არ აქვთ. ვოცნებობ, რომ საზოგადოების სიღარიბის დონემ დაიწიოს და ქუჩაში ამდენი შემწეობის მთხოვნელი აღარ იდგეს, რომ საქართველოში აღარ იყოს ბავშვი, რომელსაც არ აქვს ჭერი, არ აქვს საჭმელი, სუფთა ლოგინში დაძინებისა და სკოლაში სწავლის საშუალება. მინდა, რომ ამდენი ადამიანი აღარ იჯდეს ციხეში, რისთვისაც საჭიროა გაკეთდეს გრადაცია — იმსახურებს თუ არა პიროვნება გისოსებს მიღმა ყოფნას. საზოგადოებაში უნდა ჭარბობდეს კაცთმოყვარეობა და ტოლერანტობა. ასევე, ფაქიზი დამოკიდებულება უნდა იყოს მოზარდის მიმართ.

ჯერ ისევ პოლიტიკური ფანტაზიაა ის, რომ ჩვენი ქვეყანა ნატოს და ევროკავშირის წევრი გახდება, თუმცა, თუ მოვინდომებთ და მაქსიმალურად მომთხოვნი ვიქნებით ხელისუფლების და საკუთარი თავისადმი იმ პრინციპების დაცვაში, რასაც მოითხოვს დემოკრატიული მსოფლიოს წევრობა, შესაძლებელია მალე ეს ფანტაზიაც რეალობა გახდეს.

მინდა, რომ ჩვენს ქვეყანაში სამართლიანი არჩევნები რეალობა იყოს და არა პოლიტიკური ფანტაზიის სფერო, რომ სამართლიანი არჩევნებით არჩეული ხელისუფლება ბოლომდე ხალხის ხელისუფლებად დარჩეს.

ყველაზე კარგ სურვილებში სწორედ ასეთი საქართველო მინატრია.

ახალ წელს იმედი ყოველთვის მოაქვს და ვფიქრობ, რომ მომავალი წელი იქნება უკეთესი, ვიდრე წინა წელი იყო.

ვისურვებდი, რომ ეს იმედი რეალობად გადაიქცეს!

მოამზადა
მაია ტორაძემ

ვინ არის ყველაზე „ჯანმრთელი“ თავისი ღირებულებებით?

ამ კითხვაზე პასუხად ჯანმრთელი ღირებულებების მქონეთა სია მედიკოსებს ვერ შევადგენინეთ, რადგან უმრავლესობამ თავი აარიდა კონკრეტული პიროვნებების დასახელებას. გამოკითხვის შედეგად უფრო ის გამოიკვეთა, თუ ვინ რას თვლის ჯანმრთელ ღირებულებად, რაც ადამიანს როგორც საკუთარი სულიერი სიმშვიდის მოპოვებისთვის, ისე სხვისთვისაც სიკეთის მოტანაში ეხმარება. არის თუ არა უმრავლესობა ამ მხრივ ჯანმრთელი ჩვენს ირგვლივ? — დიაგნოზს მედიცინის ფაკულტეტის პროფესორები სვამენ. კულუარულ საუბრებში კი იუმორით აღინიშნა, რომ ირგვლივ უფრო მეტია სამკურნალო, ვიდრე ჯანმრთელი, თუმცა უმჯობესია, ხუმრობა გვერდზე გადავდოთ და რეალურად ვუმკურნალოთ საკუთარ ღირებულებებს, თუკი ეს, პირველ რიგში, საკუთარ თავს, შემდეგ კი ახლობლებსა და ჩვენს ქვეყანას წაადგება. ჩვენი რესპონდენტებიც ამასვე გვირჩევენ, მით უფრო ახალი წლისთვის, როცა ცხოვრება შეგვიძლია კვლავ თავიდან დავიწყოთ.

დავით ზურაბაშვილი,
თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის პროფესორი:

— მე ვიცნობ ჯანმრთელი ღირებულებების მქონე ადამიანს, თქვენ წარმოიდგინეთ, საკმაოდ კარგადაც ვიცნობ და მას დათო ზურაბაშვილი ჰქვია. ასეთი პასუხის შემდეგ თქვენ,

ალბათ, მკითხავთ – გამაჩნია თუ არა თვითკრიტიკა? ჩემი პასუხია – ამ შემთხვევაში — არა.

ჩემი აზრით, ჯანმრთელი ღირებულება სილაღეს ნიშნავს. ჯანმრთელი ღირებულების მქონე ადამიანი არან მარტო ფსიქო-ფიზიკურად, არამედ, ზოგადად, ჯანმრთელი უნდა იყოს. როდესაც ადამიანი ლაღია, იგი ცხოვრებაში წინ მიდის, უხარია, ნერვიულობს, შეუძლია სიყვარულის განცდა. ეს თვისება გენეტიკური არ არის, დროთა განმავლობაში ყალიბდება იმ ცხოვრების წესის მიხედვით, რომლითაც ადამიანმა იცხოვრა. შეიძლება პიროვნებას ბევრი სირთულე შეხვდეს, მაგრამ მაინც ლაღი დარჩეს. საერთოდ, ადამიანები პროფესიად ფსიქიატრიას იმის გასარკვევად ირჩევენ, რომ საკუთარი თავის მიმართ გაჩენილ კითხვებს უპასუხონ. მართალია, ყველა კითხვას მე ჯერ ბოლომდე ვერ ვუპასუხე, მაგრამ იმედია, ცხოვრების ბოლომდე ამას შევძლებ.



პაატა იმნაძე,
თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის პროფესორი:

— ვფიქრობ, რომ ჯანმრთელი ღირებულებების მქონე ერთადერთი — იესო ქრისტე გახლავთ, ანუ ღმერთი, რომელიც ადამიანების გადასარჩენად განკაცდა. მინდა, ასევე, გითხრათ, რომ თანამედროვე ცხოვრებაში ჯანმრთელი ღირებულებების ადამიანად მივიჩნევ დალაი ლამასაც. ჩემი აზრით, ჯანმრთელი ღირებულებები ეს არის 10 მცნება. ჯანმრთელი ღირებულება ქმნის სულიერ სიმშვიდეს: როცა სული ჯანმრთელია, ეს სხეულზეც გადადის. ეს მეცნიერულადაც დამტკიცებულია – თუ ადამიანს სჯერა, რომ განიკურნება, მისი გამოჯანმრთელების შანსი გაცილებით დიდია. არსებობენ ადამიანები, რომლებიც ვერ განიკურნენ წამლებით, მაგრამ რწმენამ უშველა. ჯერ კიდევ სტუდენტი ვიყავი, როდესაც მასწავლიდნენ პაციენტისა და ექიმის ურთიერთდამოკიდებულებას — თუ პაციენტს ექიმის სჯერა, იგი მალე განიკურნება და თუ არა — ვერ მორჩება. რწმენა და ჯანმრთელი ღირებულებების ქონა ძალიან დიდ როლს თამაშობს ადამიანის ცხოვრებაში.

რომან შაქარიშვილი,
თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის პროფესორი:

— ჯანმრთელი ღირებულებაა იუმორის გრძნობა. ეს, რა საკვირველია, ძალიან ძვირფასი თვისებაა. იუმორი ნიჭიერების ერთერთი გამოსახვაა, ნიჭიერება კი ნიშნავს ნორმიდან გადახრას, აქედან გამომდინარე, თუ ჩვენ ამას მედიკო-ბიოლოგიურ ჭრილში განვიხილავთ, იუმორი არის პათოლოგია, ანუ პათოლოგიის ერთერთი კარგი გამოვლინება. იუმორს ერთი კარგი თვისება გააჩნია — გადამდებია და ადამიანში შეიძლება გამოიწვიოს მანამდე დაფარული იუმორის უნარი. ჩემი წარსულიდან ერთი საინტერესო ეპიზოდი გამახსენდა: ერთხელ, ჩემმა მეგობარმა, თბილისში იუმორის გრძნობით განთქმულმა პიროვნებამ, როგორც ექიმმა მომმართა ჩივილებით ყურში მსტვენავ ხმაურზე. მსგავსი შემთხვევები ადამიანებში ხშირია. მითხრა, რომ ამის გამო ღამე ვერ იძინებდა. ბევრი რამ სცადა, მაგრამ არაფერმა უშველა. მე მასთან ძალიან კარგი ურთიერთობა მქონდა და ამიტომ წამომცდა — რა უნდა მოიმოქმედო ახლა შენ ისეთი, რომ ღამე სტვენის ნაცვლად აპლოდისმენტები გაიგონო-მეთქი. ორივემ გულიანად ვიცინეთ. მოგვიანებით, როდესაც შევხვდით, მითხრა — შენმა ნათქვამმა მიშველაო, სტვენა შემცირდა და ღამეც უკეთ ვიძინებო.

ჩემი აზრით, იუმორია ჯანმრთელი ღირებულება, ნიჭიერების ერთერთი თვისება და, რადგან ნიჭიერება ნორმიდან გადახრას ნიშნავს, შეიძლება დავასკვნათ, რომ ჯანმრთელი ადამიანი არ არსებობს. უბრალოდ არსებობს ცუდად გამოკვლეული პაციენტი. ჯანმრთელი ღირებულების სივრცის დაუფლება შეიძლება მხოლოდ გულმოდგინედ, გამახვილებული თვალით შეფასებისას. ამ თვისებას ჩვენ ხშირად ვკარგავთ. ჯანმრთელ ღირებულებებს კი აღქმა სჭირდება და ამისათვის ჩვენი აღქმის კარიბჭე გახსნილი უნდა გვქონდეს.

მოამზადა **ნატო ოგოლაძემ**

როგორ მოვიპოვოთ მილიონი?

ჯადოსნური ჯოხის არსებობის პატარა ბავშვებსაც კი აღარ სჯერათ, თუმცა, რეალურ ცხოვრებაში მართლაც არსებობს „ჯადოსნური ჯოხი" და მას მილიონი ჰქვია. ბევრს უნატრია და უცდია კიდეც ამ „ჯოხის" მოპოვება, მაგრამ მხოლოდ მცირე ნაწილი თუ დაპატრონებია ჩვენს ქვეყანაში მილიონებს... ცხადია, საინტერესოა იმის გაგება, რა გზით მოახერხეს მათ ამდენი ფულის შოვნა? ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორისგან, რომელიც, წესით, უკეთ უნდა ერკვეოდეს მილიონის მოპოვების ხერხებში, მხოლოდ ის გავარკვიეთ, რომ მილიონერობას იღბლიანობაც სჭირდება და ამისთვის კაცი ქუდბედიანიც უნდა იყოს. თურმე მხოლოდ სწავლა და სწავლა ვერ გვაპოვნინებს ამ ,,ჯადოსნურ ჯოხს", რომლის მოპოვებაზე ოცნებაც საახალწლო ნატვრათა ჩამონათვალში ყველასთვის ერთერთი პირველია. მართალია ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორი ნოდარ ხადური არასდროს გარჯილა მილიონის მოსაპოვებლად, მაგრამ ის უნარები მაინც შეუსწავლია, რაც აუცილებელია ამ „ჯოხის" ხელში დასაკავებლად. ბატონი ნოდარ ხადური *დღეს ჩვენი მეგზურია „საიდუმლო რეცეპტის" ძიებისას...*

ნატო ოგოლაძე

— ბატონო ნოდარ, როგორ შეიძლება სტუდენტებმა თავისი საქმიანობით წარმატებას მიაღწიონ? გარდა სწავლისა, არსებობს თუ არა სხვა რაიმე „საიდუმლო რეცეპტი" მილიონის მოსაპოვებლად?

— ხშირად მსმენია, რომ თუ კარგად სწავლობ, აუცილებლად მილიონერი გახდებიო, ან პირიქით. ამას წინათ ერთერთ გადაცემას ვუყურებდი, სადაც სამი ქართველი წარმატებული ბიზნესმენი იყო მიწვეული — სოსო ფხაკაძე, ვახტანგ ბუცხრიკიძე და პაატა კურტანიძე. სამივემ თქვა, რომ ჩვენ გამონაკლისები ვართ, რადგან „ხუთოსნები" ვიყავითო. ამ სამი ქართველი მილიონერიდან ორი თსუ-ის ეკონომიკის ფაკულტეტის კურსდამთავრებულია — ბატონები ვახტანგ ბუცხრიკიძე და სოსო ფხაკაძე. ვფიქრობ, რომ, მიუხედავად ყველაფრისა, ადამიანს იღბალი უნდა ჰქონდეს. ეს არ არის ჩემი სიტყვები. იგი ცნობილ ეკონომისტს გრეგორი მენქიუს ეკუთვნის, რომელიც ეკონომიკურ საკითხებში პრეზიდენტ ბუშის მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე გახლდათ. მის ეკონომიკის პრინციპებს ასწავლიან ჩვენთან და მსოფლიოს ბევრ უნივერსიტეტში. იგი ამბობს, რომ შრომის ანაზღაურების ერთერთი ფაქტორი, გარდა ცოდნისა და პასუხისმგებლობის უნარისა, არის იღბალი. საჭირო დროს საჭირო ადგილზე უნდა მოხვდე, ქუდბედიანი უნდა დაიბადო...

— რამდენად შესაძლებელია თანამედროვე საქართველოში — ნულიდან დაიწყო ყველაფერი და შემდეგ მილიონერი გახდე?

— ყველგან არის შესაძლებელი გახდე მილიონერი და, მათ შორის, საქართველოშიც. ახლა, ამ პერიოდში, როდესაც პროცესები ლაგდება, გაცილებით რთულია დიდი ფულის შოვნა, თუმცა ყოველთვის არის ნიშა, რომელიც მივიწყებულია, რომლის მიმართაც ვიღაცები ინტერესს არ იჩენენ. ამ შემთხვევაში გადამწყვეტი ადგილი უჭირავს კრეატიულობას, ადამიანის მონდომებას, რომ არა მარტო სხვების გაკვალული გზით იაროს, როგორც ძალიან ბევრი აკეთებს, რამედ თვითონ დაიწყოს ახალი გზების ძიება. ეს მნიშვნელოვანი თვისებებია, რასაც ვერავის ვერავინ ასწავლის. ადამიანი თვითონ უნდა იყოს დაუდგომელი, მოუსვენარი, ყველგან უნდა ცდილობდეს რაღაც ახლის პოვნას. უნივერსიტეტი და საუნივერსიტეტო განათლება მას უბრალოდ დაეხმარება, რომ ბიზნესის მართვისას სწორი გადაწყვეტილებები მიიღოს. თავდაპირველი ნაბიჯები არ არის მხოლოდ თეორიაზე დამყარებული, პირიქით. მაგალითად, ბილ გეიტსმა უნივერსიტეტი ვერ დაამთავრა, მაგრამ მან ბიზნესი დაიწყო იმ სფეროში, რომელიც ყველაზე ახალი იყო. როდესაც უკვე გაკვალული ბილიკებით მიდიხარ, იმ ბილიკიდან გადახვევა გიჭირს და რაღაცნაირად ჩაკეტილი რჩები.

— თქვენი ფაკულტეტის რომელიმე სტუდენტზე თუ დაგრჩენიათ შთაბეჭდილება, რომ ის შეძლებს მილიონერი გახდეს?

— ერთი გოგონა გამახსენდა... სახელსა და გვარს ვერ გეტყვით, მაგრამ ჩემს ინტერვიუს თავად თუ წაიკითხავს, მიხვდება, რომ მასზეა საუბარი. ახლა მაგისტრანტია, მე ბაკალავრიატში, მეორე კურსზე ვუკითხავდი ლექციებს და დამრჩა შთაბეჭდილება, რომ მისგან კარგი ოლიგარქი დადგებოდა. თუმცა ეს ხუმრობით. ჩვენ გვყავს კარგი სტუდენტები, ამას ვამბობ ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე. ძალიან კრეატიულები და მონდომებულები არიან. ბევრ რაღაცაზე ფიქრობენ, ბევრ რაღაცაზე შეჭიდებულები არიან, ზოგიერთი მუშაობს, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც კარგად სწავლობს. ამავე დროს, მათი მხრიდან მოთხოვნაც იგრძნობა, რომ ლექტორისგან მეტი ცოდნის მიღება უნდათ. არიან ადამიანებიც, რომლებსაც აქვთ მკვეთრად გამოხატული მიდრეკილება მეცნიერებისკენ. თუ ისინი წარმატებას მიაღწევენ მეცნიერებაში, არანაკლებ კარგი იქნება. მეცნიერებაში დიდი, კარგი, ალალი და „უსაყვედურო" ფული იშოვება. თსუ-ის კურსდამთავრებულთაგან ბევრი პროფესორი მუშაობს საზღვარგარეთ მეცნიერების მიმართულებით და ძალიან წარმატებულნიც არიან. ძირითადად, ეს უფრო ზუსტ და საბუნებისმეტყველო მიმართულებას ეხება. ასევე გეტყვით, რომ ჩვენი კურსდამთავრებულების სიას რომ გადახედოთ, ბევრ მილიონერს ნახავთ, თუმცა, სამწუხაროდ, ეს არ ეტყობა ჩვენს უნივერსიტეტს, თუ პირველი კორპუსის რეაბილიტაციის პროექტს არ ჩავთვლით.

— რამდენად სწორია და გამართლებული, რომ ახალგაზრდებმა თავიდანვე დაისახონ მიზნად – გახდნენ მილიონერები?

— მე ვეთანხმები იმ მოსაზრებას, რომ სწორედაც რომ მიზნად უნდა დაისახონ — გახდნენ არა მარტო მილიონერები, არამედ მილიარდელებიც. ადამიანმა თავიდანვე უნდა იცოდეს — რა უნდა. მე ვიზრდებოდი საზოგადოებაში, სადაც ბევრი ფულის ქონა სირცხვილად ითვლებოდა, რადგან

იმ დროს დიდი ფულის შოვნა მხოლოდ მოპარვით შეიძლებოდა, წესიერი, პატიოსანი შრომით კი ამის გაკეთება წარმოუდგენელი იყო. ახლა კი ეს შესაძლებელია.

— დღესაც არსებობს ფართოთ გავრცელებული შეხედულება, რომ მხოლოდ პატიოსანი შრომით ვერ გახდები მილიონერი...

— უცებ გამახსენდა, ჩემს სტუდენტებს ვეუბნები ხოლმე, რომ სტუდენტობის დროს მე აღებული მაქვს სტიპენდია 680 000 000, მაგრამ, სამწუხაროდ, კუპონები, ანუ არ არის რაიმე არაკანონიერი ქმედების ჩადენა საჭირო მილიონების საშოვნელად. ხელფასით მილიონს რომ ვერ იშოვი, ესეც ცხადია, მაგრამ ნიჭითა და გარისკვით შესაძლებელია ამის მიღწევა. ხომ გაგიგონიათ: „Кто не рискует, тот не пьет шампанское".

— თქვენ არ გიფიქრიათ, რომ გამხდარიყავით მილიონერი?

— როგორ არ მიფიქრია, მაგრამ გავხდი პროფესორი. ალალ და უსაყვედურო ფულს ვიღებ. ეს ალბათ იმის ბრალია, რომ მე ნაკლებად რისკიანი ვარ. მქონდა შემოთავაზებები, რომ მემუშავა ბიზნესში, რაღაც პერიოდი ვმუშაობდი კიდეც, მაგრამ ჩემი თავი აქ ვიპოვე — სტუდენტებთან, მომავალ მილიონერებთან, რომლებიც მერე პენსიას მომცემენ, უფრო სწორად, გადასახადებს შეიტანენ ბიუჯეტში და მერე კი მთავრობა მე გადამიხდის.

— იმედია, მანამდე პენსია გაიზრდება...

— კი, იმედია, პენსიამდე მინიმუმ 24 წელი კიდევ დამრჩა. თავისთავად ცხადია, 24 წელში საქართველოში ბევრი რამ შეიცვლება. ქვეყანა იქნება აბსოლუტურად სხვანაირი. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ჩვენი ქვეყანა უფრო დალაგებული და გაცილებით მდიდარი გახდება. ბოლო 20 წელიწადი ამის ძალიან კარგი მაგალითია — თუ როგორ შეიძლება დანგრეული ქვეყანა განვითარდეს.

— გარდა ფინანსური სიმდიდრისა, ადამიანს შეიძლება ჰქონდეს სხვა — პიროვნული სიმდიდრეც. თქვენი აზრით, შესაძლებელია თუ არა ამ ორი სიმდიდრის შეთავსება? ამბობენ, ბევრი ფული ადამიანებს ცვლისო...

— მაგალითად, მე ძალიან მდიდარი ვარ, რადგან კარგი ოჯახი მაქვს და არაჩვეულებრივი შვილები მყავს. ბედნიერი ვიყავი იმ დღეს, როდესაც ჩემი შვილი სკოლაში მივიყვანე და დაფაზე დიდად დაწერილი მისი სახელი და გვარი დავინახე. ეს წარწერა ორი კვირა არ იშლებოდა იმის აღსანიშნავად, რომ იგი საუკეთესო მოსწავლე იყო. ეს დიდი სიმდიდრეა, თუმცა, ამასთან ერთად, თავისთავად ცხადია, კარგი იქნებოდა მილიონებიც.

არსებობენ ადამიანები, რომლებსაც ასკეტური ცხოვრება ურჩევნიათ. ცდილობენ სულიერად გამდიდრდნენ, ბევრს კითხულობენ და რაც აქვთ, იმითაც ძალიან ბედნიერები არიან. და საერთოდ, რა არის ფული? ფული ჯადოსნური ჯოხია და რაც უფრო ბევრი ფული გაქვს, მით უფრო დიდი შესაძლებლობების მქონეა ეს ჯოხი. შეიძლება ადამიანს დიდი ფული ჰქონდეს და ამით სხვები გააუბედუროს. ასევე, არიან ადამიანები, რომლებსაც რაც აქვთ, იმასაც მოყვასს უნაწილებენ, კეთილ საქმეს აკეთებენ, თავის ბედნიერებას სხვებს უზიარებენ.

— და ბოლოს, მიეცით პატარა „რეცეპტი" მომავალ თაობას – როგორ უნდა „მოიპარონ" მილიონი?

— იოცნებეთ და ყველაფერი გააკე-თეთ, რომ ეს ოცნებები ასრულდეს. მთავარია, რომ ადამიანები იყვნენ კრეატიულები, ეძებდნენ სიახლეს. თუ მხოლოდ გაკვალული ბილიკებით ივლიან, მილიონების შოვნა გაუჭირდებათ. საქართველოში ბოლო 20 წლის განმავლობაში გაკოტრებული ბიზნესის არაერთი მაგალითი შეიძლება დავინახოთ. მაგალითად, 15 წლის წინ საქართველოში იყო 300 ბანკი და ამ ბანკების დიდი ნაწილი გაკოტრდა. სამაგიეროდ ვიღაცამ, იმ დროს, დაიწყო სხვა ბიზნესი და წარმატებით განაგრძო თავისი საქმიანობა. კერძოდ, დაიწყეს უნივერსიტეტების გახსნა. ყველა მოსახვევში იყო დაარსებული „ფარმაცევტულ-იურიდიულ-ეკონომიკური უნივერსიტეტი". შემდეგ ყველა მათგანი გაუქმდა. იმ ადამიანებმა კი, ვინც ეს უნივერსიტეტები დაამთავრეს, სამწუხაროდ და საბედნიეროდაც, დიპლომები ვერაფერში გამოიყენეს.

ჩემი სტუდენტობის დროს იყო ასეთი გამონათქვამი – მილიარდელს ჰკითხეს, ფული სად იშოვეო? მან კი უპასუხა — არ მკითხოთ პირველი მილიონი როგორ ვიშოვე და დანარჩენს, რასაც გინდათ, გეტყვითო. ფულს მოპარვა არ სჭირდება, ფულს სჭირდება გამომუშავება და დამსახურებულად მიღება. დღეს, საქართველოში, მთლიანი შიდა პროდუქტის ღირებულებაა 24 მილიარდი ლარი. მომავალმა თაობამ სწორედ იმაზე უნდა იფიქროს, რომ ეს 24 მილიარდი 124 მილიარდამდე გაიზარდოს. ვინც მეტს იშრომებს, მას მეტი ერგება. ახლა ეს ცოტა ვარდისფერ ოცნებასავით გამომივიდა, მაგრამ მისი განხორციელება მაინც შესაძლებელია.

სტუდენტები საახალწლო ტურებს გვთავაზობენ

ნატო ოგოლაძე

ახალი წლის მოახლოება თსუ-ში სასწავლო პროცესზეც აისახა. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტებმა საგანში — „შესავალი ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტში“ სპეციალური დავალება მიიღეს. მათ სხვადასხვა მიმართულებით, თანამედროვე რეალობის გათვალისწინებით, ტურისტული მარშრუტების დაგეგმვა დაევალათ. სტუდენტებმა „მომხმარებლებს“ სხვადასხვა სეგმენტზე გათვლილი საახალწლო ტურები სვანეთის, კახეთის, ბათუმის, მცხეთის, ბაკურიანის და ა.შ. მიმართულებით შესთავაზეს — სასიამოვნო, სახალისო გარემო, ასევე, სიურპრიზები დღესასწაულის გასალამაზებლად და, რაც ყველაზე მთავარია, მისაღები ფასები. რამდენიმე სტუდენტის მიერ წარმოდგენილმა ტურისტულმა ტურმა ლექტორების განსაკუთრებული მოწონებაც დაიმსახურა. მათ შორის იყო ჯგუფი „TS“, რომელიც 4 სტუდენტისგან შედგებოდა — თეონა ბეროძე, სოფიო წმიკურიძე, სოფიო მერიქიძე და თეონა გელბაქიძე.

„ჩვენ საახალწლო ტური გავაკეთეთ უცხოელებისთვის, ქართველი ახალგაზრდებისა და ფინანსურად შეძლებული ფენისთვის. ტური უცხოელებისათვის 10 დღიანია: იწყება თბილისში, გრძელდება მცხეთაში და სრულდება ბაკურიანში. 31 დეკემბრის საღამოსაც ისინი აქ გაატარებენ“, — გვითხრა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტმა, „TS“ ჯგუფის წევრმა თამთა ბეროძემ.

„TS“ ჯგუფი – ეს არის ჩვენი სახელების აბრევიატურა, რადგან ჯგუფში ორი თეონა და ორი სოფიო ვართ. ორი მიმართულებით ვიმუშავეთ, ვართ როგორც ტურ-ოპერატორები, ასევე, ივენთ-მენეჯერებიც. ჩვენ ტურისტულ ორგანიზაციას სამი დევიზი აქვს: უცხოელებისთვის — „დაიწყე ახალი წელი ჩვენთან ერთად, დაიწყე ბედნიერად!“ ახალგაზრდებისთვის —„გაერთე მეგობრებთან ერთად!“ და ფინანსურად შეძლებული ფენისთვის — „გაილამაზე ახალი წელი და გაულამაზე სხვებსაც!“. ტურების ფასები, შეძლებისდაგვარად, ზუსტად გავწერეთ. გავეცანით სასტუმროების ფასებს თბილისში, ბაკურიანსა და მცხეთაში. დავბეჭდეთ საინფორმაციო ბროშურები და მოსაწვევებიც. მინდა აღვნიშნო, რომ ამ საგანში სალექციო კურსით ყველა სტუდენტი კმაყოფილია, რადგან გარდა თეორიულისა, გვაქვს ასეთი პრაქტიკული სამუშაოებიც“, — განაცხადა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტმა თეონა გელბაქიძემ.

ორიგინალური და განსხვავებული ტურისტული ტური დაგეგმა სტუდენტმა მიხეილ გავაშელიშვილმა ლოპოტას ტბის მიმართულებით. მისი იდეა განსაკუთრებით მარტოხელა ადამიანებისთვის არის საინტერესო.

„ვიცოდი, რომ ყველას სტანდარტული ხასიათის იდეა ექნებოდა. გადავწყვიტე ტური მარტოხელა ადამიანებისთვის მომეფიქრებინა. ასეთი რამ, დღეს, საქართველოში არ კეთდება. ჩვენი საზოგადოების უმრავლესობას დრო არ რჩება სულიერად დასვენებისთვისა და ადამიანებთან ურთიერთობისთვის. შესაბამისად, მოიმატა მარტოხელების რიცხვმა და სწორედ ამიტომ დადიან ქუჩაში სულ გაბრაზებულები. ჩემი ტურისტული ტური კი მათ შესაძლებლობას მისცემდა — ერთმანეთი გაეცნოთ და ცხოვრება გაელამაზებინათ“, — გვითხრა მიხეილ გავაშელიშვილმა.

საგანში — „შესავალი ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი“ სპეციალური დავალება, დაახლოებით, 200-მა სტუდენტმა წარმოადგინა.

„ამ დავალების შესრულება ჩვენთვის ძალიან კარგი გამოცდილება იყო. მიღებული თეორიული ცოდნა უნდა გამოგვეყენებინა პრაქტიკაში და გვემუშავა გუნდურად. ლექტორებისგან მივიღეთ შენიშვნებიც და რჩევებიც, რასაც მომდევნო ტურის დაგეგმვის დროს აუცილებლად გავითვალისწინებთ. ძირითადად გვითხრეს, რომ უფრო ზუსტად უნდა გაგვეთვალა ხარჯები, უფრო ზუსტად შეგვერჩია მომხმარებლის სეგმენტი და უნდა დაგვეგეგმა ალტერნატიული ტური, რასაც რაიმე გართულების შემთხვევაში შევთავაზებდით ტურისტებს “, — აღნიშნა მარიამ მათიაშვილმა.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ლექციებს საგანში — „შესავალი ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი“ მოწვეული პროფესორი კახაბერ ჭეიშვილი კითხულობს, სემინარის ხელმძღვანელი კი გიორგი გაფრინდაშვილი გახლავთ. სტუდენტების მიერ საახალწლო ტურისტული ტურების დაგეგმვის ინიციატივაც სწორედ მას ეკუთვნის.

„ჩვენ სტუდენტებს ვასწავლით, როგორ შექმნან მომსახურების პროდუქტი ისე, რომ ფასი ადეკვატური იყოს და მომხმარებელიც კმაყოფილი დარჩეს. ერთერთი შენიშვნა, რომელიც სტუდენტებს მივეცით, არის ის, რომ მათ მიერ შემოთავაზებული ტურების ფასები ძალიან მაღალია, თუმცა სტუდენტებმა მაინც კარგად იმუშავეს. ისინი ახლა სწავლობენ, თანაც დარწმუნებული ვარ, ჩვენ რჩევებს გაითვალისწინებენ და მომავალში უკეთეს შედეგს მივიღებთ. კარგად ვიცნობ საქართველოში არსებული ტურისტული სააგენტოების მუშაობის სტილს. დაახლოებით 5 წლის წინ რა შეცდომებსაც ისინი უშვებდნენ, ანალოგიური ხასიათის შეცდომები მოსდით ახლა ჩვენს სტუდენტებსაც, რომლებსაც ჯერ მხოლოდ ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის შესავალი ნაწილი აქვთ ნასწავლი“, — განაცხადა კახაბერ ჭეიშვილმა.

კახაბერ ჭეიშვილი და გიორგი გაფრინდაშვილი სტუდენტებს კიდევ ერთ საინტერესო სიახლეს უმზადებენ. 2012 წლის საგაზაფხულო სემესტრში, სასწავლო პროცესის ფარგლებში, გრძელვადიანი პროექტი განხორციელდება, რომლის მიზანიც სტუდენტებისთვის პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება იქნება. შეირჩევა საქართველოში არსებული 57 ობიექტი, რომელსაც ტურიზმის განვითარებისთვის საჭირო პოტენციალი აქვს. ჯგუფებად დაყოფილ სტუდენტებს მათი შესწავლა და, ტურისტული ადგილის შექმნის მიზნით, ბინზეს-გეგმის შემუშავება დაევალებათ. საუკეთესო შედეგების მქონე 3 გუნდი კი ტურისტული კომპლექსისთვის გამიზნულ ადგილს პირადად მოინახულებს.

სტუდენტური ახალი წელი გადაუღებელ ფილმებში

შურთხია ბეროშვილი

„გამოიგონეთ საახალწლო ამბავი, იფიქრეთ ფილმის გადაღებაზე და დაწერეთ სცენარი” — ასეთი დავალება მისცა სემინარული მუშაობის დროს სტუდენტებს თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კინო-ტელე ხელოვნების მიმართულების პედაგოგმა, რეჟისორმა ნინო გელოვანმა, რომელიც მომავალი რეჟისორებისთვის ამ შეთავაზების საბაბს ახალი წლის მოახლოებას უკავშირებს. „ახალი წელი მოდის და ამაზე უკეთეს თემას რას შევთავაზებდი სტუდენტებს, რომლებმაც დავალება დიდი ხალისით აიტაცეს. მათ ჩაფიქრებული ჰქონდათ, რომ ამ თემაზე მოკლემეტრაჟიანი ფილმი, კლიპი ან რეკლამა გადაეღოთ. სცენარის დაწერის სურვილი III კურსელებთან ერთად სხვებმაც გამოთქვეს და, საბოლოოდ, შეიქმნა სცენარების სერია. სტუდენტებმა ანა შენგელიამ და ქეთევან ნაცვლიშვილმა კარგად გაითვალისწინეს კინოხელოვნების სპეციფიკა, რომელიც ვიზუალურ ეფექტებს ემყარება. ამიტომ ვთვლი, რომ მათ მართლაც შეუძლიათ ახალი წლის თემაზე საინტერესო კინოპროდუქცია შექმნან და ის რომელიმე ფესტივალზეც წარადგინონ“, — ასე შეაფასა ნინო გელოვანმა იმ სტუდენტების სცენარები, რომლებიც წარმოდგენილი ვარიანტებიდან გამოარჩია.

ახალი წლისადმი მიძღვნილ სცენართა სიუჟეტები ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კინო-ტელე ხელოვნების მიმართულების სტუდენტებმა: ქეთევან ნაცვლიშვილმა და ანა შენგელიამ დაწერეს, რომლებიც ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულია. ქეთევანის სცენარი „ახალი წელი სხვისთვის“ უფრო ტრაგიკულ ელემენტებს შეიცავს, ანას სცენარი კი — „საახალწლო დეტექტივი“ იუმორით არის გაჯერებული. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ორივე სიუჟეტი რეალისტურია, რაც სტუდენტების პრაგმატიზმზე მიუთითებს.

ნაკლები ოცნება, რეალურად ახდენადი ნატვრა და ის რეალობა, რასაც სტუდენტის ფარული ემოცია და ფართოდ გაღებული თვალი ხედავს — ეს დავაფიქსირეთ მომავალი რეჟისორების ნამუშევრებში, რომელთა სიუჟეტების კვანძს ისინი ჩვენთან საუბარში თავადვე ხსნიან...

* * *

— ***ქეთევან, თქვენ მიერ გადმოცემული ამბავი ძალიან ნაღვლიანია. რატომ გაგიჩნდათ ასეთი ასოციაციები ახალ წელთან მიმართებაში?***

— კარგი შეკითხვაა, მაგრამ პასუხის გაცემა გამიჭირდება. თვითონაც არ ვიცი, რატომ გადავწყვიტე საახალწლო სიუჟეტისთვის ბიჭუნასა და ბაბუას ნაღვლიანი ამბავი გამომეგონებინა. რატომღაც იმ მომენტში წარმოვიდგინე, რომ რეალურ ცხოვრებაში ასეთი შემთხვევებიც ხდება. განა ჩვენს გარშემო ახალ წელს ყველა ბედნიერია? ამასთან ერთად, მინდოდა გადმომეცა ის ემოცია, როდესაც ერთ ადამიანს სურს — სხვას სიხარული და ბედნიერება აჩუქოს. ჩემი გმირებიც ასეთები არიან... მიუხედავად იმისა, რომ ჩემი ერთი პერსონაჟი ბავშვია და მეორე მოხუცი, ისინი ერთმანეთზე ზრუნავენ, თუმცა მათი ქმედებები და ემოციები მაინც განსხვავდება. მათ ერთმანეთის მეტი არავინ ჰყავთ, ძალიან გაჭირვებულები არიან და ერთმანეთზე ორივე თავისებურად ზრუნავს. „სათამაშო არ მინდა, არც კანფეტი, არც ნაძვის ხე — ქუჩაში ბევრი დგას და დღეს უკვე დავათვალიერე. იქნებ, თუ არ შეწუხდები, თბილი ტანსაცმელი ან პლედები მოგვიტანო, ბაბუა გაციებულია და სამი დღეა ვერ დგება საწოლიდან. იცი, მე აქ ბაბუასთან ერთად ვცხოვრობ და ძალიან მიყვარს, არ მინდა ცუდად იყოს“, — წერს ბიჭუნა თოვლის ბაბუას. ეს ყველაფერი ახალი წლის წინა ღამეს ხდება. გამთენიისას ბაბუა გაუჩინარდა. მას სურს საათი გაყიდოს, რათა შვილიშვილს ახალი წლის დილას საჩუქარი დაახვედროს. მასაც თავისი ახალი წელი სხვისთვის, ამ შემთხვევაში, ბიჭუნასთვის უნდა. დილით ბიჭს ეღვიძება და ბავშვურად უხარია, რომ ახალი წელი მოვიდა, მაგრამ მალევე ახსენდება წერილი, რომელიც თოვლის ბაბუას გაუგზავნა და დაინტერესდება, ნეტავ თუ აუსრულა მან სურვილი. იგი გადის ოთახში და ეძებს საჩუქრებს, თუმცა უშედეგოდ... ოთახის ერთერთ კუთხეში კი ნაძვის ხე დგას, რომლის ქვეშ ტკბილეულია, რომელიც ბაბუამ გაყიდული საათის სანაცვლოდ შეიძინა. ბიჭი ბედნიერია და უნდა სიხარული ბაბუას გაუზიაროს, მაგრამ მოხუცი გარდაცვლილი დახვდება... „თოვლის ბაბუა, მე ხომ თბილი პლედი გთხოვე, არ მინდოდა კანფეტები და ნაძვის ხე“, — ცრემლმორეული ბუტბუტებდა ბიჭი... აი, ასეთი ნაღვლიანი ისტორია გამომივიდა საახალწლოდ...

* * *

— ***ანა, თქვენ საახალწლო სცენარში იუმორით ყვებით „დესპოტი“ ლექტორის ამბავს. რატომ გაგიჩნდათ ასეთი სიუჟეტის დახატვის იდეა? ხომ არ გაწუხებთ ის, რომ გამოცდების პერიოდი საახალწლო პერიოდს ემთხვევა? აშკარაა, რომ თქვენ რაღაც არ მოგწონთ...***

— როდესაც გავიგე, რომ საახალწლო სცენარი უნდა დაგვეწერა, პირველ რიგში, ვიფიქრე, სახალისო ისტორია მომეფიქრებინა, რადგან ახალ წელს სწორედ ასეთი განწყობა უხდება და ჩემს წარმოდგენაში იგი გართობასთან და მხიარულებასთან ასოცირდება. ამასთან, მინდოდა, რომ ამბავი ყოფილიყო მარტივი, მსუბუქი და თანაც სტუდენტურ ცხოვრებასთან დაკავშირებული. აქედან გამომდინარე, დავწერე სცენარი — „საახალწლო დეტექტივი“.

სიუჟეტი ასეთია: უნივერსიტეტის ხელოვნების მიმართულების ხუთი სტუდენტი: ნიკო, იკა, ტასო, ნანო და ლილიკო განსაკუთრებით ახლოს არიან ერთმანეთთან, მეგობრობენ და ლექციებსა თუ თავისუფალ დროს ერთად ატარებენ. როგორც ყოველთვის, წინა საახალწლო პერიოდი სტუდენტებს გამოცდების გამო ძალიან დატვირთული აქვთ. მეგობრები დიდ საახალწლო სამზადისში არიან და გეგმავენ — თუ სად და როგორ შეხვდნენ ახალ წელს, თუმცა ერთერთს ახსენდება „ბატონი გივი“ — საოპერატორო ხელოვნების ლექტორი, რომელიც ზედმეტსახელად „დესპოტად“ და „დიქტატორად“ მოიხსენიება სტუდენტებს შორის. ამიტომ მეგობრები იღებენ გადაწყვეტილებას, დაიქირავონ დეტექტივი, რომლის დახმარებითაც საგამოცდო მასალებს მოიპოვებენ და ადვილად ჩააბარებენ გამოცდას. ამის შემდეგ იწყება მათი თავგადასავალიც...

რა თქმა უნდა, ყველა სტუდენტი დამეთანხმება, რომ ახალი წლის წინ გამოცდის ჩაბარების ხასიათზე არავინ არის, ყველა იმაზეა გადართული — სად და როგორ გაატაროს ახალი წელი, ამ დროს კი გახსენდება, რომ გამოცდა გაქვს ჩასაბარებელი და გუნება-განწყობა გიფუჭდება. დიახ, სწორედ ამიტომ მოვიგონე ეს ისტორია.

— ***როგორია თქვენთვის საყვარელი ლექტორი?***

— მართალია სცენარში ვხუმრობ, მაგრამ საუკეთესო ლექტორი მართლაც მკაცრი და მომთხოვნი უნდა იყოს, ამავე დროს განათლებული და, რაც მთავარია, მეგობრული...

— ***თქვენი სცენარის პერსონაჟები რეალური გმირები არიან?***

— დიახ, რეალური პერსონაჟები არიან, უბრალოდ, სახელები აქვთ შეცვლილი. ისინი ჩემი მეგობრები არიან, მათ უკვე წაიკითხეს სცენარი და ბევრი იხალისეს და, რა თქმა უნდა, არ სწყენიათ.

— ***რას სთხოვდი თოვლის ბაბუას?***

— თოვლის ბაბუას ვთხოვდი, მქონდეს კარგი კამერა, რათა საშუალება მქონდეს გადავიღო ის, რაც ძალიან მინდა, თუნდაც ეს სცენარი... ჩემი აზრით, ახალ წელს ოცნებები სრულდება და იმედი მაქვს, ეს ოცნებაც ამიხდება...

2012 წელზე ორიენტირებული იმედები

მეექვსე გვერდიდან

თამარ ეგრალიძე,
თსუ-ის გამომცემლობის დირექტორი:

— მომავალ წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ახალი, კარგად აღჭურვილი სტამბა ექნება. ეს არის გამომცემლობის მთავარი სიახლე.

ჩვენ ცოტა მოგვიძველდა კომპიუტერული ტექნიკა, ალბათ, ორი-სამი თანამშრომლის დამატებაც არ იქნებოდა ურიგო, რადგან ახალი ინსტიტუტების შემოერთების შემდეგ სამუშაო გაგვიორმაგდა.

2012 წელს წინსვლას, წარმატებებს ვუსურვებ მკითხველსაც, უნივერსიტეტსაც და ჩვენს უმშვენიერეს ქვეყანასაც.

სერგო სანაძე,
საფინანსო დეპარტამენტის შესყიდვების განყოფილების უფროსი:

— 2011 წელი არსებითი სიახლეების წელი იყო სახელმწიფო შესყიდვების სფეროში. შეიქმნა ინფორმაციის დამუშავების თანამედროვე ტექნოლოგიურ მიღწევებზე და თავისუფალ კონკურენციულ ურთიერთობებზე დაფუძნებული ელექტრონული შესყიდვების ერთიანი სისტემა, რომლის წარმატებით დანერგვაში დიდი წვლილი მიუძღვის სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს. უნივერსიტეტი, როგორც ერთ-ერთი მსხვილი შემსყიდველი ორგანიზაცია, გამოცხადებული ტენდერების რაოდენობით (600-ზე მეტი) შემსყიდველთა სამეულში შედის. ახალ 2012 წელს სიახლე იქნება ის, რომ უნივერსიტეტის შესყიდვები, გასული წლებისაგან განსხვავებით, განხორციელდება მკაცრად გაწერილი გეგმის მიხედვით დამტკიცებული ბიუჯეტის ფარგლებში. ასე რომ, ახალი წლის პირველივე დღეებში თსუ-ის სტრუქტურებისგან ველოდებით კარგად დასაბუთებულ, დროში გაწერილ მოთხოვნებს.

ყველას ვუსურვებ ბედნიერ ახალ წელს, ჯანმრთელობას, წინსვლას, სიხარულს, დასაოჯახებლებს — დაოჯახებას და, რაც მთავარია, წარმატებულ შესყიდვებს!

ნანა ჯავრიშვილი,
თსუ-ის მონიტორინგის განყოფილების უფროსი:

— თსუ-ის მონიტორინგის სამსახურის მოვალეობაა, რომ გავაკონტროლოთ, თუ როგორ მიმდინარეობს სასწავლო პროცესი და ცხრილების გამოქვეყნების დროულობა, ადმინისტრაციისა და დამხმარე პერსონალის სამუშაოზე გამოცხადება. საკმაოდ მძიმე და საპასუხისმგებლო მოვალეობა გვაკისრია. დარღვევები მაინც ხდება, თანამშრომლების ნაწილი დაგვიანებით ცხადდება სამსახურში, თუმცა, პასუხისმგებლობის გრძნობა ნამდვილად აქვთ. მომავალი წლიდან მონიტორინგის სამსახურში სიახლეები იგეგმება. მონიტორინგი გამკაცრდება, მაგრამ ძალიან — არა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი სასწავლო დაწესებულებაა და ჩვენც, შედარებით, ლმობიერები ვართ — ზედმეტად არც ერთ თანამშრომელს არ ვაწუხებთ. მთავარია, მათ საკუთარი საქმე კარგად გააკეთონ.

მინდა, დამდეგი ახალი წელი მივუღოცო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს, პროფესორ-მასწავლებლებსა და ადმინისტრაციის თანამშრომლებს. ვუსურვო მათ წარმატებები, დიდ ხანს სიცოცხლე, ჯანმრთელობა... ეცხოვროთ მშვიდობიან საქართველოში და უყვარდეთ ერთმანეთი, რაც ყველაზე მთავარია!

ოთარ გოგიტაშვილი,
თსუ-ის ავტოსადგომის უფროსი:

— ახალი წლიდან სიახლეებს ველოდებით, მაგრამ დღეს გადაჭრით ვერაფერს გეტყვით, გარდა იმისა, რომ წლევანდელ წელთან შედარებით მომავალი წელი უკეთესი იქნება.

2012 წელი ფეხბედნიერი ყოფილიყოს მთელი საქართველოსთვის, ყველა ჩვენს თანამშრომელს წარმატებას და სიკეთეს ვუსურვებ!

სტუდენტების საახალწლო ტრიუმფი

ნატო ოგოლაძე

ტრადიცია გრძელდება... თსუ-ის სტუდენტებმა დამდეგი 2012 წელი კლუბ „ტრიუმფში“ გამართულ წვეულებაზე აღნიშნეს. ენერგიული მუსიკა, საუკეთესო განწყობა და ბევრი ღიმილი — ასეთი იყო წინასაახალწლო წვეულება, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალგაზრდებს თსუ-ის სტუდენტურმა თვითმმართველობამ მოუწყო.

„ძალიან კარგად ვატარებთ დროს, რადგან ყველა ჩემი მეგობარი აქ არის. ღონისძიება ძალიან კარგად არის ორგანიზებული. მოხარულნი ვართ, რომ ჩვენს უნივერსიტეტში მსგავსი საღამოები ეწყობა. იმედია, მომავალშიც კიდევ უფრო მეტად იზრუნებენ სტუდენტების გართობასა და გახალისებაზე,“ — გვითხრა მარიამ ზუბიაშვილმა.

წელს საახალწლო წვეულება განსაკუთრებით გამორჩეული იყო, რადგან მასში 2000-ზე მეტი სტუდენტი იღებდა მონაწილეობას. ახალგაზრდების განწყობაზე თსუ-ში შექმნილი ჯგუფი — „Tsu Art” ზრუნავდა, ჯგუფის წევრებმა ცოცხლად შეასრულეს ცნობილი მსოფლიო ჰიტები. საღამო მუსიკალურად გააფორმა DJ Rembo-მაც.

„ჩვენ არც ამჯერად დავარღვიეთ ტრადიცია. ეს წვეულება ჩვენი საახალწლო საჩუქარია სტუდენტებისთვის და ყველაზე მასშტაბურია საქართველოშიც, რადგან 2000 ახალგაზრდა იღებს მასში მონაწილეობას. მომავალი წლიდან ჩვენ კიდევ არაერთ შემეცნებით, კულტურულ, სპორტულ, ინტელექტუალურ და გასართობ ღონისძიებას ვპირდებით მათ. ყველას ვულოცავ დამდეგ 2012 წელს!“ — აღნიშნა თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტმა დაჩი გუბაძემ.

თსუ-ის ტრადიციული საახალწლო წვეულება სტუდენტური ცხოვრების ერთერთი ყველაზე ხალისიანი ნაწილია. ამ დროს ახალგაზრდებს საშუალება აქვთ განიტვირთონ, დროებით მოწყდნენ სასწავლო პროცესს და, ასევე, არატრადიციულ გარემოში შეხვდნენ თსუ-ის პროფესორ-მასწავლებლებსა თუ ადმინისტრაციის წარმომადგენლებს.

„მე ყოველთვის ვამბობ, რომ სტუდენტობა არ გულისხმობს მხოლოდ სწავლას. სტუდენტობა მოიცავს თავისუფალი დროის სასიამოვნოდ გატარებასაც. მიხარია, რომ თსუ-ში უკვე ტრადიციად იქცა წინასაახალწლო წვეულების მოწყობა. ჩვენ ძალიან კარგი სტუდენტები გვყავს. ყველას ვულოცავ დამდეგ შობა-ახალ წელს და ყველაფერს საუკეთესოს ვუსურვებ!“ — ასე მიულოცა კლუბ ,,ტრიუმფში” შეკრებილ სტუდენტებს დამდეგი ახალი წელი თსუ-ის რექტორმა ალექსანდრე კვიტაშვილმა.

ტრადიციული წვეულება კლუბ „ტრიუმფში“ 28 დეკემბერს გაიმართა და გვიანობამდე გაგრძელდა. თსუ-ის სტუდენტური ცხოვრების ისტორიას კი კიდევ ერთი ლამაზი დღე შეემატა.

ᲛᲔᲠᲐᲑ ᲡᲘᲭᲘᲜᲐᲕᲐᲡ „ᲒᲐᲮᲛᲝᲕᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ“ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ

მას ყველა იცნობს, ყველას უყვარს, რადგან მისგან მხოლოდ დადებითი ემოცია მოდის — ბევრს გაცინებს და ბევრზეც დაგაფიქრებს. მის მიერ შესრულებული პაროდია ყველასგან გამორჩეული და განსხვავებულია. სხვისი ხმით საკუთარ სათქმელსაც ამბობს. უნივერსიტეტთან საუკეთესო წლები აკავშირებს, საკუთარი ნიჭის პირველი გამოვლენაც სწორედ უნივერსიტეტის წიაღში მოხდა — პირველად აქ აღიარეს და მოიწონეს... იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებულს მერაბ სიჭინავას გასული საუკუნის 90-იან წლებში თსუ-ის სცენაზე უფრო ხშირად ნახავდით, ვიდრე აუდიტორიაში, მაგრამ მიუხედავად ამისა, დღეს ერთერთი წარმატებული იურისტია.

თამარ დადიანი

პაროდისტის ნიჭი საკუთარ თავში ბავშვობის ასაკში აღმოვაჩინე. ცხოველების და ფრინველების „ენაზე“ ვლაპარაკობდი ხოლმე და კარგადაც გამომდიოდა. სტუდენტობის დროს კი გავბედე და ჯერ ჩემი ლექტორების „ენაზე“ ავმეტყველდი, მერე პოლიტიკოსების პაროდიების გაკეთებაც დავიწყე. პირველად აწ განსვენებული პროფესორის — დავით ცინცაძის პაროდია გავაკეთე. ბატონი დავითი „სასამართლოს და მართლმსაჯულებას“ გვიკითხავდა. ერთ დღესაც სტუდენტები შესვენების დროს ფოიეში გამოვეფინეთ, ვხალისობდით, ვიცინოდით. უცებ „წამომიარა“ და ბატონი დავითის ხმით „ავლაპარაკდი“. სტუდენტები ამას არ ელოდნენ და აღფრთოვანებულები ხან ტაშს მიკრავდნენ და ხანაც ხმამაღლა იცინოდნენ. მოკლედ, პირველი ტაში და მოწონება ჩემი მეგობრებისგან დავიმსახურე — კარგად გამოგდისო! ამან ცოტა გამათამამა და შემდეგ უკვე ჩვენი პედაგოგის — ელდარ ახვლედიანის პაროდიაც გავაკეთე. სტუდენტები ემოციებს ვერ ფარავდნენ. ბატონი დავითის ლექცია დაიწყო, როგორც კი პირველი წინადადება წარმოთქვა, სტუდენტებმა თავი ვეღარ შეიკავეს და სიცილი დაიწყეს. ბატონ დავითს ძალიან გაუკვირდა და საკუთარი თავის დათვალიერება დაიწყო — იქნებ და რაიმე ხომ არ მაცვია უწესრიგოდო. სტუდენტებმა სიცილის მიზეზი აუხსნეს და უთხრეს: — ბატონო დავით, მერაბ სიჭინავამ „დაგცინათო“! გადაირია ბატონი დავითი: — რა მჭირს მე სიჭინავას დასაცინი, მაგას ვუჩვენებ სეირსო! მოკლედ იმ დღიდან მოყოლებული ხან ვინ ჩავარდებოდა ჩემს „ყბაში“ და ხან ვინ! შემდეგ უკვე ტელევიზიები მიწვევდნენ გასართობ პროგრამებში მონაწილეობის მისაღებად. ერთხელაც, საახალწლო გადაცემის ჩაწერის გამო ქალბატონ ვერა ბურჭულაძესთან ჩათვლა „გამომეპარა“. ის ძალიან პრინციპული ადამიანი იყო და განაცხადა: — სიჭინავას ჩათვლას არ ვაღირსებ, სანამ ყველა საკითხს კარგად არ ჩამაბარებსო! მე კიდევ რისი მსწავლელი ვიყავი, „სტუდენტური დღეები“ პიკს უახლოვდებოდა, მთელი დღე უნივერსიტეტის სცენაზე ვიდექი, თან „სტუდენტური რთველის“ დღეებიც მოდიოდა, რომელზეც მთავარი „დამრტყმელი“ ძალა, რა თქმა უნდა, მე უნდა ვყოფილიყავი — სტუდენტების კულტურული დონის ამაღლება მევალებოდა. ფაკულტეტის დეკანმა ვალერიან მეტრეველმა სთხოვა ქალბატონ ვერას, ჩათვლა დაუწერეო, მაგრამ ქალბატონი ვერა უარზე იდგა: — არც ჩათვლას დავუწერ და საშემოდგომოსაც გამოვაყოლებო. მივედი ბატონ ვალერიანთან და ვეუბნები: — ბატონო ვალერიან, რა ვქნა, ჩათვლისთვის საგანს ვერ ვაბარებ, ქალბატონი ვერა ნიშანს არ მიწერს, სტუდენტების გახალისება კი როგორ უნდა შევძლო, როცა მე თვითონ არ მაქვს ხალისი-მეთქი. შეწუხდა ბატონი ვალერიანი და მითხრა: — წადი და თავისი პაროდია გაუკეთე, იქნება გული მოულბეს და ჩათვლა დაგიწეროსო. შევედი აუდიტორიაში და ქალბატონი ვერას ხმის მიბაძვით ლამის ტირილი დავიწყე: — რა უბედური ვარ, ჩათვლას რატომ არ მიწერთ მეთქი. ტირილის ხმაზე ბატონმა ვალერიანმა აუდიტორიის კარები შემოაღო და იკითხა: — აქ რა ხდებაო? — სიჭინავა ჯერ ჩემს პაროდიას მაბარებს და მერე ალბათ ჩათვლასო, — სიცილით უპასუხა ქალბატონმა ვერამ, რომელმაც, რა თქმა უნდა, ჩემი ნიჭი დააფასა და სტუდბილეთში ჩათვლაც გამიფორმა. ასე გავხდი თანდათან პოპულარული, ტელევიზიაში მიღებდნენ, რადიოში მიწვევდნენ... მაშინ მობილური ტელეფონები არ არსებობდა და თუ ვინმეს ჩემი მოძებნა სურდა, დეკანატში მომიკითხავდნენ. დეკანის მოადგილე, ბატონი კაკო ლაბარტყავა ასე პასუხოდა მათ: — მაგას აუდიტორიაში რა უნდა, ბატონო, სცენაზე, სცენაზე მიაკითხეთო... კარგად მოგეხსენებათ, სტუდენტური ცხოვრება რა არის, ბევრს ვცელქობდით, ვეშმაკობდით და, ბუნებრივია, ამას ბევრი ლექტორი ვერ ეგუებოდა. — მშობელი, მშობელი მოიყვანეთ! — ყვიროდა ხოლმე ბატონი კაკო. ერთი სასიამოვნო ნაცნობი ქალი გვყავდა მეგობრებს — ყველას მშობელი ის იყო! ავიტუზებოდით დეკანატის წინ და თავებს ჩავხრიდით. ეს ქალბატონი კი წყნარად უსმენდა ბატონი კაკოს საყვედურებს. გადიოდა დრო, ხან ერთი დააშავებდა რამეს, ხან მეორე, ჩვენ კი დაგვყავდა ეს ქალი დეკანატში ჩვენს „სამჯავროზე“ და ვიყავით არხეინად — გაგვდიოდა „ნომერი“ დაერთხელაც, მორიგი ოინის დროს, კაბინეტში დეკანი შემოვიდა და ამბავი იკითხა, მერე ჩვენს „საერთო დედას” გადახედა, ეცნო და გაუკვირდა: — კი მაგრამ, ეს ქალბატონი ამას წინათ არ იყო მოსული ამა და ამ საქმეზეო? — ყველას, ყველას მამიდაა ეს ქალი! — უპასუხა ბატონმა კაკომ.

ერთი ფოტოგრაფი იყო უნივერსიტეტში, რომელიც სამახსოვრო ფოტოებს გვიღებდა ხოლმე. ერთხელაც „შატალოზე“ ვართ და სტუდენტებმა სურათის გადაღება მოვინდომეთ. ფოტოგრაფმა დაგვაწყო, მოგვამზადა სურათის გადასაღებად, ფოტოაპარატისკენ მიტრიალდა, თავზე შავი ნაჭერი გადაიფარა და აპარატში ჩაიხედა, მაგრამ რას ხედავს: ადგილი ცარიელია, ჩვენ კი თავქუდმოგლეჯილები გავრბივართ თავდაღმართში, ბატონი კაკო დავინახეთ და იმიტომ... მისი ისე გვეშინოდა, როგორც გასროლილი ტყვიის...

სტუდენტობა ადამიანის ცხოვრებაში ყველაზე შთამბეჭდავი და საუკეთესო პერიოდია. თსუ-ის სააქტო დარბაზში რამდენიმე საღამო მაქვს ჩატრებული, უნივერსიტეტის სცენაზე დგომას სულ სხვა ემოცია მოაქვს და მინდა, ახლო მომავალში აქ კიდევ ერთი პატარა საღამო გავმართო. უნიკალური ფირები მაქვს, რომელზეც 80-იანი წლების უნივერსიტეტის ცხოვრება და ჩემთვის და ყველა სტუდენტისთვის უძვირფასესი ადამიანებია აღბეჭდილი. როცა ვარაზის ხევს მანქანით მოვუყვები, წინ როგორმა ლამაზმა ქალმაც არ უნდა გადამირბინოს, მაინც უნივერსიტეტს გავხედავ ხოლმე, რადგან მასთან საუკეთესო წლები და საუკეთესო მოგონებები მაკავშირებს. მან ბევრი რამ მომცა — თითოეული ხე, თითოეული ბუჩქიც კი მეძვირფასება აქ.

ვისურვებდი, რომ ახალი წელი ყველა უნივერსიტეტელისთვის ბედნიერებისა და წარმატებების მომტანი ყოფილიყოს. მინდა, ჩვენმა მშობლიურმა უნივერსიტეტმა ღირსეულად ატაროს პირველი უნივერსიტეტის სახელი, რომელიც ყველა ქართველისათვის ძვირფასი და საამაყოა!

ᲡᲐᲐᲮᲐᲚᲬᲚᲝ ᲬᲕᲔᲣᲚᲔᲑᲐ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ

12 იანვარს რესტორან „ბერმუხაში” თსუ-ის კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის ორგანიზებით გაიმართება საახალწლო წვეულება უნივერსიტეტის თანამშრომლებისთვის. საახალწლო საღამოსთვის, რომელიც 7 საათზე გაიმართება, დასახელებულ ნომინაციებში გამარჯვებულნი სუვენირებით დასაჩუქრდებიან. უნივერსიტეტის თანამშრომელთათვის შეთავაზებულია 16 ნომინაცია:

ყველაზე ელეგანტური თანამშრომელი მამაკაცი; ყველაზე ელეგანტური თანამშრომელი ქალბატონი; ვინ ამბობს ყველაზე მეტ „არას“; ყველაზე საჭირო თანამშრომელი; ყველაზე მშვიდი თანამშრომელი; ყველაზე ხალისიანი თანამშრომელი; ყველაზე სასურველი სასიძო; ყველაზე სასურველი საპატარძლო; ყველაზე აქტიური თანამშრომელი; წლის საუკეთესო დეპარტამენტი; წლის საუკეთესო ფაკულტეტი; ყველაზე კომუნიკაბელური თანამშრომელი; ყველაზე დიპლომატი თანამშრომელი; ყველაზე მეგობრული თანამშრომელი; ყველაზე სპორტული თანამშრომელი და ყველაზე სამართლიანი თანამშრომელი.

ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებენ უნივერსიტეტის შემოქმედებითი ჯგუფები.

„ძვირფასო სტუდენტებო! თსუ-ის მხიარულთა და საზრიანთა კლუბი გილოცავთ შობა-ახალ წელს! დაესწარით... მრავალ ლექციას! გისურვებთ... უამრავ კრედიტს! დაგველოცოს გზა გამოცდებისკენ! ნუ შედრკებით უკიდურეს შემთხვევაში განმეორებითი გამოცდების ჩაბარების წინ! ასევე, პროფესორ-მასწავლებლებს გილოცავთ დამდეგ ახალ წელს და გისურვებთ... არასდროს შეწუხებულიყავით მერხების ქვეშ შპარგალკების ძებნით! სულ უფრო ნაკლებად გყოლოდეთ ,,მიჩურინის ვაშლს” დაწაფებული სტუდენტები... გისურვებთ სამჯერ მეტ ხელფასს, თუმცა, არა ჩვენს ხარჯზე...”

— ასე ულოცავენ ახალ წელს საუნივერსიტეტო საზოგადოებას მან-სან-კანელები, რომელთა იუმორი დიდი ხანია გასცდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კედლებს და მათ ხუმრობებზე უკვე მთელი საქართველო იღიმის. ისინიც სულ უფრო ცდილობენ, ღიმილი სიცილად აქციონ, სიცილი ხარხარად და მთელი საქართველო „ახითხითონ” ცრემლთაცვენამდე...

ᲦᲘᲛᲘᲚᲘ, ᲡᲘᲪᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲮᲐᲠᲮᲐᲠᲘ ᲪᲠᲔᲛᲚᲗᲐᲪᲕᲔᲜᲐᲛᲓᲔ ᲛᲐᲜ-ᲡᲐᲜ-ᲙᲐᲜᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲐᲮᲐᲚᲬᲚᲝ ᲛᲝᲚᲝᲓᲘᲜᲘᲐ

სწორედ ამიტომ დაიმსახურა ამ გუნდმა საქართველოს მრავალგზის ჩემპიონობა და სხვა სასწავლებელთა შორის ლიდერობასაც სამართლიანად ინარჩუნებს.

მთავარი რედაქტორი	ნინო კაკულია	რედკოლეგიის წევრები:	მისამართი: ილია ჭავჭავაძის გამზ. 11° (თსუ-ის მე-3 კორპუსი)
მთავარი სპეციალისტი	მაია ტორაძე	რისმაგ გორდეზიანი, ნოდარ ბელქანია, იაგო კაჭკაჭიშვილი, ლადო მინაშვილი, ნინო ჩიხლაძე, თემურ ნადარეიშვილი, ნოდარ ხადური, მარინე ჩიტაშვილი, ვაჟა კიკნაძე, დიანა ძიძიგური, ნანა ჭიღლაძე, თეა ჯუღელი	
ტექნიკური რედაქტორი	მანანა ჯურხაძე		
ფოტოკორესპონდენტი	ლიკა პეტრიაშვილი		
კომპიუტ. უზრუნველყოფა	ზაზა გულაშვილი		2 22 36 62